ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბონდო მძინარაშვილი

სატელევიზო ანალიტიკური გადაცემა „ათვლის წერტილი“

სამაგისტრო პროგრამა: მედია და ახალი ტექნოლოგიები

ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2019

ანოტაცია

ეთნოკონფლიქტები უმწვავესი პრობლემაა. ამიტომაც, ამ თემის გაშუქებას შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია სჭირდება. განსაკუთრებით საყურადღებოა პოლიტიკური ასპექტები, რადგან სწორედ პოლიტიკური მიზანშეწონილობის მიხედვით იქმნება მითები და ნარატივები, რაც მასმედიის დღის წესრიგში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, საკითხის სიმწვავისა და დინამიკის გათვალისწინებით, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, თუ რა როლს ასრულებს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნოკონფლიქტების თემით მანიპულირება, რაც ხშირ შემთხვევაში საინფორმაციო შტურმის წინაპირობა, ხოლო კონფლიქტის ცხელი ფაზის გავლის შემდეგ, ხანგრძლივი საინფორმაციო ომის ფუნდამენტი ხდება. პოლიტიკური მანიპულაციების დროს ისეთი სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანესი თემა, როგორიც ეთნოკონფლიქტებია, საყოველთაო ყურადღებას ცენტრში ექცევა და, შესაბამისად, არამხოლოდ პოლიტიკოსების და სპეციალისტების კომპეტენციას, არამედ ჟურნალისტების კვალიფიკაციასაც კარგად წარმოაჩენს.

საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესია ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით მიუკერძოებელი და დაბალანსებული ინფორმაციის მიღება, რაც, თემაზე საუბრით დაინტერესებული პირების მიკერძოებისა და ჟურნალისტების გულგრილობის გამო გართულებულია. საჭიროა იმის გააზრებაც, მასობრივი ინფორმაციის ამა თუ იმ საშუალებას რა მიზანი ამოძრავებს, როცა პრობლემას მიზანმიმართულად სწორხაზოვნად და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით აშუქებს. საინტერესოა, რამდენად დიდია პოლიტიკის წილი, ვის აძლევს ხელს ეთნოკონფლიქტის სწორედ ამ კუთხით გაშუქება და არა მრავალმხრივ წარმოჩენა.

ქართული მედიის ქაოტურ მრავალფეროვნებას არაერთი ფორმატის სატელევიზიო თუ რადიოგადაცემა, საგაზეთო რუბრიკა და ონლაინ-პლატფორმა კარგად წარმოაჩენს, როდესაც ეთნოკონფლიქტებზე, როგორც უსერიოზულეს პრობლემაზე საუბრისას მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი ერთმანეთში ირევა და პრიორიტეტები იკარგება, სპეციალური თემატური გადაცემა კი არ არსებობს. კონფლიქტებზე საუბრისას ქართული მედიასივრცე გულგრილობის და არაკვალიფიციურობის გამო, ხშირად აგებს. მედიაწიგნიერების პრობლემა ყველაზე მეტად თავს იჩენს, როცა საქმე გვაქვს თემასთან, რომელიც საფუძვლიან და ღრმა ცოდნას მოითხოვს. ამ პრობლემას ყურადღებას უთმობენ მკვლევარები და, იმავდროულად, ფართო მსჯელობის საკითხია საზოგადოებაშიც.

ნაშრომში თემის აქტუალურობა წარმოჩენილია, ერთი მხრივ, სამეცნიერო ლიტერატურასა და კვლევებზე დაყრდნობით, მეორე მხრივ კი, თავად ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, გაანალიზებულია პრობლემები, რომლებიც ეთნოკონფლიქტების მედიაში სრულყოფილად წარმოჩენისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს.

ნაშრომში გაეცნობით მედიასაშუალებებში ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას არსებული ტენდენციების კონტენტანალიზს - აქცენტებს, ხოლო ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუების და რაოდენობრივი კვლევის შედეგებითა და ანალიზით ავტორი მედიაგარემოს ამ კუთხით გაჯანსაღების კონკრეტულ რეკომენდაციებს წარმოადგენს.

Bondo Mdzinarashvili

Analytical TV Program - Point of Reference

ANNOTATION

Ethnic conflicts are a serious problem for the today's world. Thus it requires appropriate competence and qualification to cover the issue. Besides this, political aspects are also noteworthy, because myths and narratives are created for the political reasons that occupy significant space in the media agenda. The mass media have great responsibility while broadcasting issues related to the conflicts. Especially, considering complication and dynamics of conflict.

It is of great importance how ethnic conflicts are used for the manipulation in the inner political life, triggering information storm. Later, after calming down the temperature, it is transformed into the foundation for long-term information war. During political manipulations such important issue as ethnic conflict, becomes issue of greater public interest, consequently exposing competencies not only politicians and experts, but also qualification of journalists.
It is vital for the society to receive impartial and balanced information related to the ethnic conflicts, which is often impossible because of biased people engaged in the discussion of conflicts and journalists showing indifference towards the issue. Meanwhile it is interesting, what is the main motivation of those media outlets deliberately covering the problematic issue with straight line and subjective factors. It is very interesting what the share of politics and who benefits from broadcasting the problem from this point of view and not from various viewpoints.

Chaotic diversity of the Georgian media is well shown in various formats of TV or radio programs, newspaper articles or online-platforms, when discussing ethnic conflicts as one of the serious problems, central and secondary issues are mixed and priorities are lost, while special thematic program does not exist at all. Due to indifferent attitude, or lack of qualifications, Georgian media often loses when covering conflicts. The problem of media-awareness is especially exposed when the issues requiring deep and fundamental knowledge are discussed. Researchers pay great attention to this problem and at the same time, it becomes the issue of broad discussion in the society.

Actuality of the issue in the thesis is presented based on the results of various researches, as well as the author's own research and analyses highlighting problems hindering the coverage of ethnic conflicts.

From this thesis you would be able to learn about contemporary trends of content-analysis and accents of ethnic conflict coverage. And, with the results of semi-structured deep interviews and analysis of empirical examples the author proposes solution for the existing situation.

შინაარსი

ანოტაცია……..... i

Annotation…….……..... i

შინაარსი……..... i

შესავალი

- *თემის აქტუალობა* …….....……..…… 7
- *კვლევის მიზნები და ამოცანები* 9
- *კვლევის მეთოდოლოგია და დიზაინი*…..... 11
- *არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა*..... 27

თავი 1. ეთნოკონფლიქტების გაშუქება თანამედროვე სატელევიზიო მედიაში (2018-2019 წლები) 42

თავი 2. საინფორმაციო ანალიტიკური გადაცემა „ათვლის წერტილი“ - პროექტი..... 45

2.1. სინოფსისი 45

2.2. პრემისი 46

2.3. თრითმენთი 46

2.4. მიზნები და შედეგები 47

2.5. მარკეტინგული ანალიზი 48

2.6. მიზნობრივი აუდიტორია..... 49

2.7. დისტრიბუციის სტრატეგიები 49

2.8. პროდაქშენის ასპექტები 49

2.9. ბიუჯეტი 50

დასკვნა..... 51

- *შედეგები, ძირითადი მიგნებები*..... 53
- *რეკომენდაციები*..... 54

გამოყენებული ლიტერატურა..... 55

დანართები

- *დანართი 1* - სიღრმისეული (ნახევრადსტრუქტურული) ინტერვიუს მონაწილეთა სია და პასუხები (პოლიტიკოსები, ექსპერტები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები)..... 57
- *დანართი 2* - სიღრმისეული (ნახევრადსტრუქტურული) ინტერვიუს მონაწილეთა სია და პასუხები (ჟურნალისტები)..... 78
- *დანართი 3* - ინტერნეტგამოკითხვის შეკითხვები და პასუხები..... 96
- *დანართი 4* - თავფურცლის ინგლისურენოვანი ვერსია..... 105

შესავალი

- **თემის აქტუალობა**

თანამედროვე კონფლიქტებში და, განსაკუთრებით, ეთნოკონფლიქტებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უზარმაზარ შემაკავშირებელ და დამრტყმელ ძალას წარმოადგენს. ეს ერთგვარი საბრძოლო რესურსია, რადგან პროპაგანდის ხერხების გამოყენებით, ტელევიზიისა და პრესის დახმარებით, მიიღწევა ისეთი მნიშვნელოვანი მიზანი, როგორიცაა საზოგადოების, მათ შორის, საერთაშორისო საზოგადოების, კონფლიქტის მხარეებისთვის მხარდაჭერა. კონფლიქტის გაშუქებისას ჟურნალისტებისა და რეპორტიორების მიერ შექმნილი კონფლიქტის მონაწილეთა ხატებები და სტერეოტიპები განსაკუთრებულ როლს თამაშობს.

მე-20 საუკუნის დამლევს, საბჭოთა იმპერიის ნგრევისას, გაღვივდა ეთნოკონფლიქტები, რომელთა მიჩქმალვასაც მაშინდელი რეჟიმი საგულდაგულოდ ცდილობდა, ხოლო აღსასრულის ჟამს „წითელმა კრონოსმა“ „ხალხთა საპყრობილე“ სისხლიან სასაკლაოდ გადააქცია. ამ მხრივ საქართველო განსაკუთრებით დაისაჯა ორი ეთნოკონფლიქტით - აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში.

ეთნოკონფლიქტებზე საუბრისას გასათვალისწინებელია უმნიშვნელოვანესი ფაქტორი - მედიის განსაკუთრებული როლი: პროპაგანდისტებმა ძალიან კარგად იციან, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოქალაქეები მიეჩვივნენ და კვლავაც სწამთ ბეჭდური სიტყვისა ან სატელევიზიო რეპორტაჟის. განათლების წყალობით - აქტიურ მკითხველად, ხოლო თემის აქტუალობის გათვალისწინებით - აქტიურ ტელემაყურებლად ჩამოყალიბებული ხალხი გარე ვერსიების ზემოქმედებას უფრო მეტად ექვემდებარება, ვიდრე მესამე ქვეყნების მოსახლეობა, სადაც ასევე ადგილი აქვს ღია კონფლიქტებსა და შიდა ომებს. საზოგადოებაში, სადაც უწინ (საბჭოთა ეპოქაში) არსებობდა ერთგანზომილებიანი, „ზემოდან“ დირექტივებით ნაკარნახევი, ერთგვაროვანი განსაზღვრული აზროვნება, ცენტრიდან მომდინარე ვერსია მოვლენებისა, მედიას არ შეუძლია, არ შეასრულოს ჰიპერტროფიულად მნიშვნელოვანი როლი. მისი მეშვეობით „წარმოდგენათა პროფესიონალები“ მოქალაქეებს „სწორ“ წესებსა და მოვლენათა „სწორ“ შეფასებას განუსაზღვრავენ.

კონფლიქტურ სიტუაციებში ჟურნალისტური ვერსია უზარმაზარ შემრიგებლურ ანდა გამმიჯნავ ძალად იქცევა. ფაქტების, იდეების, სტერეოტიპების, სიტყვიერი შტამპებისგან შემდგარი ინფორმაციის გავრცელებით მედია მკითხველს, მაყურებელს აყალიბებს, გაანათლებს მათ და ართობს. შედეგად, მასობრივ ცნობიერებაში ამა თუ იმ საკითხის

მიმართ გარკვეული წარმოდგენები, მოსაზრებები და დამოკიდებულება ფორმირდება. თვალსაჩინოა, რომ მასალების უმრავლესობა მედიაში შემთხვევით არ ხვდება. როგორც წესი, მკითხველისთვის, მსმენელისა და მაყურებლისთვის სპეციალურად მომზადებული ინფორმაციის მიწოდებისას კომუნიკატორებს კონკრეტული მიზანი აქვთ: მრავალრიცხოვანი პროპაგანდრისტული ხერხის მეშვეობით მათ შეუძლიათ საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ ამა თუ იმ მოვლენისკენ, ხოლო სხვა, ზოგჯერ ვითომდა სენსაციური ან ნეიტრალური მასალით მისი ყურადღების მოდუნება შეუძლიათ. საინფორმაციო გამოშვებისთვის სიახლეების შერჩევისას ანდა ბეჭდურ მედიაში გასაშუქებლად, მედია თავის თავზე „რეალობის შემქმნელი-2“-ის როლს კისრულობს.[1]

დამწყები დოკუმენტალისტებისთვის კონფლიქტის თემატიკა დამაინტრიგებელი მასალაა „გასაყიდად“, როცა ნებისმიერ სხვა ინტერესს სენსაციისადმი მისწრაფება ჩრდილავს. „ზედმეტი ცოდნით“ დაუტვირთავი ჟურნალისტები, „ცხელ წერტილში“ მოხვედრისას საჭიროდ არ მიიჩნევენ ადგილობრივ პრობლემებში ანდა იმ ხალხების კულტურის თავისებურებებში გარკვევას, რომელთა შესახებაც საუბარს ან დაწერას აპირებენ. საზოგადოებაში, რომელიც მიეჩვია (კომუნისტური რეჟიმის წლებში) ერთგვაროვან, ზემოდან განსაზღვრულ აზროვნებას და ცენტრიდან მიღებულ მოვლენათა ერთგვარ ვერსიას, „წარმოდგენათა პროფესიონალები“, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დახმარებით, სუსტად მოდერნიზებულ, თუმცა, განათლებულ და აქტიურ მოქალაქეებს „სწორ“ ცხოვრების წესსა და მოვლენათა „მართებულ“ აღქმას უყალიბებენ.

მნიშვნელოვანია მასალის სენსაციურობა. სენსაცია პროპაგანდისტული ემოციალიზაციის ყველაზე ნაცადი გზაა. ემოციების გამწვავება მტკიცებულებებისა და არგუმენტების არარსებობის კომპენსაციის საშუალებას იძლევა. სენსაცია ჩვეულებრივ საინფორმაციო გამოშვების გამხსნელ სიუჟეტად, ან გაზეთის პირველ გვერდზე - მსხვილშრიფტიანი სათაურით გამოაქვთ, ხოლო სათაურში ეთნონიმის გამოტანა უკვე შეიძლება სტერეოტიპიზაციის მიზეზად იქცეს

განმეორება არის იმ "ფსიქოლოგიური ხრიკებიდან" ერთ-ერთი, რომლებიც არაცნობიერ მექანიზმებზე მოქმედებენ. ამ ხერხების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, სტერეოტიპები ძლიერდება და მდგრად ცრურწმენებში გადაზიარდება. გამეორების საშუალებით, აზრი მისი ავტორისგან გამოცალკევდება და იქცევა თვალსაჩინოებად, რომელიც დროს, ადგილსა და პიროვნებას არ ექვემდებარება.

---

[1] Stab, J.F., (1990), The Role of News Factors in News Selection: A Theoretical Reconsideration//European Journal of Communication, Vol.5, No.4, P. 440.

- **კვლევის მიზანი და ამოცანები**

საქართველოსთვის ეთნოკონფლიქტები ძალიან მტკივნეული თემაა და არა მხოლოდ წმინდად ემოციური (რაც ბუნებრივია), არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია, რადგან ჩვენთან ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტები შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, საომარ მოქმედებებს კი რუსეთის ფედერაციის (და კიდევ ორიოდ სახელმწიფოს) მიერ ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება მოჰყვა. საქართველოს კონფლიქტები მრავალმხრივ გამორჩეულია და საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრშიც მისი განსაკუთრებულობის გამო მოხვდა. შესაბამისად, რაკი მისი პრევენცია ვერ მოხერხდა, საჭიროა მოგვარებისთვის ზრუნვა, რაც მედიის წარმომადგენლებსაც მოეთხოვებათ, უპირველესად, კონფლიქტის ხასიათის კარგად შესწავლის და ანალიზის საფუძველზე.

საქართველოში კონფლიქტების ფართო სპექტრია: ინტერპერსონალური, ინტერჯგუფური, ოჯახური, ბიზნესკონფლიქტები, რელიგიური, პოლიტიკური და სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებიც, მაგრამ ამჯერად ჩვენი კვლევის სფერო ეთნოკონფლიქტები და იმის გარკვევაა, ამ თემატიკაზე მუშაობისას რამდენად მნიშვნელოვანია ჟურნალისტებისთვის ამ ტიპის კონფლიქტის არსში წვდომა და რამდენად აქვთ გააზრებული საკუთარი როლი კონფლიქტის პრევენციის თუ მოგვარების საქმეში.

ეთნოკონფლიქტზე საუბრისას ჟურნალისტს უნდა ესმოდეს კონფლიქტის ცნება, ელემენტარულად მაინც უნდა ერკვეოდეს, როგორია კონფლიქტის კონსტრუქციული და დესტრუქციული ფუნქციები, შემადგენელი ნაწილები, ტიპები, ესკალაციის ფორმები და სტადიები, მოლაპარაკების სახეები, სტილი, ფაზები, სტრატეგიები და ტაქტიკები, შუამავლის და მედიაციის სტრატეგიები, არბიტრაჟის სახეები, სიტუაციების ანალიზის ტექნიკა და მშვიდობის ინფრასტრუქტურის შემქნის ფაქტორები, ასევე, მედიის როლი და მნიშვნელობა კონფლიქტის დეესკალაციისთვის. ამავდროულად, ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ეთნოკონფლიქტს პროპაგანდა, პროცესების მიკერძოებული გაშუქება და ფეიქ-ნიუსების მიზანმიმართული გავრცელება აღვივებს.

ადამიანის საქციელის მართვა შესაძლებელია მის ცნობიერებაში შესაბამისი ხატება-წარმოდგენების შექმნით, ზოგიერთი მათგანის წინ წამოწევითა და მეორეთა მიჩქმალვით. ბუნებრივია, ცნობიერებაზე ზემოქმედებისა და მისით მანიპულაციისთვის მნიშვნელოვანია ის ხატება-წარმოდგენები, რომლებიც ნეიტრალური არაა სოციალურ ჭრილში და შეიცავს სოციალურ-ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას, რომელიც უფრო ხშირად განსაზღვრულ ნეგატიურ შეფერილობას ანიჭებს მოვლენას, რომელსაც აღწერს. სტერეოტიპიზაციის მეთოდის საშუალებით ადამიანთა ცნობიერებაში ინერგება მითები

და ილუზიები, ითესება ცრურწმენები - ყალბი წარმოდგენა ეთნიკურ ჯგუფებზე. უოლტერ ლიპმანის მიერ შემოთავაზებული ტერმინი „სტერეოტიპი“ დროთა განმავლობაში წინასწარ შექმნილი უარყოფითი აზრის, ცრურწმენის სინონიმად იქცა.[2]

მასმედიით იქმნება „მტრის ხატი“, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამძაფრებს დაპირისპირებას და კონფლიქტის მოგვარებას ართულებს. ერთ-ერთი ყველაზე დამღუპველი ფაქტორი, რაც კონფლიქტის დროს ისედაც პოლარიზებულ საზოგადოებას ანაწევრებს და მათ შორის წინააღმდეგობას ზრდის, სწორედ „მტრის ხატის“ შექმნაა. ამგვარი მანიპულირებით, ცალკეული პოლიტიკური ჯგუფები საზოგადოების განწყობებით თამაშს და მის კონტროლს ახერხებენ. ამ დროს თითქმის შეუძლებელი ხდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების კრიტიკული გააზრება, რაც პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღებას აბრკოლებს. კონფლიქტის წარმოქმნისას, როცა ერთდროულად მრავალი საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრის აუცილებლობაა, სტერეოტიპები, ხატებები და მითები მანიპულაციის მოსახერხებელ საშუალებად იქცევა და უმეტესწილად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით.

როლანდ ბარტი მითს უწოდებს განსაკუთრებულ საკომუნიკაციო სისტემას, მეტაენას, სუპერენას, რომელიც ქმნის ფარულ იდეოლოგიურ დისკურსს. ერთი მხრივ, მითი რეალობის შეცვლას ცდილობს, მეორე მხრივ კი,თავის იდეოლოგიურ საფუძვლებს მალავს და წარმოჩინდება, როგორც ბუნებრივი მოვლენა. ბარტის თქმით, მითი არა არქაული ცნობიერების, არამედ თანამედროვე კულტურის დიდი ნაწილია, რომელიც სარეკლამო კამპანიით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და სხვა ნარატივებით რეალიზდება.[3]

ჩვენი კვლევის მიზანია, გავიგოთ:

1. ჩამოყალიბებული სტერეოტიპები ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე რამდენად დიდ გავლენას ახდენს და მედიის დღის წესრიგი საზოგადოებაში კონფლიქტის შესახებ წარმოდგენების ფორმირებას როგორ განსაზღვრავს;

2. ეთნოკონფლიქტების სწორად გააზრებას რამდენად შეუწყობს ხელს სპეციალური გადაცემა, რომელშიც ამ უმნიშვნელოვანეს თემაზე მხოლოდ მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური ადამიანები იმსჯელებენ.

---

[2] Frey, S., (1998), Prejudice fnd Inferentail Communication: A New Look at an Old Problem/Indoctrinability, Ideology, and Warfare. - NY-Oxford: Berghahn Books. P. 192.

[3] Барт, Р., (1994), «Миф сегодня», Избранные работы: Семиотика. Поэтика. Москва, Прогресс. стр. 72-130).

- **კვლევის მეთოდოლოგია და დიზაინი**

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი, შინაარსობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდს და კონტენტანალიზს.

თვისებრივი კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ, რადგან ჩვენი ინტერესი შემოსაზღვრული იყო კონკრეტული საკითხით და დაახლოებით ისიც ვიცოდით, რის გარკვევა გვსურდა. გამოკითხვის დროს დავიცავით პროტოკოლი - მომზადებულ შეკითხვებთან ერთად, საინტერესო და კვლევისთვის რელევანტური საკითხების უფრო დეტალურ გამოკვლევისთვის, რესპონდენტებს დავუსვით დამატებითი შეკითხვებიც, რომლებზე პასუხებიც მთავარი შეკითხვების პასუხებში გავაერთიანეთ. დაგვჭირდა ე.წ. „ზონდირების“ (ამოქაჩვის) მეთოდიც, თუმცა პროფესიონალებს ვესაუბრებოდით. თითოეული ინტერვიუ გაგრძელდა 10-15 წუთის განმავლობაში. ინტერვიუს შემდეგ, შეთანხმებისამებრ, რამდენიმე რესპონდენტს ტელეფონით დავუკავშირდით გარკვეული დეტალების დასაზუსტებლად.

რესპონდენტებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება არ გაგვჭირვებია და ინტერვიუები ნდობისა და კეთილგანწყობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა

კვლევა მოიცავდა ასევე ქართული სატელევიზიო მედიის (საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, ობიექტივი) კონტენტანალიზს.

თვისებრივი კვლევის დროს, სიღმისეული (ნახევრად სტრუქტურული) ინტერვიუსთვის შევარჩიეთ რესპონდენტთა ორი ჯგუფი 6-6 მონაწილით. პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, კონფლიქტოლოგი და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ხოლო მეორე ჯგუფში ჟურნალისტები საგანგებოდ იმ პრინციპით შევარჩიეთ, რომ არც ერთი მათგანი არ მუშაობს რომელიმე სატელევიზიო არხზე.

ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუსთვის პირველ ჯგუფში შევიდნენ: ადა მარშანია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 1992 წელს არჩეული წევრი და ერთადერთი აფხაზი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში; გუგული მაღრაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის: „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ ხელმძღვანელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ზაზა ცოტნიაშვილი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რომუალდო დელ ბიანკოს საერთაშორისო ფონდის პოლიტიკური ექსპერტი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის პროფესორი, ცხინვალის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი; პაატა ზაქარეიშვილი, კონფლიქტოლოგი, საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში; თამარ კიკნაძე და ვახტანგ მაისაია, პოლიტოლოგები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორები **(იხ. დანართი 1).**

მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ ჟურნალისტები: მამუკა არეშიძე, ჟურნალისტი, ექსპერტი კავკასიის საკითხებში, სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი, ყოფილი დეპუტატი; გოგა აფციაური, ჟურნალისტი, რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტი შიდა ქართლში, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია, კონფლიქტის ზონაში მუშაობს; ლია ჭიღლაძე, ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ჟურნალისტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; ნანა დევდარიანი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ყოფილი სახალხო დაცველი; არმაზ სანებლიძე, ჟურნალისტი, სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი თავმჯდომარე, მუშაობდა კონფლიქტის ზონებში საქართველოში; გიორგი ფოფხაძე, ჟურნალისტი, ევროპული სააგენტოების თანამშრომლის სტატუსით აშუქებდა ეთნოკონფლიქტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. **(იხ. დანართი 2).**

რესპონდენტების გაფრთხილებული იყვნენ კვლევის მიზნებთან დაკავშირებით და ვთხოვეთ, მაქსიმალურად გულახდილად ეპასუხათ.

თითოეულ რესპონდენტს დავუსვით 10-10 შეკითხვა, რომელთაგან 9 დახურული იყო, ერთი კი ღია:

1. რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?
2. ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიის და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?
3. რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?
4. ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?
5. ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?
6. პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?

7. ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?
8. მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?
9. რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?
10. რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.

რესპონდენტების პასუხებიდან გამოიკვეთა, რომ ეთნოკონფლიქტების გაშუქება წლების წინ მეტ-ნაკლებად აქტუალური იყო, ახლა კი აქტუალური არ არის, თითქმის დავიწყებულია და „მხოლოდ მაშინ აქცევენ ყურადღებას, როცა ვითარება იძაბება. მაგალითად, ადამიანებს აკავებენ საოკუპაციო ხაზთან. მაგრამ თუ ცხინვალში ხდება რამე, ან საოკუპაციო ხაზთან, ყურადღების მიღმა რჩება. ვგულისხმობ ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებს. დღეს მედია უფრო ფოკუსირებულია სენსაციაზე, სკანდალზე და პრობლემაზე, რომელიც მარტივად გასაშუქებელია და სიღმისეულ გააზრებას არ საჭიროებს“ (გოგა აფციაური). ნანა დევდარიანი ფიქრობს, რომ „ეთნოკონფლიქტების თემა აქტუალური ხდება მაშინ, როცა მისი გამოყენება შიდაპოლიტიკურ პროცესში ხელისუფლების წინააღმდეგ (ან სასარგებლოდ) „მუშაობს“. სხვა დროს არც ეთნოკონფლიქტების წარმოშობის, არც მათი რეალური მდგომარეობის ან გადაწყვეტის პერსპექტივა ტელემედიისთვის არააქტუალურია. საზოგადო ზერელობა, რომელიც ქართულ ტელევიზიებს ახასიათებს, აქ განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანია. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აკვირდებიან კონფლიქტის გაშუქებას და შესაბამისი დასკვნები გამოაქთ. „ისრები“ ყოველთვის მხოლოდ რუსეთზეა გადაყვანილი, რაც სწორედ სეპარატისტული რეგიონებისთვისაა ხელსაყრელი და არა საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის.“ თამარ კიკნაძე აღნიშნავს, რომ ეთნოკონფლიქტები „დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.“ გუგული მაღრაძემ გვიპასუხა, რომ „ეთნოკონფლიქტების გაშუქებას უნდა ჰქონდეს თავისი გარკვეული მიზანი და გათვალისწინებული უნდა იყოს სიტუაცია. არის სიტუაცია, როცა აუცილებელია ეთნოკონფლიქტის გაშუქება, არის ისეთი სიტუაციაც, როდესაც ძალიან გამწვავებულია ეთნოკონფლიქტი და ასეთ შემთხვევაში სულ სხვანაირად უნდა გაშუქდეს, - ისე, რომ ხელი შეუწყოს ცეცხლის შეწყვეტას და კონფლიქტის მოგვარებას. ხანდახან არის სიტუაციები, როდესაც რადიკალიზაციაც შეიძლება საჭირო იყოს. თავისთავად, თუ რამე კონკრეტული ამბავია, ეს უნდა აისახოს, მაგრამ ერთია, რომ შეიძლება აისახოს და მეორეა ინტერპრეტაცია, რომელიც ხანდახან

გამართლებულია.“ ზაზა ცოტნიაშვილის აზრით, „ტელევიზიებისთვის ეთნოკონფლიქტების გაშუქება აქტუალურია, რადგან, ქართულ მედიასივრცეს თუ გავითვალისწინებთ, ეთნოკონფლიქტები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა. რა წარმომავლობა აქვთ თვითონ ეთნოკონფლიქტებს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ჩამოყალიბებული კონფლიქტები, რომლებიც ჩვენთან არსებობს და დღეს ერთგვარი სტაგნაციის პროცესშია, მე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან აქტუალურია ტელევიზიებისთვის.“ პაატა ზაქარეიშვილი არ იზიარებს მედიის კრიტიკას ეთნოკონფლიქტების გაშუქებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, „ნებისმიერი კონფლიქტის გაშუქება აქტუალურია და მით უმეტეს, ჩვენი კონფლიქტების.“ ვახტანგ მაისაია საგანგებოდ გამოყოფს ტელეკომპანია „ობიექტივს“, რომელიც ეთნოკონფლიქტებს ყურადღებას უთმობს, „მაგრამ დანარჩენი ტელევიზიების მიდგომები ამ საკიtხის მიმართ აბსოლუტურად იგნორირებულია.“ გიორგი ფოფხაძემ გაიხსენა იუგოსლავიის კონფლიქტი ბოსნია-ჰერცოგოვინაში. როდესაც ყველა წამყვანი საერთაშორისო ტელეკომპანია ამ ეთნოკონფლიქტის გაშუქებით იწყებდა ახალი ამბების გამოშვებას.

ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას ჟურნალისტების პოლიტიკური მიკერძოებულობა საგრძნობია და ამას ჩვენი რესპონდენტებიც აღნიშნავენ. თუმცა, „თუ უფრო კვალიფიციურია ჟურნალისტი, მას ესმის, რომ, განსაკუთრებით, ეთნოკონფლიქტებზე საუბრისას ის უნდა იყოს მაქსიმალურად ტოლერანტული და ნეიტრალური.“ (ადა მარშანია). გოგა აფციაური ტერმინებშით ხვდება, არის თუ არა ჟურნალისტი მიუკერძოებელი. „როცა რეპორტაჟს ვუყურებ, ტერმინოლოგიით ვხვდები ჟურნალისტის განწყობას. ხშირ შემთხვევაში ნეიტრალური ტონი იკარგება. ეთნიკურ ჯგუფს არ უნდა ველაპარაკებოდეთ სტერეოტიპებით, რომელსაც ხშირ შემთხვევაში მედია აღრმავებს. მაგალითად, მოგისმენიათ ალბათ, „კრიმინალი ოსები“. ეს ხელს უწყობს კონფლიქტის გაღრმავებას და არა - ტრანსფორმაციას. ცხინვალის მედიაში ისმის „ფაშისტური საქართველო“. სიძულვილის ენის გამოყენება არ შეიძლება. ჟურნალისტებს სიფრთხილე მართებთ ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას“, - გვითხრა ჟურნალისტმა რომელიც კონფლიქტის ზონაში მუშაობს. ნანა დევდარიანიც აცხადებს, რომ მიკერძოებულობა თითქმის ყოველთვის იგრძნობა. „მცოცავი ანექსია“ მუდამ ხელისუფლების მიმართ დარტყმისთვის გამოიყენება და არა პრობლემის გადაჭრის ორიენტირების გამოკვეთისთვის, ხელისუფლების მხარდამჭერი მედია კი, საპირისპიროდ, პრობლემის „გაუფერულებას“ ცდილობს და არავითარ პოზიტიურ სიგნალებს ეთნოკონფლიქტის საპირისპირო მხარისთვის არ შეიცავს. არმაზ სანებლიძისთვის გამაღიზიანებელია განსაკუთრებით, „ეგრეთ წოდებულის“ უადგილოდ ხმარება, რაცზოგჯერ ცინიზმამდეც მიდის. გუგული მაღრაძე ჟურნალისტის ხელოვნებაზე ამხვილებს ყურადღებას რომ მან

მოვლენის მიუკერძოებლად გადმოცემა შეძლოს. „ანალიზის დროს, ცხადია, მიკერძოება შეიძლება იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა აკადემიური ცოდნა. არსებობენ ანგაჟირებული ჟურნალისტები, რომლებიც ღიად გამოხატავენ ვიღაცის პოზიციას და ასეთ შემთხვევაში მიუკერძოებელი ვერ იქნებიან. თუმცა, ცხადია, უკეთესიცაა და სასარგებლოც, ჟურნალისტი შეეცადოს, ინფორმაცია ობიექტურად გადმოსცეს. მაქსიმალური ობიექტურობა ძნელია, მაგრამ ჟურნალისტის მოვალეობა სწორედ ეს არის.“ (გუგული მაღრაძე). ზაზა ცოტნიაშვილის აზრით, ძალიან რთულია, როცა შენი ქვეყნის ეთნოკონფლიქტებს აშუქებ, მიუკერძოებელი იყო. მაგრამ, „სწორედ ეს არის ობიექტური ჟურნალისტიკა და ეთნოკონფლიქტის ობიექტური გაშუქება, როდესაც ჟურნალისტს ყველა ის უნარი აქვს, რომ შეეცადოს მაქსიმალურად ობიექტურად გააშუქოს ყოველგვარი მიკერძოების ან სიმპათია-ანტიპათიის გარეშე.“ (ზაზა ცოტნიშვილი). პაატა ზაქარეიშვილი კატეგორიულად ამბობს, რომ რეპორტაჟში და სიუჟეტში, საინფორმაციო გამოშვებებში არ უნდა იგრძნობოდეს, მაგრამ საავტორო გადაცემაში, ბუნებრივია, უნდა იგრძნობოდეს. გადაცემის ფორმატზეა დამოკიდებული. ვახტანგ მაისაია იმ სიუჟეტების მიხედვით აფასებს, რაც უნახავს და ამბობს, რომ პოლიტიკური მიკერძოებულობა ნაკლებად იგრძნობა, თუმცა აშკარად ჩანს ჟურნალისტის მოუმზადებლობა ამ თემასთან დაკავშირებით. გიორგი ფოფხაძე ევროპულ გამოცდილებას გვიზიარებს: „ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას პირდაპირ აკრძალულია რაიმე სახის პოლიტიკური მიკერძოება. ეთნოკონფლიქტის გაშუქების მთავარი აქსიომური წესია: „ჩვენ მხოლოდ კადრებს ვაჩვენებთ და მხოლოდ ინფორმაციას გადავცემთ“.

ეთნოკონფლიქტების არაეთიკურად და უპასუხისმგებლოდ გაშუქებამ ჩვენი რესპონდენტების ყველაზე მეტი კრიტიკა დაიმსახურა. მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებული სიუჟეტებს იშვიათობასთან ერთად თვალშისაცემია საკითხის არცოდნა, უვიცობა, ზედაპირულობა და გაუაზრებლობაც, რაც ეთიკის ნორმების დარღვევას და უპასუხისმგებლოდ გაშუქებას განაპირობებს. გოგა აფციაურის თქმით, „ხშირ შემთხვევაში მედიისთვის უცხოა ეთიკური სტანდარტი. სტერეოტიპებით იკვებება როგორც საზოგადოება, ისე მედია.“ ნანა დევდარიანი უფრო მკვეთრია შეფასებებში: "სამამულო მედიები/ჟურნალისტები" მეტისმეტად მაღალი შეფასებაა – მამული და პროფესიონალიზმი დღევანდელ მედიაში არამოთხოვნადი კატეგორიებია. იგივე ეხება ეთიკასა და პასუხისმგებლობას, - როდესაც მედიასაშუალება მხარეს წარმოადგენს და პოლიტიკურად არის ანგაჟირებული, იგი სიტუაციას ხელოვნურად ძაბავს და ამძაფრებს, ან – პირიქით. კონფლიქტის მოგვარებაში გადამწყვეტ როლს მხარეებს შორის ნდობის აღდგენა ასრულებს. ნდობას კი არ იწვევს პოლიტიკური ძალის სამსახურში მდგომი მედია. აფხაზებისა და ოსების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ უარყოფით ჭრილში წარმოჩინდება, პოზიტიური ან ნეიტრალური მასალები არ მზადდება. ისინი

რწმუნდებიან, რომ ქართველებს მათი ყოფა არ აინტერესებთ და ტრენდი კვლავ „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა“ და არა მათი რეინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში.“ თამარ კიკნაძე ხაზს უსვამს ჟურნალისტების პროფესიული განათლებას: „ამ ვიწრო სპეციალიზაციას რაც შეეხება და, უპირველსად, სწორედ ეთნოკონფლიქტების პასუხისმგებლობით და ეთიკურად გაშუქებაზეც აისახება. ამიტომ მე სხვანაირად დავგეგმავდი მათ განათლებას.“ გუგული მაღრაძის აზრით, უპირველესად, არაპროფესიონალიზმი ჩანს. კონფლიქტებზე წერა ადვილი არ არის. ყველა დარგს თავისი სპეციალისტი ჰყავს. როგორც ეკონომიკას სჭირდება შესაფერისი ცოდნით აღჭურვილი ჟურნალისტი, ისე სჭირდება კონფლიქტების გაშუქებასაც. სხვა საკითხია მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემა, მაგრამ როდესაც რეპორტაჟი მზადდება, ჟურნალისტმა უნდა იცოდეს კონფლიქტის წინაისტორია, განვითარების ფაზები. ასეთ დროს ცოდნა უნდა ჰქონდეს. ძალიან ხშირად ჩვენს სამამულო ჟურნალისტიკაში ვხედავთ კონფლიქტის ისეთ „გაშუქებას“, როდესაც ჟურნალისტი კონფლიქტს აღრმავებს.“ ზაზა ცოტნიაშვილის თქმით, ზოგადად, ჟურნალისტიკის პრობლემები ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. „ალბათ ეთნიკური კონფლიქტების გაშუქების მიმართულებითაც გვაქვს გარკვეული პრობლემები. თუმცა, იმასთან შედარებით, რაც იყო ადრეულ პერიოდში, როდესაც აბსოლუტურად სხვა განზომილებაში განიხილებოდა კონფლიქტი პუბლიცისტური და ჟურნალისტური თვალსაზრისით, დღეს წინგადადგმული ნაბიჯები არის. სამომავლოდ ალბათ უფრო მეტად იქნება ჟურნალისტიკა ეთიკური თვალსაზრისით უკეთესი, ვიდრე ის დღეს არის. ალბათ ამას დრო სჭირდება. (ზაზა ცოტნიაშვილი). პაატა ზაქარეიშვილმა გვითხრა, რომ ჩვენთან ძალიან არაკორექტულად, მხოლოდ ერთ მხარეს აშუქებენ. პრაქტიკულად, არანაირად არ იგრძნობა მეორე მხარის პოზიციები. ვახტანგ მაისაიას თქმით კი ძირითადად კონფლიქტები შუქდება ცოტა სუბიექტურად და არ ითვალისწინებენ მეორე მხარის თვალსაზრისს. დაბალანსებული არ არის. უფრო მეტად არის ისეთი სიუჟეტები, როცა ერთ მხარეს უფრო პოზიტიურად წარმოაჩენენ. გიორგი ფოფხაძემ ამჯერადაც საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარა: „გააჩნია სად აშუქებენ და ვინ აშუქებს, ეთნოკონფლიქტში მონაწილე მხარეები, როგორც წესი (ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, რაც მე მინახავს ჩეჩნეთის, აფხაზეთის, თუნდაც ბოსნია-ჰერცოგოვინის კონფლიქტების დროს), მიკერძოებულად და მხოლოდ „საკუთარი გადმოსახედიდან“ აშუქებენ. თუ საერთაშორისო ტელევიზიებზეა საუბარი, აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ინფორმაციული მასალა გადის ეთერში. ერთადერთი გამონაკლისი, მე რაც მინახავს, იყო და, სამწუხაროდ, ახლაც არის, საფრანგეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი France 2 ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს რატომღაც ყოველთვის მიკერძოებულად, პალესტინის მხარის სასარგებლოდ აშუქებს, არადა France 2-ის თელავივის ბიუროს ჟურნალისტი თავად არის ეროვნებით ებრაელი.“

ინტერვიუს დროს უმნიშვნელოვანესი იყო ეთნოკონფლიქტები და ტელევიზიების დღის წესრიგი. ეთნოკონფლიტების გაშუქებისას ტელევიზიების დღის წესრიგზე გავლენა და ტელევიზიების დღის წესრიგის გავლენა ეთნოკონფლიქტებიოს გაშუქებაზე, ერთგვარი ჯვარედინი შეკითხვები იყო, მაგრამ რესპონდენტები ადვილად ჩაწვდნენ ინტერვიუერის ჩანაფირს და საინტერესო პასუხებიც გასცეს. კონფლიქტის გააქტიურება და გამწვავება, მისი არსი და მხარეები, სენსაციურობა, სკანდალურობა, პრობლემის ზედაპირზე ამოსვლა, ეთნოკონფლიქტის სიმწვავის ხარისხი და პოლიტიკური მიზანშეწონილობა, მოვლენების კალეიდოსკოპურობა, ეთნოკონფლიქტის მხარე, იმ დღეს მომხდარი ამბის აქტუალურობა, - ძირითადად ასეთი პასუხები მივიღეთ, თუმცა იყო რჩევაც ჟურნალისტების მიმართ: „მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ცეცხლზე ნავთის დასხმა არ შეიძლება“ (ადა მარშანია). „მაგრამ იქ როგორ ცხოვრობს ხალხი, რა პირობებში ცხოვრობენ, მედიას არ აინტერესებს, რადგან ეს არ არის ყურებადი მასალა“ (გოგა აფციაური).

რაც შეეხება ტელევიზიის დღის წესრიგის გავლენას ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე, აქ გამოიკვეთა, რომ ტელევიზიის დღის წესრიგი დიდ ან ძალიან დიდ გავლენას ახდენს და „ყველა ტელევიზია თავისი დღის წესრიგის მიხედვით აშუქებს ეთნოკონფლიქტებს“ (გოგა აფციაური). „ფაქტობრივად, ამინდს ქმნის ტელევიზიების დღის წესრიგი. ამ მხრივაც მანიპულაციას მიმართავენ“ (ლია ჭიღლაძე). „ტელევიზია ვის და რის ზეგავლენის ქვეშაც არის, იმის მიხედვით აშუქებს. თუ ის პატიოსნად ემსახურება ქვეყანას, მისი დღის წესრიგში იქნება ის, რაც აქტუალურია ეროვნული ინტერესებისთვის“ (ადა მარშანია). ნანა დევდარიანი ამბობს,რომ „როდესაც ტელეკომპანია პოლიტიკური მხარეა, ეთნოკონფლიქტების გაშუქებაც სწორედ მხარის ინტერესებს პასუხობს. ქართული ტელებაზარი სინამდვილეში პოლიტიკურ მხარეთა შერკინებაა და, შესაბამისად, ტელეკომპანიების დღის წესრიგი მთლიანად ამ პარადიგმაში უნდა განვიხილოთ. ამოცანა არა კონფლიქტის მოგვარების გზების მოსინჯვა, არამედ პოლიტიკურ მხარეთათვის პრეფერენციების შექმნაა.“ არმაზ სანებლიძის თქმით, „ტელევიზიები თავიანთი დღის წესრიგის მიხედვით და ხშირად არასრულყოფილად აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს, რადგან მათთვის ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თემა არ არის.“ გუგული მაღრაძემ გვითხრა,რომ „ტელევიზია მაინც ვიღაცის ინტერესებს ემსახურება და ეთნოკონფლიქტების გაშუქების დროს მნიშვნელობა აქვს იმას, ვის წისქვილზე ასხამს წყალს კონფლიქტის ამა თუ იმ ფორმით გაშუქება.“ ზაზა ცოტნიაშვილი ტელევიზიების დღის წესრიგში ცვლილებებს გვთავაზობს: კონფლიქტებს გარკვეულ დროს უთმობენ და, ვფიქრობ, კარგი იქნება, რომ მაღალკვალიფიციური ადამიანების წარდგენით, მაღალაკადემიურ დონეზე და, ამავე დროს, პოპულარულ ენაზე მსჯელობდნენ

კონფლიქტებზე, თუ რასთან გვაქვს საქმე, რათა საზოგადოება მაქსიმალურად ზუსტად იყოს ინფორმირებული კონფლიქტებთან დაკავშირებით.“ პაატა ზაქარეიშვილი წუხს, რომ თითქმის ყველა ტელევიზიიდან გამქრალია ეთნოკონფლიქტების თემა: „ობიექტივში“ ყველაზე მეტად საუბრობენ, რადგან გადაცემების ფორმატი იძლევა ამის საშუალებას, თუმცა იქაც აკლია სიხშირე და სისტემატურობა. სხვაგან საერთოდ არ არის ეთნოკონფლიქტებზე საუბარი, - არც საზოგადოებრივ მაუწყებელზე, არც „რუსთავი 2“-ზე... სხვა საკითხებთან ერთად, კონფლიქტებზე მხოლოდ „ობიექტივში“ ვლაპარაკობ. სხვაგანაც მიწვევენ, მაგრამ იქ კონფლიქტები არ აინტერესებთ, უფრო პოლიტიკურ თემებზე ან მიმდინარე პროცესებზე ვლაპარაკობთ.“ დღის წესრიგთან დაკავშირებულ შეკითხვებზე ყველა რესპონდენტისგან თითქმის ერთნაირი პასუხები მივიღეთ: ტელევიზიის დღეს წესრიგი პირდაპირ გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტის დღის წესრიგზე, „რამეთუ ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკას და ჟურნალისტის წარმოთქმულ ერთ სიტყვას შეუძლია ეთნოკონფლიქტი დააწყნაროს კიდეც და გააღრმავოს კიდეც“ (გიორგი ფოფხაძე).

პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი, ბუნებრივია, საზოგადოების ცხოვრებაზე აისახება. დავინტერესდით, რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე და საინტერესო პასუხებიც მივიღეთ. ადა მარშანიას თქმით, „ეთნოკონფლიქტებზე პოლემიკა და დებატები ძალიან რთულია. ერთი მხრივ, კარგია, როდესაც გვერდიდან მაყურებელი გაშიშვლებულად დაინახავს ორივე მხარის რადიკალურ მიდგომებს და პოზიციებს და თვითონ მიხვდება, რომ ოქროს შუალედი უნდა მოვძებნოთ, თუ გვინდა კონფლიქტის მოგვარება. მეორე მხრივ, ძალიან კარგად უნდა ვიცოდეთ კონფლიქტის ეთნოგენეზისი. ჩვეულებრივი მოქალაქე რომ ზედაპირულად მსჯელობს, არ მიკვირს, მაგრამ ჟურნალისტს და რესპონდენტს მეტი დაფიქრება მართებთ.“ გოგა აფციაური ამბობს, რომ „სხვადასხვანაირად შუქდება კონფლიქტის ზონაში არსებული მდგომარეობა. პოლარიზებული მედია ობიექტურობის შეგრძნებას კარგავს. არ ეძებენ სხვა წყაროებს, რომ უფრო ობიექტური და რეალური ინფორმაცია მიიტანონ მაყურებლამდე.“ ლია ჭიღლაძე ამბობს, რომ „პოლარიზების დროს ეთნოკონფლიქტები უკანა პლანზე გადადის.“ ნანა დევდარიანი ხელოვნური პლურალიზმის პირობებში ეთნოკონფლიქტის თემის შინაარსის დაკარგვაზე ამახვილებს ყურადღებას: „პლურალიზმი ქართულ ტელემედიაში ილუზიაა. არსებობს ლიბერალური დოგმები, სხვა დანარჩენი მარგინალური აზრია. აქ პოლარიზებაც აღარ არის აქტუალური, არის „მართებული“ აზრი და სხვა დანარჩენი მარგინალურია. ეთნოკონფლიქტის თემა ამ ხელოვნურ დაპირისპირებაში უბრალოდ „ითქვიფება“. თამარ კიკნაძემ გვითხრა, რომ „ პოლარიზებულ საზოგადოებაში უკიდურესი შეხედულებები და ულტრაგანწყობებია, რაც

ყველაფერზე უარყოფით გავლენას ახდენს. აფილირებული ტელევიზიები იყენებენ ამ თემას პოლიტიკური მიზნებისთვის. ხშირ შემთხვევაში ისინი ფინანსდებიან და იმიტომ არის ასეთი განწყობები, თორემ ქვეყნის ინტერესებში ნამდვილად არ შედის.“ არმაზ სანებლიძე ამბობს, რომ „ ნებისმიერი პოლარიზების დროს მიმდინარე დაპირისპირებას ამწვავებს და პრობლემის დადებითად გადაწყვეტას ართულებს“, გუგული მაღრაძე კი ყველაფერს ყველაფერთან აკავშირშირებს: „პოლარიზებული პოლიტიკური ველი იმას ნიშნავს, რომ მხარეებს თავისი ინტერესი აქვთ და ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რომ ერთიანი ინტერესი გვქონდეს. კი, ყველა ვამბობთ, რომ ჩვენთვის მთავარია ტერიტორიული მთლიანობა, „არა ოკუპაციას“ და ა.შ. მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფოს, ერის ერთიანი პოზიცია არ ჩანს. ამიტომ, რაც უფრო პოლარიზებულია, რაც უფრო დაპირისპირებულია პოლიტიკური ძალები, ეთნოკონფლიქტებიც მით უფრო არაობიექტურად და ამა თუ იმ მხარის ინტერესების გათვალისწინებით შუქდება.“ ზაზა ცოტნიაშვილი პოლარიზებული პოზიციებს ხშირ შემთხვევაში საინტერესოდაც მიიჩნევს აზრთა გაცვლა-გამოცვლის თვალსაზრისით, „მაგრამ თუ ეს პოლარიზაცია გარე პოლიტიკური ძალების მიერ არის ინსპირირებული, რასაკვირველია, ეს პრობლემაა და იწვევს საზოგადოების დაპირისპირებას, რასაც მედია ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს, რომ მაყურებლის თუ მკითხველის ობიექტური ინფორმირება შეძლოს.“ პაატა ზაქარეიშვილი და ვახტანგ მაისაია თანხმებიან, რომ პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი აშკარად აისახება და უარყოფით გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე. „განსაკუთრებით, პროპაგანდა. დღეს საქართველოში აშკარად გამოიკვეთა პროპაგანდისტული მედიაველი“ (ვახტანგ მაისაია). გიორგი ფოფხაძის თქმით, პოლარიზებული პოლიტიკური ველის არსებობა ეთნოკონფლიქტის ესკალაციას იწვევს. ჟურნალისტმა ამჯერადაც მაგალითი დაიმოწმა: „კატალონიაში ორი წლის წინ განვითარებული მოვლენების დროს ესპანური ტელევიზიები მხოლოდ მშრალი ინფორმაციის დონეზე აშუქებდნენ იქ არსებულ ძალიან კრიტიკულ მდგომარეობას და არასოდეს არ გადასულან რომელიმე „მხარის“ სასარგებლოდ.“

ინტერვიუს დროს დავინტერესდით, ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა. რესპონდენტთა პოზიციები გაიყო, თუმცა უმრავლესობამ მაინც სიმართლის თქმას დაუჭირა მხარი. ადა მარშანიამ გვითხრა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია და „სიმართლეზე უკეთესი პოლიტიკა არ არსებობს“, თუმცა იქვე განმარტა, რომ „არის მომენტები, როცა სიმართლე არ უნდა თქვა. არა იმიტომ, რომ რამე დამალო, არამედ არ გაამწვავო. მაგრამ ჩვენ თუ მართლა გვინდა წინ წავიწიოთ, გულწრფელი საუბრის, შეცდომების აღიარების გარეშე არ გამოვა. გულწრფელი საუბარია საჭირო და ამას ცოდნა და მოთმინება სჭირდება.“ მამუკა არეშიძის

აზრით, „ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. მძიმე რეალობის და მწარე სიმართლის თქმაც საჭიროა, მაგრამ თუ რამე კეთდება, ისიც უნდა ითქვას. ტყუილის თქმა არ შეიძლება.“ გოგა აფციაური ზოგად პასუხს, კონკრეტიკას ამჯობინებს: „ადამიანს უნდა მივცეთ საშუალება, გამოხატონ თავიანთი წუხილი. თუ მედია მიაჩუმათებს იმ რეალურ პრობლემებს, რაც ხალხს აწუხებს კონფლიქტის ზონაში, საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს, ამით სირაქლემის პოზიციაში ჩადგება და ის პრობლემა არსად გაქრება. მწარე სიმართლე უნდა გვესმოდეს. რა თქმა უნდა, სიძულვილის ენას არ ვგულისხმობ.“ ლია ჭიღლაძე წუხს, რომ „ამას არავინ აკეთებს“, არმაზ სანებლიძე კი დარწმუნებულია, რომ „ეს არის ეთნოკონფლიქტების მოგვარების ერთადერთი მეთოდი და საშუალება.“ ამ მოსაზრებას იზიარებენ პაატა ზაქარეიშვილი („უაღრესად მნიშვნელოვანია. ამის გარეშე კონფლიქტები ვერ მოგვარდება. სიმართლის თქმის გარეშე ჩვენ წინ ვერ წავალთ“) და ვახტანგ მაისაია („საკმაოდ მნიშვნელოვანია და, მე ვიტყოდი, ეს არის ათვლის წერტილი ნებისმიერი კონფლიქტის წარმოსაჩენად და შემდგომი მოგვარებისთვის ხელშესაწყობად“). ფრთხილი პოზიციით გამოირჩეოდნენ ნანა დევდარიანი („სიმწარესა და სკანდალზე ორიენტირება ეთნოკონფლიქტის გაშუქებას მხოლოდ აზარალებს. მნიშვნელოვანია ნდობის ელემენტების პოვნა და გაშუქება. ყველა ივიწყებს, რომ ამგვარი კონფლიქტების მოგვარება სახელმწიფოებრივი ან ზოგადპოლიტიკური თემა კი არა, ადამიანებს შორის ჩატეხილი ხიდების აღდგენის თემა უფროა. სახელმწიფო აქ მხოლოდ ინსტრუმენტია, მედია კი ამ „სანიშნებს“ უნდა ეძებდეს და არა - გამწვავების შანსს“), თამარ კიკნაძე („აქ ძალიან დიდი დაფიქრებაა საჭირო. ამაზე ძალიან ბევრი რამ მოქმედებს. შეიძლება რაღაცის დამალვა სასიკეთო გამოდგეს, ან უტრირება სჯობდეს. გააჩნია, როგორი პოლიტიკური კლიმატია და რა წაადგება ქვეყანას“), გუგული მაღრაძე („ჟურნალისტი უნდა შეეცადოს, რომ სიმართლე თქვას, მაგრამ, უპირველესად, იმაზე უნდა იფიქროს, ეს სიმართლე საერთო საქმეს ხომ არ ავნებს. ამიტომ აქაც ტაქტი და გონიერება მართებს; ინტუიციამაც უნდა უკარნახოს, რომ მისმა ნათქვამმა რამე არ გააფუჭოს“), ზაზა ცოტნიაშვილი („ჟურნალისტები, ბუნებრივია, უნდა იცავდნენ კანონის, არსებული მორალური ჩარჩოების ყველა პარამეტრს, მაგრამ ამავე დროს უნდა თქვას სიმართლე, ანუ უნდა აღწეროს რეალობა და მოსახლეობას უნდა ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია. თუმცა, გააჩნია შემთხვევას, რა დროს რა შეიძლება თქვა და რა - არა. ეს დარეგულირებულია კანონმდებლობით, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ცუდად იცავენ. ამავდროულად, ჟურნალისტი არ უნდა გასცდეს მედიის სტანდარტებს. თუმცა, ჟურნალისტმა სიმართლე უნდა თქვას აუცილებლად“) და გიორგი ფოფხაძე: („ეს აუცილებელია, თუ, რა თქმა უნდა, ეროვნულ ინტერესებს არ უპირისპირდება“).

მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით რესპონდენტთა აზრი ისევ ორად გაიყო: ნაწილი აცხადებს რომ ამგვარი ინფორმაცია უდავოდ ხელს შეუწყობს კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას, მეორე ნაწილი კი ჟურნალისტებს სიფრთხილის გამოჩენას ურჩევს. ვახტანგ მაისაია, გოგა აფციაური, პაატა ზაქარეიშვილი, ლია ჭიღლაძე, არმაზ სანებლიძე და გიორგი ფოფხაძე აცხადებენ, რომ მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაცია უდავოდ შეუწყობს ხელს დაძაბულობის შემცირებას და კონფლიქტის საბოლოოდ მოწესრიგებას და ამას ერთგვარი წინაპირობადაც წარმოგვიდგენენ, გიორგი ფოფხაძე კი ისევ კატალონიის მოვლენებზე და ესპანური ტელევიზიების მუშაობაზეა ამხვილებს ყურადღებას: „მათმა სარედაქციო პოლიტიკამ, მხოლოდ ინფორმაციულად გაეშუქებინათ კატალონიაში მიმდინარე მოვლენები, მაშინდელ „კონფლიქტში“ მონაწილე მხარეების დიდი ნდობა დაიმსახურა ესპანელი ჟურნალისტების და მთლიანად ტელევიზიების მიმართ.“ მამუკა არეშიძის აზრით მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება გარდატეხას ვერ შეიტანს, რადგან მაინც ცალმხრივია, - ქართული მხარე თავის სიმართლეს ლაპარაკობს, ეს სიმართლე კი ჩვენთვის მისაღებია. ნანა დევდარიანიც ეთანხმება მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას, თუმცა წარსულის მაგალითების შერჩევისას უკიდურესი სიფრთხილეს გვიღცევს: „წარსულში მხოლოდ სასარგებლო მაგალითების დაძებნა ერთგვარი ხაფანგია – მხარეები (და ჟურნალისტებიც, შესაბამისად) მათთვის სასარგებლო მაგალითს ეძებენ და პოულობენ კიდეც. აქ აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ პოზიტივი და ნეგატივი ორივე მხარეს არსებობს. ბალანსის დაცვა ურთულესია, მაგრამ აუცილებელი.“ თამარ კიკნაძე აცხადებს, რომ ზუსტი ინფორმაცია ზოგჯერ უკიდურეს განწყობებს იწვევს. მისი აზრით, „პოლიტიკის საჯაროობა ხშირად ხელს არ უწყობს პროცესების ქვეყნის საკეთილდღეოდ წარმართვას და ამაზე ბევრი პოლიტოლოგი და დიპლომატი წერს.“ გუგული მაღრაძის თქმით, პრინციპში, თუ ეს საერთო პოზიციის გამომხატველია, თუკი მართალი პოზიციაა და სხვა მიზნებს არ ემსახურება, ხელს შეუწყობს. „როდესაც მკითხველი, მსმენელი თუ მაყურებელი ხედავს, რომ ეს ობიექტურობას ემსახურება, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ზუსტი ინფორმაციის მიწოდება უკეთესია. მიკერძოებული სიმართლე არ ვარგა, როდესაც ვიღაცის ინტერესები ჩანს.“ ზაზა ცოტნიაშვილი კვლავ მედიის მაღალ სტანდარტზე და პასუხიმგებლობაზე ამახვილებს ყურადღებას: „მედიას, ბუნებრივია, შეუძლია კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებაზე იზრუნოს, მაგრამ იგივე მედიის გამოყენება ხდება კონფლიქტის ორგანიზატორების მხრიდან კონფლიქტის გაღვივების მიზნით. ამიტომაც, ჟურნალისტები მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ, რომ კონფლიქტის დარეგულირების სადარაჯოზე იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი მათზე არ არის დამოკიდებული. ამ გადაწყვეტილებებს ძირითადად „დიდი პოლიტიკოსები“ იღებენ ხოლმე და ხშირად მათ

ნებაზეა პროპაგანდა, საინფორმაციო დაპირისპირება და საინფორმაციო ომები მიმდინარეობს მედიის და ჟურნალისტების გამოყენებით, რაც სამწუხაროა.“ ადა მარშანიას თქმით კი, „ზოგჯერ ისეთი მძიმე ინფორმაციაა, რომ სწორად მიწოდებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.“

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო იმის გარკვევა, თუ რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას. მამუკა არეშიძის თქმით, ჟურნალისტს, რომელიც ეთნოკონფლიქტების თემაზე მუშაობს „ღრმა ცოდნა უნდა ჰქონდეს და პოლიტიკურ კონიუნქტურას აყოლილი არ უნდა იყოს. ან იმდენად მაღალპროფესიონალი უნდა იყოს, რომ კონიუნქტურა არ ჩანდეს.“ არმაზ სანებლიძე ფიქრობს, რომ, „უწინარეს ყოვლისა, გარკვეული უნდა იყოს პრობლემის ისტორიაში, საერთო წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ეთნოკონფლიქტების სპეციფიკაზე, ასე თუ ისე მაინც იცნობდეს ინტერვიუებს და წერილებს, რომლებსაც სპეციალისტები აქვეყნებენ.“ ლია ჭიღლაძის აზრით, „ჟურნალისტმა ეთნოკონფლიქტები მაღალი პასუხისმგებლობით უნდა გააშუქოს. ეს პრობლემა უნდა დაინახოს არა მხოლოდ წმინდა პროფესიული, არამედ სახელმწიფოებრივი პოზიციიდან. თუკი ასე იქნება, ძალიან ბევრი გზა გამოჩნდება, ძალიან ბევრ სიმახინჯესაც დავინახავთ საკუთარ თავში, რეალობა იქნება ძალიან მწარე, მაგრამ კონფლიქტების გადაჭრის გზებიც გამოჩნდება. ამასთან, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ჟურნალისტის კვალიფიკაცია.“ ნანა დევდარიანი საკითხის ისტორიის და თანამედროვე ტრენდების, რეალური ტრენდების და არა ხელოვნურად შექმნილი ფორმულების ცოდნაზე ამახვილებს ყურადღებას და ისტორიკოსებსაც ამუნათებს, რადგან „მათი ინტერვიუების უკონტროლოდ ციტირება ხშირად დამღუპველია. კრიტიკული აზროვნების უნარი აქ, ალბათ, გადამწყვეტია.“ გოგა აფციაური ამბობს, რომ „მედიის წარმომადგენლებს განათლება, წიგნიერება სჭირდებათ. განსაკუთრებით, ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას. ეს ძალიან სპეციფიკურია და მხოლოდ ჟურნალისტური პროფესიული თვისებები საკმარისი არ არის. ჟურნალისტს, რომელიც ამ თემაზე მუშაობას აპირებს, განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება, რომელიც სპეციალიზებულ სკოლებში უნდა მიიღონ და უნივერსიტეტებშიც უნდა ისწავლებოდეს კონფლიქტების ჟურნალისტიკა.“ გიორგი ფოფხაძემ გვითხრა, რომ „ჟურნალისტი უნდა იყოს აბსოლუტურად ნეიტრალური და მის მიერ დასმულ კითხვებში არ უნდა იყოს რომელიმე მხარის მიმართ სიმპატიები“ და არც ამჯერად დაგვტოვა პირადი მაგალითის გარეშე: „ძალიან ბევრ ცნობილ „ბოევიკთან“ და ტერორისტთან მქონია ინტერვიუ, მაგრამ არასოდეს არ მიგრძნობინებია, რომ მათდამი ძალიან დიდი ზიზღი გამაჩნდა და საერთოდ არ ვეთანხმებოდი მათ მიერ წარმოთქმულ არც ერთ სიტყვას.“ ადა მარშანიას აზრით, ეთნოკონფლიქტებზე მუშაობისას ჟურნალისტს მოეთხოვება ზოგადი განათლება, კულტურა, ტაქტი, საკითხის ცოდნა: „ეთნოკონფლიქტის შესახებ თუ არ იცის, არ უნდა

ილაპარაკოს.“ თამარ კიკნაძე უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ამ თემით დაიტერესებულ ქართველ ჟურნალისტებს: „ჟურნალისტი ძალიან ღრმად უნდა იცნობდეს თემატიკას. შეიძლება ზოგჯერ პოლიტოლოგზე ღრმად ჩახედულიც იყოს იმდენად, რამდენადაც, პლატონს თუ დავესესხებით, ზოგჯერ შეკითხვას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პასუხს. ჟურნალისტმა ხელი კი არ უნდა შეუწყოს კონფლიქტის გამწვავებას, პირიქით. ჟურნალისტს ძალიან დიდი როლი ენიჭება, რადგან პროფესიული თვისებები უნდა ჰქონდეს და, ამავდროულად, უნდა იყოს პოლიტოლოგიც. წარმატებული ქვეყნების ჟურნალისტების მომზადებულ სიუჟეტებს თუ ვნახავთ, ძალიან კვალიფიციურად არის მომზადებული და ძალიან დიდი პოლიტიკური დატვირთვა აქვს. მოხარული ვიქნები, თუკი ჩვენთანაც ასე იქნება.“ გუგული მაღრაძე კი ჟურნალისტისგან ელემენტარული ცოდნა მოითხოვს: „უნდა იცოდეს, რა არის კონფლიქტი, კონფლიქტის წყაროები, რა შეიძლება იყოს მიზანი და ა.შ. ბოლოს და ბოლოს, ტერმინებს უნდა იყენებდეს სწორად.“ ზაზა ცოტნიაშვილის თქმით, „კონფლიქტების და, კერძოდ, ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას ჟურნალისტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კონფლიქტების გაშუქების სპეციალური ცოდნა. გარდა იმისა, რომ მას უნდა შეეძლოს შეიარაღებული პროცესის გაშუქებაც, უნდა ჰქოდეს გარკვეული უნარები, რომ უშუალოდ ცოცხალი პროცესები წარმოაჩინოს, მძიმე ადამიანური ტრაგედიების და ვითარების აღწერა შეძლოს. ამავე დროს, მას უნდა ჰქონდეს ცოდნა იმ პროცესების, რომ მისი აღქმა და მერე ამ ინფორმაციის გავრცელება იყოს ადეკვატური.“ პაატა ზაქარეიშვილიც ჟურნალისტის მაღალი კვალიფიკაციის აუცილებლობაზე საუბრობს და ამბობს, რომ კარგად უნდა იცოდეს ეთნოკონფლიქტების ისტორია: „სამწუხაროდ, ახალგაზრდობამ პრაქტიკულად არ იცის და უფრო მითებით იკვებება, ვიდრე რეალობით. ეს ჩვენი თაობის ბრალიც არის. ჩვენ გვგონია, რომ რაკი ჩვენ ვიცით, მათაც უნდა იცოდნენ, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს კონფლიქტები ჩვენს თვალწინ მოხდა და ცოდნა პრაქტიკიდან მივიღეთ. საჭიროა აკადემიური ცოდნის გადაცემა. წიგნები უნდა გამოიცეს და კონფლიქტები უნდა ისწავლებოდეს, რაც არ ხდება.“ ვახტანგ მაისაია ჟურნალისტისგან მულტიგანათლებულობას მოიხოვს: „უნდა ჰქონდეს საკმაოდ ფართო წარმოდგენა არა მარტო კონფლიქტის კერაზე, არამედ სუბიექტების პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ არსთან დაკავშირებით; უნდა ჰქონდეს ისტორიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების და ნაწილობრივ ეკონომიკის ცოდნა და სტრატეგიული ანალიზის უნარი.“

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა არასაკმარისად მიიჩნევს ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას და რეკომენდაციებსაც გვთავაზობს. ადა მარშანიას აზრით, „აუცილებელია სპეციალური

გადაცემის კი არა, გადაცემების გაკეთება“, მამუკა არეშიძე კი რეგიონულ პოლიტიკაზე გადაცემას გაკეთებას გვთავაზობს, სადაც ეთნოკონფლიქტებსაც დაეთმობა ადგილი, „რადგან ამ ტიპის კონფლიქტებით მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ქმნიან პოლიტიკას“, მხოლოდ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე გადაცემა საჭიროდ არ მიაჩნია. გოგა აფციაური ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას კვლავ სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს მისი აზრით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაც: „საქართველოში ხალხმა, ფაქტობრივად, არაფერი იცის ბალკანეთში, ზოგადად, ევროპაში, ყოფილ საბჭოთა კავშირში თუ სხვაგან არსებულ ეთნოკონფლიქტებზე. სასურველია სპეციალური გადაცემების მომზადება, რომ მეტი ინფორმაცია მიიღოს მაყურებელმა.“ ლია ჭიღლაძის აზრით, კარგი იქნება, თუკი მაღალი კომპეტენციის ადამიანების მონაწილეობით მომზადდება სპეციალური გადაცემები. ეთნოკონფლიქტების შესახებ სპეციალური გადაცემის საჭიროებას ვერ ხედავს არმაზ სანებლიძე, „მაგრამ თუ ტელევიზიას აქვს პოლიტიკური თემატიკის გადაცემა, იქ დრო და დრო უნდა შეჯამდეს მიმდინარე კონფლიქტის დროს წამოჭრილი საკითხები, გაანალიზდეს, მოიძებნოს მოგვარების გზები და საშუალებები, განსაკუთრებით, - შეხების წერტილები. აქცენტები უნდა გაკეთდეს მიღწეულ შეთანხმებებზე, თუკი ასეთი არსებობს. აბსოლუტურად უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი მხარის უპირატესობაზე ლაპარაკი. უნდა მოვიშველიოთ ახლო წარსულის პოზიტიური მაგალითები ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან, სპორტიდან, თანაცხოვრებიდან, თუნდაც ომის პერიოდში ვინ ვინ გადაარჩინა ან როგორ და რანაირად შეუწყო ხელი კონკრეტულ ვითარებაში საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტას.“ თამარ კიკნაძე პრობლემას მასშტაბურ ჭრილში განიხილავს: „ჩვენ ორი ეთნოკონფლიქტი გვაქვს და ჩვენთვის ეს თემა ნამდვილად აქტუალურია. საერთოდ, ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ძალიან კონსტრუქციული მოქმედების გეგმა და ამ ეთნოკონფლიქტების გაშუქება პოზიტიურ შედეგს უნდა ემსახურებოდეს. შეიძლება სპეციალური გადაცემის მომზადებაც. გააჩნია, რა კუთხით გააშუქებ - ჟურნალისტი კონსტრუქციული იქნება თუ დესტრუქციული. ძალიან დიდი სიფრთხილე სჭირდება.“ გუგული მაღრაძე სიღრმისეული ანალიზი საჭიროებას ხედავს: „ერთია ამბის მიწოდება და ამბავი უსათუოდ უნდა გაავრცელოს მედიამ, მაგრამ უნდა იყოს დისკუსია, განსხვავებული აზრებიც. ეთნოკონფლიქტების თემა მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მოსახლეობისთვის და მედიამ ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს. პერიოდულობა და ხანგრძლივობა თვითონ განსაზღვრონ. ცუდი არ იქნება სპეციალური სატელევიზიო გადაცემის გაკეთებაც, მაგრამ ამ გადაცემებში უნდა ჩანდეს აკადემიური ანალიზი და არა ემოციური მსჯელობა პოლიტიკური მიზანშეწონილობის მიხედვით. ამ თემაზე სპეციალისტებმა უნდა ისაუბრონ, ვის მიმართაც ნდობა არსებობს. ასეთ შემთხვევაში ხალხი ეთნოკონფლიქტების შესახებ მეტ ინფორმაციას გაიგებს

კვალიფიციური ადამიანებისგან. როდესაც ამ საკითხზე ანგაჟირებული პოლიტიკოსები საუბრობენ, მოსახლეობას არ სჯერა და დადებითიც არაფერი მოაქვს ამგვარ დისკუსიებს.“ ნანა დევდარიანს ამ თემაზე საერთო სარედაქციო პოლიტიკის შემუშავება მიაჩნია ეფექტიანად, თუმცა, ჟურნალისტური რუტინიდან გამომდინარე, რთულად წარმოუდგენია, რომ ეს მოხერხდეს: „მთელ კონტენტში თემის გაშლა რაკი ვერ ხერხდება, იქნებ სატელევიზიო გადაცემის არსებობაც იყოს მიზანშეწონილი“. ზაზა ცოტნიაშვილისთვის, კონფლიქტების გაშუქებასთან დაკავშირებით, საინტერესოა სპეციალური გადაცემის გაკეთება, რადგან „მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით, ეს იქნება ძალიან კარგი საქმე, თუ მაღალი კვალიფიკაციის ადამიანები მოამზადებენ.“ პაატა ზაქარეიშვილიც სპეციალური სატელევიზიო გადაცემის საჭიროებას ხედავს, თუმცა არა ყოველდღიურად, არამედ ყოველკვირეულად. ვახტანგ მაისაიას თქმით, ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებული ინფორმაცია საკმარისი არ არის და აუცილებელია სპეციალური გადაცემის არსებობა: ”საჭიროა კომპეტენტური ადამიანების გარკვეული პერიოდულობით საუბარი ამ თემაზე. სასურველია არა კონცენტრირება ერთ რომელიმე კონფლიქტზე, არამედ რაც შეიძლება მეტი კონფლიქტის გაშუქება. ანალიტიკური ტიპის გადაცემა უნდა იყოს.“ გიორგი ფოფხაძეც კი კვლავ მეტ და კვალიფიციურად მოწოდებულ ინფორმაცის საჭიროებაზე საუბრობს და სპეციალური გადაცემების გაკეთების შესაძლებლობასაც უშვებს,, თუმცა, „იუგოსლავიის კონფლიქტის დროს, BBC-ზე და CNN-ზე იყო ასეთი გადაცემები, მაგრამ რაიმე დიდი შედეგი არ მოუტანია...“

რაოდენობრივი კვლევისთვის ვამჯობინეთ ინტერნეტ-გამოკითხვის - ყველაზე იაფი მეთოდის გამოყენება. მის ჩასატარებლად კითხვარი განვათავსეთ სპეციალურ საიტზე https://docs.google.com/forms/d/1W-bii_JWp91UiegAXt3nKpbUU0ra6ZtXlE0nQf-yexE/edit და სოციალურ ქსელ facebook-ში რამდენიმე ჯგუფში და ფბ-მომხმარებლის პროფილზე გაზიარებით ხელმისაწვდომი გავხადეთ პოტენციური რესპონდენტებისთვის. მათ საშუალება ჰქონდათ, მათთვის სასურველ დროს გაცნობოდნენ და მოსახერხებელ დროს ეპასუხათ.

მართალია, ონლაინ-გამოკითხვას ნაკლოვანებაც აქვს - მაღალია შერჩევის ცდომილებები და არარეპრეზენტატულია, რადგან კვლევა მხოლოდ იმ ადამიანებს მოიცავს, ვისაც ინტერნეტთან წვდომა აქვთ და სოციალური ქსელ FACEBOOK-ის მომხმარებელები არიან, მაგრამ საბოლოო შედეგმა გვიჩვენა, რომ გამოკითხვით სხვადასხვა ასაკის მომხმარებლები დაინტერესდნენ **(იხ. დანართი 3).**

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის 275-მა რესპონდენტმა. მათ შორის, 18-დან 30 წლისაა 17,1%, 31-დან 40 წლისაა 15,3%, 41-50 წლისაა 25,8%, 51-60 წლისაა 27,3%, ხოლო 61 წელზე ზემოთ - 14,5%. გამოკითხულთაგან 57,5% ქალია, 42,5% კი - მამაკაცი. უმრავლესობა მათგანი ეთნიკური ქართველია - 92,4%, თუმცა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ერთმა აფხაზმა, 12-მა ოსმა, ერთმა აზერბაიჯანელმა, 6-მა სომეხმა, ერთმა რუსმა.

გამოკითხული რესპონდენტებიდან 9,3% ენდობა ტელევიზიებს, 29,7% არ ენდობა, 17,2% უფრო ენდობა, ვიდრე არ ენდობა, 43,7% უფრო არ ენდობა, ვიდრე ენდობა. შეკითხვის - რა სახის ტელეგადაცემებს უყურებთ? - პასუხად რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის არჩევა შეეძლოთ: საინფორმაციოს გადაცემებს უყურებს 62%, პოლიტიკურს - 50,5%, გასართობს - 41,2%, სპორტულს - 48%, სხვა გადაცემებს - 15,8%.

გამოკითხული რესპონდენტების 17,9% თვლის, რომ ეთნოკონფლიქტებს ყურადღებას აქცევს საზოგადოებრივი მაუწყებელი, 30,1%-ის აზრით - იმედი, 59,5% - ობიექტივს ასახელებს, 15,4% - ტვ-პირველს, 21,5% - რუსთავი 2-ს, 3,9% - მაესტროს, 7,5% - კავკასიას, 9% - ტვ-პალიტრას, 17,6% - სხვა ტელევიზიებს.

ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას ტელევიზიებს პასუხისმგებლიანად მიიჩნევს 13,6%, უპასუხისმგებლოდ - 22,6%, უფრო პასუხისმგებლიანად, ვიდრე უპასუხისმგებლოდ - 27,6%, უფრო უპასუხისმგებლოდ, ვიდრე პასუხისმგებლიანად - 29%, სხვა პასუხი აქვს 7,2%-ს.

გამოკითხულთა 15,1%-ის აზრით, ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას ტელევიზიებზე ხელისუფლების გავლენა იგრძნობა, 24,4% მფლობელის გავლენას ასახელებს, 24% - ხელისუფლების და მფლობელის გავლენას, 43,7% - პოლიტიკური პარტიების გავლენას, 10,4% - რელიგიური კონფესიების გავლენას. 9%-ის აზრით, ტელევიზიები სრულიად თავისუფალია გავლენისგან, ხოლო 10%-ს სულ სხვა ვერსია აქვს.

ტელევიზიით ეთნიკური პრობლემის გაშუქება რა გავლენას ახდენს კონფლიქტზე? -ამ შეკითხვას მხოლოდ 11,8%-მა უპასუხა, რომ ხელს უწყობს მოგვარებას, ხოლო 14,3%-ის აზრით, ხელს უშლის. 24,4% თვლის რომ უფრო ხელს უწყობს მოგვარებას, ვიდრე ხელს უშლის, ხოლო 25,8% პირიქით ფიქრობს - უფრო ხელს უშლის მოგვარებას, ვიდრე ხელს უწყობს. 23,7%-ის აზრით, არანაირ გავლენას არ ახდენს.

ტელევიზიით ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას რა აუცილებელ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს გადაცემა? - გამოკითხულებს ამ შემთხვევაშიც რამდენიმე ვარიანტის არჩევის შესაძლებლობა ჰქონდათ. 58,8%-ის აზრით, აუცილებელია ჟურნალისტის კვალიფიკაცია. 39,4% ამბობს, რომ რესპონდენტის კომპეტენციაა მნიშვნელოვანი. საკითხის სიღმისეულ ცოდნას 76,3% მოითხოვს ჟურნალისტისა და რესპონდენტისგან, კონფლიქტის მოგვარებისადმი დამოკიდებულებას კი - 54,1%. სხვა პასუხი აქვს 3,2%-ს.

ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას ეთიკური ნორმების დაცვა მნიშვნელოვნად მიაჩნია 91,4%-ს, უმნიშვნელოდ - 2,2%-ს, უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე უმნიშვნელოდ - 5%-ს, ხოლო უფრო უმნიშვნელოდ, ვიდრე მნიშვნელოვნად - 0,4%-ს. სხვა პასუხი აქვს 1,1,%-ს.
გამოკითხული რესპონდენტების 71,7% ამბობს, რომ საჭიროა სპეციალური გადაცემა, რომელშიც მხოლოდ ეთნოკონფლიქტებზე ისაუბრებენ, 11,1% ამის საჭიროებას ვერ ხედავს, 13,3%-ის აზრით, ამ თემის საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქებაც საკმარისია, 3,9% კი არც ერთ ამ პოზიციას არ იზიარებს.
იმ ჟურნალისტების პროფესიონალიზმი, რომლებიც ეთნოკონფლიქტებზე მუშაობენ, ყველაზე მაღალი - 10 ქულით შეაფასა 7,5%-მა, ხოლო ყველაზე დაბალი ქულით - 12,5%-მა.

კვლევის შედეგად დადასტურდა ორივე ჰიპოთეზა:

1. ჩამოყალიბებული სტერეოტიპები ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს და მედიის დღის წესრიგი საზოგადოებაში კონფლიქტის შესახებ წარმოდგენების ფორმირებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს;

2. ეთნოკონფლიქტების სწორად გააზრებას შეუწყობს ხელს სპეციალური გადაცემა, რომელშიც ამ უმნიშვნელოვანეს თემაზე მხოლოდ მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური ადამიანები იმსჯელებენ.

○ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე დიდ გავლენას ახდენს როგორც პოლარიზებული პლურალიზმი, ისე პოლიტიკური პარალელიზმი. მედიის დღის წესრიგი ხშირად პოლიტიკურ დღის წესრიგს მიჰყვება და ჟურნალისტებიც ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორიც არის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, პოლიტიკური მიზანშეწონილობის მიხედვით აშუქებენ. ეთნოკონფლიქტებისადმი არაადეკვატურმა დამოკიდებულებამ, ხშირად ემოციურმა შეფასებებმა განაპირობა ამ ურთულესი თემატიკისგან მედიის დისტანცირება, რადგან „მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის მათი ეგზისტენციალური მნიშვნელობისა, მოვლენების სიღმისეული განხილვა არ მომხდარა არც ფართო საზოგადოებრივ, და არც საექსპერტო დონეზე; ხოლო თემისადმი მიძღვნილი დისკუსიები, ხშირ შემთხვევაში,

პოლიტიზირების მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა და არ ტოვებდა სივრცეს მიუკერძოებელი ანალიზისთვის.“[4]

საქართველოში მედიის რეალური დამოუკიდებლობის პირობებში, როგორც ადმინისტრაციული ზემოქმედებისა და ცენზურისგან, ისე კომერციული დიქტატისგან თავისუფალი მასმედია დღის წესრიგსაც თვითონ შეადგენს და ამ დღის წესრიგში ეთნოკონფლიქტების თემატიკა განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. მაგრამ ეს ასე არ არის და, პოლარიზებული პლურალიზმის კვალდაკვალ, აშკარა ან ფარული პოლიტიკური პარალელიზმი მედიაში უფრო მეტად იგრძნობა. ამ ვითარებაში, „კომერციული მედიაც შესაძლოა პოლიტიკურად მიკერძოებული იყოს და პირიქით, პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერილ, არაკომერციულ პრესას შეუძლია შეიმუშაოს ნორმები პოლიტიკური ბალანსის უზრუნველსაყოფად“.[5]

მაგრამ ხშირად პოლიტიკური მარწუხები მედიას იმდენად უჭერს, რომ თავის დაღწევა უჭირს. ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი კი მძიმე სოციალური მდგომარეობაა, რაც აფილაციის ხარისხზეც აისახება და „მედიაინსტიტუციების მზარდი კომერციალიზაციის კვალად, მორალური თუ პოლიტიკური იდეალები, რომლებსაც ზოგი ადრეული მედიამეწარმე მისდევდა, სულ უფრო ჩანაცვლდა პროდუქტიულობის და მომგებიანობის კრიტერიუმებით. თავისთავად მედიაპროდუქტები სულ უფრო სტანდარტიზებული და სტერეოტიპული ხდება; ისინი აპრიმიტიულებენ და ასენსაციურებენ მასალებს, ისინი სწრაფწარმავალი მოვლენებით ინტერესდებიან და დაკარგეს ყოველდღიური ცხოვრების ბანალურობებზე ამაღლების ყოველგვარი უნარი, რომელიც ოდესღაც შესაძლოა ჰქონოდათ. და მედიაპროდუქტის მიღება გახდა უბრალოდ მომხმარებლობის ერთ-ერთი ფორმა, ემოციების, გართობისა და სიამოვნების წყარო.“[6]

დღევანდელ ქართულ მედიაში „პოლიტიკურ პარალელიზმს რიგი განსხვავებული კომპონენტები და ინდიკატორები ახასიათებს საიმისოდ, რომ დავადგინოთ, რამდენად მკაფიოდ არის ის წარმოდგენილი მედიასისტემებში. ის, თუ რამდენად ასახავს სხვადასხვა მედიასაშუალება კონკრეტულ პოლიტიკურ ორიენტაციას ახალი ამბების

---

[4] კონფლიქტები საქართველოში: მიმდინარე ეტაპის თავისებურებები და ამოცანები. კავკასიური სახლი, 2015, გვ. 3.

[5] ჰელინი, დ., მანჩინი, პ., (2015), „მედიასისტემების შედარება. მედია და პოლიტიკური სისტემების სამი მოდელი“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 32.

[6] თომპსონი, ჯ.ბ., (2014), მედია და მოდერნულობა. მედიის სპეციალური თეორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 323.

თუ მიმდინარე მოვლენების გაშუქების დროს, ზოგჯერ კი გასართობ გადაცემებში, როგორც წესი, მედიაშინაარსში ვლინდება.“[7]

ისეთმა მძლავრმა საზოგადოებრივმა ძალამ, როგორიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობაც არ უნდა დაკარგონ. თუკი მიზნად აქვს დასახული საზოგადოებრივ აზრზე მონოპოლიური დიქტატის მსხვრევა, მონოპოლიის უღელი არც მედიას უნდა ადგეს. დემოკრატიის ეფექტიანი ინსტრუმენტი რომ იყოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაფინანსების დემოკრატიულ ფორმებს უნდა შეეჩვიონ და საზოგადოების ნებისმიერ ფენას საშუალება უნდა ჰქონდეს, ბოლო წლების უდიდესი მონაპოვარით – სიტყვის თავისუფლებით ისარგებლოს.

პროფესორ მარინა მუსხელიშვილის აზრით, „კარგად სტრუქტურირებული დისკურსი, რომელიც დღის წესრიგის ფორმირებისა და ფრეიმინგის თანმიმდევრულ გამოყენებას ეყრდნობა, შეიძლება განვიხილოთ როგორც მითოლოგია — რეალობის ვირტუალური განვრცობა სივრცეში და დროში, რომელსაც ჰყავს თავისი გმირები და ანტიგმირები, აქვს სიმბოლოები და ნარატივები, პერსპექტიული, დინამიური ათვლის წერტილები და ისტორიული მოვლენები. ტელევიზიას ამგვარი მითოლოგიის შექმნის ყველა შესაძლებლობა გააჩნია.“ [8]

ეთნოკონფლიქტის მონაწილე მხარეების მითოლოგიზება და „მტრის ხატი“ შიდა პოლიტიკურ დისკურსზეც დიდ გავლენას ახდენს. განსაკუთრებით, გაჭიანურებული კონფლიქტების პირობებში. ამ დროს არამარტო დისკურსის, არამედ პოლიტიკური და, რასაკვირველია, მედიაანალიზი უმნიშვნელოვანესია. საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისას სწორედ „მტრის ხატს“ მიმართავენ, რადგან ამ დროს გამოიკვეთება „მსხვერპლი“ და „მხსნელი“ და იკარგება საღი აზრი, შიდა პოლიტიკური ცხოვრების სტაგნაცია კი დემოკრატიულ პროცესს აფერხებს. იდეოლოგიური პარადიგმა თითქმის არ იცვლება, ხოლო დისკრიმინაციული მედია-დისკურსი რეალობის სწორად აღქმას მთლიანად გამორიცხავს. განხეთქილება კიდევ უფრო ღრმავდება და იზრდებიან თაობები, რომელთა გონებაში „მტერი“ კიდევ უფრო სასტიკი და ბოროტია. ერის ფსიქოლოგიაში მტრის ხატის მყარად ფორმირებისას „ჩვენ“, „ისინი“ და „სიმართლე“

---

[7] ჰელინი, დ., მანჩინი, პ., (2015), „მედიასისტემების შედარება. მედია და პოლიტიკური სისტემების სამი მოდელი“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 34.

[8] მუსხელიშვილი,მ.,(2015), „კრებული არჩევანი. პოლიტიკური არჩევანი მედიაში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, გვ.98.

ხშირად ერთმანეთში იმღვრევა, ხოლო ესენციალისტურ[9] დისკურსსა და თანამედროვე პოსტმოდერნულ აზროვნებას შორის არსებული განხეთქილება ადასტურებს, რომ ახალი თაობა სწორედ მითებზე იზრდება, რასაც ხშირად საზოგადოება სტაგნაციამდე მიჰყავს და ღირებულებათა ჩიხში აქცევს.

მედიის ფართო მონაწილეობამ ეთნიკური, ასევე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მართვასა და გაშუქებაში, მედიის გამოყენებამ ეთნიკური სტერეოტიპების და ხატებების შექმნასა და ტირაჟირებაში სერიოზული პრობლემები შექმნა და აღნიშნულ პრობლემატიკას მეცნიერთა ფართო წრის ყურადღება მიაპყრო.

ტერმინი „სტერეოტიპი“ მეცნიერებაში ამერიკელმა ჟურნალისტმა, სოციოლოგმა, აშშ-ის პრეზიდენტების - თ. რუზველტისა და ჯ. ჯონსონის მრჩეველმა, სტერეოტიპების თანამედროვე თეორიის აღიარებულმა შემქმნელმა უოლტერ ლიპმანმა შემოიღო და სტერეოტიპიზაციას პროპაგანდის საფუძველი უწოდა. ნაშრომში „საზოგადოებრივი აზრი“ მან აღწერა სტერეოტიპი, როგორც „ჩვეულებრივი ცნობიერების დამახასიათებელი მოვლენა, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის მისწრაფებაზე, სამყაროს მრავალფეროვნება რამდენიმე განსაზღვრულ კატეგორიაში მოაქციოს და ამით მოვლენათა აღქმა, გაგება და შეფასება შეიმსუბუქოს.“[10]

ტრადიციულად, ამ სფეროში კვლევის უმრავლესობა ეთნიკურ სტერეოტიპებს ეძღვნება. ამ თვალსაზრისით კლასიკურია ამერიკელების დ. კაცის და კ. ბრეილის კვლევები.[11]

ეთნიკური სტერეოტიპების კვლევის ტრადიციამ უცხოურ მეცნიერებაში, ეთნიკური ცრურწმენების კონტექსტში, განაპირობა მათი ინტერპრეტაცია როგორც ნეგატიური, „ცრუ“ წარმონაქმნებისა, „ალოგიკური სააზროვნო პროცესების“, „უზუსტობების“ (უ. ლიპმანი, ჯ. ფიშმანი)[12], „წინასწარაკვიატებულობის“ (გ. იაგოდა)[13], „რიგიდულობის“ (ე.

---

[9] ***„თვალსაზრისი, რომელიც უარყოფს ცოდნის კონვენციურ ან რელატიურ ხასიათს და აღიარებს, რომ ფილოსოფიას ან მეცნიერებას შეუძლია მიაღწიოს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რასაც, მაგალითად, საგანთა არსების წვდომა უზრუნველყოფს. პლატონის იდეების თეორია ესენციალიზმის ერთ-ერთი ნიმუშია“.***
სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი (სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია) - თბ.: ლოგოს პრესი, 2004 - გვ. 351.
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4145 (ბოლო ნახვის თარიღი - 10.07.2019)

[10] **Lippman,W. (1922) Public Opinion, New York.**

[11] **Katz, D., Braly, K.W., (1933), Racial Stereotypes of One Hundred College Students // Journal of Abnormal and Social Psychology, Vol.30, P. 663-679.**

[12] **Lippman, W., (1922), Public Opinion, NY; Fishman, J. A., (1956) An Examination of the Process and Function of Social Stereotyping // Journal of Social Psychology, №4, P. 27-64.**

[13] **Jagoda, G., (1959), Nationality Preferences and National Stereotypes in China Before Independence // Journal of Social Psychology, №50, P. 165-174.**

ბოგარდუსი)[14], „ცრურწმენების“ (დ. ბარ-ტალი, კ. გრაუმანი)[15], „ეგოცენტრიზმის“ (მ. მუსერჟი, რ. ბრაუნი, დ. კემპბელი)[16] საფუძველზე რომ წარმოიქმნება. 50-იანი წლებიდან მოყოლებული გავრცელება ჰპოვა ამერიკელი ფსიქოლოგის ო. კლაინბერგის ჰიპოთეზამ, რომლის თანახმადაც ჭეშმარიტი ცოდნის მოცულობა სტერეოტიპებში ცრუ ცოდნის მოცულობას აჭარბებს - „ჭეშმარიტების მარცვლის“ ჰიპოთეზა, როგორც ჩანს, უფრო მტკიცეა, ვიდრე შემთხვევითი მახასიათებლები და ჯგუფების ხატებები.[17]

ეთნიკური სტერეოტიპის წარმოშობისა და განვითარების ნიმუში შეიძლება იყოს შემდეგი: ადამიანის ცნობიერება, რომელიც პირველად აფასებს სხვადასხვა მოვლენას, მაშინვე განასხვავებს მათ „ნაცნობად“ და „უცნობად“, და საპირისპირო მხარეებად მიჯნავს. რაკიღა ადამიანი უპირველესად პირად გამოცდილებას ეყრდნობა, ნაცნობი ჩვეულებრივ კლასიფიცირდება, როგორც „მისი“ და უცნობი - როგორც „უცხო“. პირველი, როგორც წესი, დადებითად არის აღქმული, მეორე კი უფრო ფრთხილად (თუმცა არა ყოველთვის მტრულად). მტრული დამოკიდებულება ჩნდება მაშინ, როდესაც ნეგატიური სტერეოტიპი ან „მტრის ხატი“ ჰეტეროსტერეოტიპის საფუძველზე ჩამოყალიბებას იწყებს.

„მტრის ხატი“, ისევე, როგორც ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპები, არსებობდა კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე და ისინი რომ კონფლიქტების უშუალო მიზეზი ყოფილიყო, მაშინ კაცობრიობა აღარ იარსებებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონფლიქტების მიზეზები ყოველთვის იყო ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ინტერესები და წინააღმდეგობები. „მტრის ხატები“ კი არ წარმოშობს კონფლიქტებს, არამედ კონფლიქტური, დაძაბული, გაღიზიანებული სიტუაციები აღვივებს ნიადაგს „მტრის ხატის“ წარმოქმნის, ფორმირებისა და განვითარებისათვის. „მტრის ხატი“ აუცილებელია მტრის სრული დეჰუმანიზაციისთვის, ზოგადადამიანური ნორმებისა და პრინციპების ჩარჩოებს მიღმა მის სრულად მოსაქცევად.

ცნობილი დიპლომატი ალექსანდრე ჩიკვაიძე წიგნში „პოლიტიკური ჭადრაკი, სამი სხვადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით“ საუბრობს კონფლიქტისა თუ დაპირისპირების

---

[14] Bogardus, E.S., (1950) Stereotypes Versus Sociotypes // Sociological and Social Research, №3. P. 286-291.

[15] Bar-Tal, D., Grauman, C.F., Kruglanski, A. W., Stroebe, W., (1989), Stereotyping and Prejudice. Changing Conceptions. NY.

[16] Mucerji, M.A. F., (1951) Study of Stereotypes and Attitude Change. Lucknow; Brown, R., (1965), Social Psychology. NY; Campbell, D.T., (1965), Ethnocentrism and Other Altruistic Motives // Nebraska Symposium on Motivation. Vol.13. Lincoln, P. 283-301; Campbell, D.T., Levine, R.A., (1972), Ethnocentrism: Theories of Conflict, Ethnic Attitudes and Group Behavior. NY.

[17] Klineberg, O., (1954), Social Psychology. NY; Bringham, J.C., (1971), Ethnic Stereotypes / Psychological Bulletin, vol. 76. P. 26.; Inside European Identities. Ed. by Sharon McDonald. Oxford, 1997.

სისტემის ცვლილებაზე და აღნიშნავს, რომ „ადრე, საკაცობრიო ისტორიის მანძილზე, სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება ძირითადად ეთნიკურ-რელიგიურ ნიადაგზე ხდებოდა. დღევანდელი მსოფლიო კი სრულიად სხვა რეალობის წინაშეა - სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება ტოტალურად შეიცვალა ცალკეულ სახელმწიფოებს შიგნით კონფლიქტით ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე“. [18]

ალექსანდრე ჩიკვაიძე აანალიზებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებს და აცხადებს, რომ „მწვავე რეგიონულ კონფლიქტებში, ხშირ შემთხვევაში, დამანგრეველი კატალიზატორის როლი იტვირთეს მსოფლიოს დიდმა სახელმწიფოებმა. ეს რეალობაა, ვინაიდან ეთნიკური კონფლიქტები მსოფლიოს სუპერძალებისთვის იქცა საკუთარი ტრადიციული გავლენის სფეროების შენარჩუნებისა და ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური დომინანტისთვის ეფექტური მანიპულირების საშუალებად. მარტივად რომ ვთქვათ, მცდელობამ კონფლიქტის მოწესრიგებისთვის მიიღო ელემენტარული ასპარეზობის სახე კონკრეტულ სივრცეზე საკუთარი გავლენის შენარჩუნება-ჩამოყალიბებისთვის. ამ ასპარეზობის თუ პოლიტიკური ქიშპის დროს ჩვეულებრივ მოვლენათა რანგში განიხილება ტრადიციული საშუალებები - პოლიტიკური შანტაჟი, სამხედრო ძალის დემონსტრირება და ა.შ.“[19]

ამ ვითარებაში სრულიად ბუნებრივია მსოფლიოს გიგანტი სახელმწიფოებისთვის იოლია დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუღლის გაღვივება და „მტრის ხატის“ შექმნა, როცა ერთი ეთნოსი არამხოლოდ წაქეზებული, არამედ წახალისებულც არის „აფირმატიული ქმედების საბჭოური პოლიტიკით“,[20] ხოლო მედიის არაკვალიფიციურობა მისი შესაძლებლობებით მანიპულირების ფართო გასაქანს იძლევა. ასეთ დროს, როგორც ერნსტ-ოტო ჩემპილი წერს, „თანაბრალეულობისგან დასავლეთი თავს ვერ გაიმართლებს“, რადგან „ბუნებრივია, სახელმწიფოს საშინაო განვითარებისთვის პასუხისმგებელი, უპირველესად, მისი სისტემა და საზოგადოებაა, მაგრამ მას რანგით მოსდევს საერთაშორისო გარემო, რომელიც საშინაო პოლიტიკაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს.“[21]

---

[18] ჩიკვაიძე, ა., (2004) „პოლიტიკური ჭადრაკი. სამი სხვადასხვა ელჩის თვალით“. თბილისი, გვ. 276.

[19] ჩიკვაიძე, ა., (2004) „პოლიტიკური ჭადრაკი. სამი სხვადასხვა ელჩის თვალით“. თბილისი, გვ. 277.

[20] (Affirmative action - შეერთებულ შტატებში არსებული პოლიტიკური პრაქტიკის სახელწოდება. იგი გულისხმობს პრივილეგიების მინიჭებას უმცირესობატათვის).
ასმუსი, რ. დ., (2010) „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

[21] ჩემპილი, ე.-ო., (2003), „მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში“, თბილისი, „ლეგა“, გვ. 69.

ეს პროცესი კიდევ უფრო მარტივდება იმ პირობებში, როცა გარდამავალი პერიოდი ადვილად პროგნოზირებადია – დემოკრატიზაცია „ზემოდან“ ხორციელდება. ტრადიციულ დემოკრატიულ ქვეყნებში დემოკრატიისკენ მოძრაობა „ქვემოდან“ ხორციელდებოდა და, ამდენად, იგი საზოგადოების ბუნებრივ-ევოლუციური განვითარების შედეგი იყო. ყოველ შემთხვევაში, საბაზრო ურთიერთობანი, შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური სპექტრი, ლიბერალური ღირებულებანი და დემოკრატიის სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლები წინ უსწრებდა და აადვილებდა დემოკრატიული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის შექმნას. ჩვენი განსხვავებული ვითარება განპირობებულია არა მარტო საპირისპირო სქემით, არამედ მისგან გამომდინარე ამოცანათა ხასიათით, მათი გადაწყვეტის თანმიმდევრობითა და სპეციფიკით. დემოკრატიზაცია „ზემოდან“ ნიშნავს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის გარდაქმნით საზოგადოებრივი სისტემის ძირეული ცვლილების განხორციელებას, მაგრამ ზემოდან მზა ფორმით წამოსული დემოკრატია უნდა აღორძინდეს ხალხის ყოველდღიურობაში.

დემოკრატიული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის შექმნით საქართველოში დასრულდა ძველი პოლიტიკური სისტემის დემონტაჟი. ტოტალიტარიზმს რეალურად გამოეცალა სამართლებრივი და პოლიტიკური ნიადაგი. მაგრამ ისიც ცხადია, რომ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა და სამართლებრივი პირობები თავისთავად არ ამოქმედდება. მათი პრაქტიკული რეალიზაცია დღევანდელი ეტაპის საერთო-პოლიტიკური ამოცანაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი, დემოკრატიის მატერიალიზაციისა და მოსახლეობის ფართო ფენებში მისი განვრცობის გარეშე, ეს პირობები დაკარგავს თავის მნიშვნელობასაც და დანიშნულებასაც. მოდერნიზაციის საერთო პროცესის ამ ორივე ეტაპზე სახელმწიფო, როგორც ასეთი, ინარჩუნებს დემოკრატიის კატალიზატორის ფუნქციას. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გვინდა თუ არ გვინდა, ეს ობიექტური პირობებით განსაზღვრული რეალობაა. ეს გახლავთ პოსტკომუნისტური დემოკრატიის არსიც. ვიდრე არ მოხდება საზოგადოების სრული დემოკრატიზაცია, ვიდრე არ შეგვიქმნია ნამდვილად სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფოს ევროპული ან ამერიკული მასშტაბით მინიმალიზაციაზე, მით უმეტეს, განსახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკი მარტო თეორიული შეცდომა როდია. ამ პოსტულატის ჭეშმარიტებაში უახლესი წარსულის პრაქტიკამაც დაგვარწმუნა.

როცა ხაზს ვუსვამთ სახელმწიფოს როლს, ამაში მისი ფუნქციური გაფართოება არ იგულისხმება. პირიქით, ლაპარაკია ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ფუნქციებისგან სრულ გათავისუფლებაზე. სახელმწიფოს შემდგომი ფუნქციური შეკვეცის ტემპი დამოკიდებული იქნება საზოგადოების რეალური

დემოკრატიზაციის უნარსა და დონეზე, ესე იგი „ქვემოდან“ დემოკრატიზაციის იმპულსებზე.

საქართველოში, ისევე როგორ პოსტსოციალისტურ და მით უფრო პოსტკომუნისტურ ქვეყნებში პოლარიზებული პლურალიზმია, რომლისთვისაც სისხლხორცეულია პოლიტიკური პარალელიზმი. აღმოსავლეთ ევროპამ შეძლო გარკვეული გარღვევა ამ მიმართულებით, თუმცა მაინც ვერ დააღწია თავი პოლარიზეულ პლურალიზმს, რადგან გასული საუკუნის დიქტატორული და ავტორიტარული რეჟიმების გავლენა ჯერ კიდევ იგრძნობა. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა სივრცეს, საქართველოს გარკვეული უპირატესობა აქვს (ბალტიისპირეთის ქვეყნებს არ ვგულისხმობ, ისინი უფრო აღმოსავლეთ ევროპას უნდა მივაკუთვნოთ) დანარჩენ რესპუბლიკებთან.

მიუხედავად ამისა, სახეზე გვაქვს პოლარიზებული პლურალიზმის მოდელისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: „პოლიტიზირების მაღალი ხარისხი; სოციალური ცხოვრების უმეტეს სივრცეში სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების ინტერვენციის მაღალი ხარისხი; მოსახლეობა, რომელიც განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიების ფართო სპექტრისადმია ლოიალური. საინტერესოა, რომ იდეოლოგიებისადმი ერთგულება „საერთო სიკეთის“ კონცეფციის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებასთან თანაარსებობს; საყოველთაოდ გაზიარებული წესებისა და ნორმების არარსებობა. პოლარიზებულ პლურალიზმს საჯარო ინფორმაციის „მოხმარების“ არათანაბრობაც ახასიათებს: პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეების მხრიდან პრესაში კომენტარებზე მოთხოვნილება დიდია, ხოლო პოლიტიკურად ინერტული მოქალაქეები პოლიტიკური ინფორმაციის ძალზე მცირე რაოდენობით კმაყოფილდებიან. ახალი ამბების მედია გარე პლურალიზმის ხარისხით ხასიათდება და მედია იდეოლოგიური მრავალფეროვნების „ჩემპიონად“ აღიქმება. იდეოლოგებისადმი ერთგულება პროფესიულ კულტურას გადაწონის. ჟურნალისტებსა და პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის მჭიდრო კავშირები არსებობს, სახელმწიფო აქტიურად ერევა მედია სექტორში და გაზეთები პოლიტიკურ აქტივისტ მკითხველზე მიმართულ დახვეწილ კომენტარებზე აკეთებენ აქცენტს.“ [22]

ბუნებრივია, მედიისთვის საზოგადოების მზადყოფნის ხარისხიც გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია. ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის შემთხვევაში, ჩვენთანაც ძალიან მძიმედ მიიღოს საზოგადოებამ ცენზურისგან განთავისუფლებული პრესა. უფრო მეტიც, ახლაც კი, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან თითქმის 30 წლის შემდეგაც კი, მოისმენთ,

[22] ჰელინი, დ., მანჩინი, პ., (2015), „მედიასისტემების შედარება. მედია და პოლიტიკური სისტემების სამი მოდელი“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 390.

რომ ამდენი თავისუფლება დამღუპველია. არადა, „პერესტროიკისა და დემოკრატიზაციის პროცესების დაწყებიდან, მედიის დეპოლიტიზაცია წარმოადგენდა როგორც თავად მედიისა და საზოგადოების, ასევე დემოკრატიის გარე ხელშემწყობების ზრუნვის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას. პროპაგანდისტული ჟურნალისტიკიდან, რომელსაც საზოგადოებაზე ზემოქმედებას უსახავდნენ ამოცანად, ახალი ჟურნალისტიკისკენ, რომელიც საზოგადოების მომსახურებას განახორციელებდა, — ასეთი იყო ამ ტრანსფორმაციის გაცხადებული ვექტორი. ნეიტრალური, მიუკერძოებელი, ფაქტებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა წარმოადგენდა ნორმატიულ იდეალს, რომელიც უკამათოდ იქნა აღიარებული როგორც დომინანტური სტანდარტი. ის უნდა გამხდარიყო ახალი თამაშის წესი, რომელიც პროცედურისა და შინაარსის, მედიისა და პოლიტიკის განცალკევებას უზრუნველყოფდა. თუმცა, თამაშის ეს წესი და „პოლიტიკურის“ ის შინაარსი, რომელიც მას უნდა გადმოეცა, ერთმანეთთან შესაბამისობაში არ აღმოჩნდა.“ [23]

რა გახდა ამ შეუსაბამობის მიზეზი? ისევ და ისევ თამაშის ახალი წესებისადმი საზოგადოების მოუმზადებლობა. საზოგადოება მიჩვეული იყო, რომ ტელევიზიით გადმოცემული ან გაზეთში გამოქვეყნებული ამბავი აუცილებლად გადამოწმებული მიეწოდებოდა და შეცდომა გამორიცხული იყო. აბსურდულ ბრალდებებსა და ცილისწამებაზე აღარაფერს ვამბობ. მაგრამ მეორე დღესვე ან მოგვიანებით სიმართლე ზედაპირზე ამოდიოდა და ხალხიც ხვდებოდა, რომ ვიღაც ოსტატურად მანიპულირებდა. საზოგადოება ჯერ ეჭვიანი სიფრთხილით დააკვირდა ამ პროცესს, შემდეგ კი დაიწყო გაუცხოება, რადგან პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არავის უნდოდა. „პოლიტიკური პარალელიზმი კი უკვე მედიის აუდიტორიის მიკერძოებაშიც გამოიხატა: სხვადასხვა პარტიისა და ტენდენციის მხარდამჭერები თავიანთი შეხედულების შესაბამისად ყიდულობენ გაზეთებს ან უყურებენ სატელევიზიო არხებს.“ [24]

პოლარიზებული პლურალიზმის მოდელის განხილვისას და პოსტსაბჭოური მედიის სისტემების ანალიზისას, პროფესორი მარინა მუსხელიშვილი გვირჩევს მხედველობაში მივიღოთ საბჭოური პერიოდის გავლენა, რომელიც „იდეოლოგიური აზროვნების ტრადიციაში გამოიხატება. მარტივად რომ ვთქვათ, მარტო ეკონომიკური ინტერესები არაა ის, რაც განაპირობების ჟურნალისტების საქმიანობის ხასიათს. ჟურნალისტები შეიძლება პოლიტიზირებულები ხდებოდნენ საკუთარი მსოფლმხედველობის გამო, პოლიტიკური პროპაგანდა მათ შეიძლება მათი საქმიანობის განუყოფელი ნაწილი ეგონოთ. თავის მხრივ,

---

[23] მუსხელიშვილი,მ.,(2015), „კრებული არჩევანი. პოლიტიკური არჩევანი მედიაში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, გვ. 110.

[24] ჰელინი, დ., მანჩინი, პ., (2015), „მედიასისტემების შედარება. მედია და პოლიტიკური სისტემების სამი მოდელი“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 35.

საზოგადოება შეიძლება ვერ აღიქვამდეს ისეთ ინფორმაციას, რომელსაც შეფასებითი ელფერი არ დაჰკრავს — ამგვარი ინფორმაცია საზოგადოებას შეიძლება საერთოდ არ აინტერესებდეს. ასე მაგალითად, გერმანიის გაერთიანების შემდეგ დასავლეთ გერმანიის ბევრმა გაზეთმა და ჟურნალმა გახსნა ახალი გამოცემები აღმოსავლეთ გერმანელთათვის, და დააკომპლექტა მათი ჟურნალისტური კორპუსი პროფესიონალი დასავლეთ გერმანელი ჟურნალისტებით. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს ახალი გამოცემები არ სარგებლობდნენ პოპულარობით ადგილობრივ მოსახლეობაში. გამოსავალი მოიძებნა — სამსახურში აიყვანეს ადგილობრივი ჟურნალისტები, რომელთა წერის მანერა უფრო ჩვეული იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მაშინ გაზეთები უფრო პოპულარული გახდა და საქმე გამოსწორდა. ამდენად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის გარეშე შეიძლება ვთქვათ ერთი რამ — საზოგადოების და მისი ინსტიტუტების ხასიათი ერთმანეთზე ახდენს ზეგავლენას, და ამის გათვალისწინების გარეშე სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მშენებლობა შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს“.[25]

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მშენებლობა კი შეუძლებელი გახდება იმ დაპირისპირების გარემოში, რომელშიც ცხოვრებაც უწევთ ეთნოკონფლიქტებით დაზარალებულ ადამიანებს. ამიტომ, სასურველია, გავიზიაროთ საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორეტიკოსის, ქენეთ უოლცის მოსაზრება, რომ „თუ ადამიანის ბუნება ომის ერთადერთი მიზეზია და თუ, პირველი ხედვის მომხრე პესიმისტების სისტემათა შესაბამისად, ადამიანის ბუნება უცვლელია, მაშინ მშვიდობის იმედი არ უნდა გვქონდეს. თუ ადამიანის ბუნება ომის გამომწვევ მიზეზთაგან მხოლოდ ერთ-ერთია, მაშინ, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ადამიანის ბუნება უცვლელია, ჩვენ შეგვიძლია მშვიდობისათვის აუცილებელი პირობების ძიება განვაგრძოთ“,[26] და იმედი დავიტოვოთ, რომ ოდესმე ჩვენც მოვძებნით აუცილებელ პირობებს მშვიდობისთვის.

დღეს საინფორმაციო ომებმა დაუნდობელი ხასიათი მიიღო, რადგან ინფორმაციული ტექნოლოგიების ერაში მისი (ინფორმაციის) განუსაზღვრელი რაოდენობით წარმოება-დამუშავება-გადაცემის შესაძლებლობა არსებობს. ამ ვითარებაში მედიის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საუბრობენ საინფორმაციო საზოგადოების იდეოლოგები - ზბიგნევ ბჟეზინსკი,[27] ელვინ ტოფლერი,[28] დენიელ ბელი,[29] ალენ ტურენი,[30] ინეიი

---

[25] მუსხელიშვილი, მ., (2006), სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი. სალექციო კურსი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, გვ. 90.

[26] უოლცი, ქ. (2003). ადამიანი, სახელმწიფო და ომი. ჯისიაი. გვ.41

[27] Brzezinsky, Z., (1970), Between Two Ages. Americas's Role in the Technotronic Era. N.Y.

[28] Toffler, A., (1980), The Third Wave. N.Y.

მასუდა,[31] ემანუელ კალტელსი,[32] სხვა ცნობილი სოციოლოგები, და აღნიშნავენ, რომ კომუნიკაციურობა თუ ინფორმაციულობა პოსტინდუსტრიული საზოგადოებას ბუნებრივად ახასიათებს და დღევანდელი საინფორმაციო საზოგადოება ინდუსტრიული საზოგადოების ევოლუციის შედეგია. პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვის სტრატეგიული რესურსია ინფორმაცია, ამ რესურსის სწორად გამოყენება კი წარმატების მიღწევისთვის ყველაზე კარგი საშუალებაა, მით უფრო, რომ ახალი ტექნოლოგიები და კომუნიკაციის შესაძლებლობები ამისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

სოციოლოგმა, კომუნიკაციების თეორეტიკოსმა მარშალ მაკლუინმა, რომელმაც გამოიგონა ტერმინი „გლობალურის სოფელი“ და რომელსაც „დასავლეთის ინტელექტუალური კომეტა“, „ელექტრონული საუკუნის წინასწარმეტყველი“, „ნიუტონის და ფროიდის შემდეგ ყველაზე დიდი მოაზროვნე“, „მედიაკრიტიკის პატრიარქი“, „პოპკულტურის წინასწარმეტყველი“, „ელექტრონული ეპოქის მამა“ უწოდეს, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების საზოგადოებაზე ზეგავლენის კვლევას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. მისი გამონათქვამის - „თავდაპირველად ჩვენ ვქმნით ტექნოლოგიებს, ხოლო შემდეგ ტექნოლოგიები გვქმნიან ჩვენ“ - გათვალისწინება ამ „გლობალური სოფლის“ თითოეული მკვიდრისთვის აუცილებელია. მაკლუინი თავის წიგნებში „გუტენბერგის გალაქტიკა: ბეჭდვითი კულტურის ადამიანის შექმნა“[33] და „მედიის გაგება”[34] ახალშექმნილი საკომუნიკაციო და, შესაბამისად, კულტურული სიტუაციის აღწერისას ამბობს, რომ კავშირის ელექტრონული საშუალებების წყალობით დედამიწა სოფლის ზომებამდე „შემცირდა“ და შესაძლებელი გახდა ინფორმაციის წამებში გადაცემა ნებისმიერი კონტინენტიდან დედამიწის ნებისმიერ წერტილში.

საინფორმაციო საზოგადოების ძირითადი არსის გამომხატველი და სპეციალურ ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინები - გათვითცნობიერებული საზოგადოება (the knowledgeable society), მცოდნე საზოგადოება (the knowledge society), საზოგადოება, რომლისთვისაც ცოდნა უმთავრესია (the knowledge-value society) - ერთგვარ კლასიფიკაციას ახდენს და შესაბამისად, თითოეულ ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანებიც გადაცემულ ინფორმაციას სპეციფიკურად იღებენ.

---

[29] Bell, D., (1973), The Coming of Post-industrial Society. A venture of social forecasting. N.Y.; Bell, D., (1980), The social Framework of the information society. Oxford.

[30] Touraine, A., (1971), The Post-industrial society. Tomorrow's Social History:Classes, Conflicts and Culture in the Programmed Society. N.Y

[31] Masuda, I., (1983), The Information Society as Post-industrial. Washava.

[32] Кастельс М., (2016), Власть коммуникации, Москва.

[33] McLuhan M., (1962) The Gutenberg Galaxy: The Making of Typographic Man. Toronto.

[34] McLuhan M., (1964) Understanding Media: The Extensions of Man. — N.Y.: McGraw Hill.

საინფორმაციო საზოგადოების ერთ-ერთი კონცეფციის - „მესამე ტალღის თეორიის“ (The Third Wave Theory) ავტორი, ამერიკელი სოციოლოგი ელვინ ტოფლერი წერს, რომ კაცობრიობამ განვითარების სამი ეტაპი-ტალღა (აგრარული, ინდუსტრიული და ტექნოლოგიური) გამოსცადა და ახლანდელ, მესამე ტალღის ეპოქაში, რომელიც ინტელექტუალური რევოლუციის შედეგია, მეცნიერებასა და განათლებას უპირველესი როლი ენიჭება.

მე-20 საუკუნეში, საინფორმაციო ეპოქის დაწყებასთან ერთად, სულ უფრო მეტი ახალი ტექნოლოგიები და რეალიები წარმოიშობა, საზოგადოებრივი სტრუქტურები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ურყევი ჩანდა, მოულოდნელად იწყებენ გარდაქმნას, იცვლება არა მარტო რეალობა, არამედ წარმოსახულ საგნებთან ურთიერთობების ფორმები და ადამიანის მიერ საკუთარი სხეულის გაცნობიერებაც. ასეთი რამისთვის ევოლუციას არ მოვუმზადებივართ. ჩვენი ევოლუციის ისტორია ხელს უწყობს წინასწარჭვრეტას - უსაფრთხოების გარანტიას. იმ პირობებში, როდესაც ადამიანი იძულებულია, სწრაფად დაამუშავოს გარემოს მუდმივი ცვლილებები, ხოლო თავად ეს ცვლილებები დიდხანს ვერ რჩება ყურადღების არეში, წარმოიშობა გარკვეულწილად ნევროზის მსგავსი მდგომარეობა. სწორედ ამ სიახლისა და არასტაბილურობის „ნევროზს“ უწოდებს ტოფლერი მომავლის შოკს: „მომავლის შოკი დროის ფენომენია, საზოგადოებაში ცვლილების სწრაფი ტემპის პროდუქტი. ის წარმოიშობა ძველი კულტურის ახალი კულტურით გადაფარვის შედეგად. ეს არის კულტურის შოკი საკუთარ საზოგადოებაში. ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ ბრძოლა, რათა თავიდან ავიცილოთ მომავლის შოკი პიროვნულ დონეზე. ვაცნობიერებთ ამას თუ არა, მაგრამ ჩვენი ყოველდღიური ქცევა, ძირითადად, მომავლის შოკის ასახვის მცდელობაა. ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა ტაქტიკა, რათა შევამციროთ აღგზნების დონეზე, როდესაც ის ჩვენს ადაპტურ დონეზე მაღლა აყვანით გვემუქრება. თუმცა, უმეტესწილად, ეს ტექნიკები არაცნობიერად გამოიყენება. ჩვენ შეგვიძლია მათი ეფექტურობა ცნობიერების დონეზე მათი ამოტივტივებით გავზარდოთ.“[35]

ელვინ ტოფლერის აზრით, ჩვენ შეგვიძლია გავაკონტროლოთ სტიმულები და მკაცრად გავფილტროთ საინფორმაციო ნაკადები, შეგვიძლია მოვიკვეთოთ ზედმეტი და არ ვიზრუნოთ ფონის ხმაურზე, დავიცვათ ჩვენი მე-სა და პირადი ცხოვრების საზღვრები, შეგვიძლია გამოვაცალკევოთ ჩვენთვის ძვირფასი სტაბილურობის კუნძულები, რომლებიც გვეხმარება, ვიყოთ ნაკადში, და საბოლოო ჯამში, შეგვიძლია შევეგუოთ იმას, რომ

[35] **Тоффлер, Э ., (2004), Шок будущего, Москва.**

რეალობა სულ უფრო მეტ არჩევანს გვთავაზობს და ამისგან სიამოვნების მიღებასაც გვასწავლის.

ტოფლერი „მასმედიის დემასიფიკაციას“ უწოდებს იმ მოვლენას, რომლის გამოც მედია ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე დამარცხდა: „მეორე ტალღის ეპოქაში მედიამ სულ უფრო მეტი ძალაუფლება მოიპოვა. ახლა გასაოცარი ცვლილებებია. როდესაც ჭექა-ქუხილის მსგავსად, თავს დაგვატყდა მესამე ტალღა, არავინ ელოდა, რომ მედია, ფრთების გაშლის ნაცვლად, იძულებული გახდებოდა თავისი ზეგავლენა სხვისთვის გაეზიარებინა“, - წერს იგი და დასძენს, რომ მესამე ტალღის ადამიანები, პირიქით, თავს კარგად გრძნობენ ბლიცებით დაბომბვისას: სიახლეების წუთნახევრიანი რგოლი, ნახევარწუთიანი სარეკლამო რგოლი, სიმღეისა ან ლექსის ფრაგმენტი, მულტფილმი, კოლაჟი, ახალი ამბების მონაკვეთი, კომპიუტერული გრაფიკა. იაფი წიგნების და სპეციალური ჟურნალების გაუმაძღარი მკითხველი ხარბად ნთქავს უზარმაზარ ინფორმაციას, თუმცაამავე დროს ყურადღებით ადევნებს თვალს, თუ როგორ გარდაიქმნება ახალ კონცეფციად ან მეტაფორად ინფორმაციის ეს ნაგლეჯები. ნაცვლად იმისა, რომ სტანდარტულ სტრუქტურებსა ან მეორე ტალღის კატეგორიებში ახალი სამოდულო მონაცემების ჩატენვას ეცადონ, ისინი სწავლობენ საკუთარი იდეების „ზოლების“ შექმნას იმ დაგლეჯილი მასალისგან, რომლებსაც ინფორმაციის ახალი საშუალებები ატეხენ თავზე.“

ტოფლერი იმასაც აღნიშნავს, რომ ახლა ჩვენ რეალობის მზა მენტალურ მოდელს არ ვიღებთ, იძულებულნი ვართ, მუდმივად შევქმნათ და ხელახლა ჩამოვაყალიბოთ იგი. ეს ჩვენთვის მძიმე ტვირთია, მაგრამ მას ასევე დიდი ინდივიდუალობისკენ, პიროვნებისა და კულტურის დემასიფიკაციისკენ მივყავართ. ზოგიერთი ჩვენგანი ვერ უძლებს ამგვარ ზეწოლას უკან იხევს, ეუფლება აპათია და მრისხანება. სხვები მუდმივად იზრდებიან, ქმნიან საკუთარ თავს და იქცევიან განათლებულ, კომპეტენტურ ადამიანებად, რომლებსაც უმაღლეს დონეზე მუშაობა შეუძლიათ. (ორივე შემთხვევაში, დაძაბულობა ძალიან დიდია თუ არა, შედეგი ერთი და იგივეა - უნიფორმიანი, სტანდარტიზებული, ადვილად კონტროლირებადი რობოტების შორეული ტირილი, რომელთა მოვლინებასაც მეორე ტალღის ბევრი სოციოლოგი და ფანტასტი წინასწარმეტყველებდა.)
სხვა საკითხებთან ერთად, ცივილიზაციის დემასიფიკაციას, რომლის ანარეკლადაც და ძალადაც, ტოფლერის აზრით, მედია იქცა, თან მოსდევს უზარმაზარი ნახტომი იმ ინფორმაციის მოცულობაში, რომელსაც ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ და ეს ზრდა განმარტავს, რატომ ვიქეცით „საინფორმაციო საზოგადოებად“.

საბოლოო ჯამში, - ამბობს ტოფლერი, - ინდივიდებიცა და ორგანიზაციებიც მუდმივად ცდილობენ მიიღონ მეტი ინფორმაცია და მთელ სისტემაში პულსირებს მონაცემთა მზარდი ნაკადები. სოციალური სისტემის არსებობისთვის საჭირო ინფორმაციის მოცულობის ზრდისა და მისი გაცვლის სისწრაფის დაჩქარებით, მესამე ტალღამ შეარყია მეორე ტალღის გაცვეთილი, გადატვირთული ინფოსფეროს სტრუქტურა, და ქმნის ახალ სტრუქტურას, რომელსაც მისი შეცვლის უნარი შესწევს.

იმ პირობებში, როცა საზოგადოებრივ საქმიანობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ინფორმაციის, ცოდნის და საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი, როცა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში საინფორმაციო ტექნოლოგიებს იყენებენ, როცა იზრდება საინფორმაციო პროდუქტის წარმოება და უმჯობესდება სხვადასხვა სფეროს სერვისი, როცა შექმნილია გლობალური საინფორმაციო სივრცე და ჩვენ ყველა „გლობალურ სოფელში“ (მარშალ მაკლუენი) ვცხოვრობთ, როცა ელექტრონული დემოკრატიის, ელექტრონული სახელმწიფოს, ელექტრონული მთავრობის, ინფორმაციული ეკონომიკის განვითარება, ციფრული ბაზრის შექმნა, ელექტრონული სოციალური და საყოფაცხოვრებო ქსელების გაფართოება ყოველდღიურობად იქცა, სრულიად ბუნებრივია, ეს ყველაფერი მთლიანობაში ცვლის ცხოვრების წესს, ღირებულებათა სისტემას და მატერიალურ ღირებულებებზე მაღლა კულტურულ ცხოვრებას აყენებს. საინფორმაციო საზოგადოების პირობებში ადამიანის გონებრივი შრომა იზრდება, რაც მისგან კრეატიულობას, შემოქმედებითი უნარების გამოვლენას მოითხოვს. თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს წინა ტალღებს გაყოლილი ადამიანი, ცოდნისადმი ინტერესს მოკლებული მედიასეგმენტი კი კატასრტოფის ზღვარზე აღმოჩნდება. ამ თვალსაზრისით საქართველო არც მაჩანჩალაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც მოწინავე პოზიციებს იკავებს.

რაც შეეხება დამოუკიდებლობის მოპოვებას ან, გნებავთ, შენარჩუნებას საინფორმაციო საზოგადოების პირობებში, ტატიანა რეპკოვა, რომელსაც ყოფილ სოციალისტურ ევროპაში ჟურნალისტად და რედაქტორად მუშაობის დიდი გამოცდილებაც აქვს და თანამედროვე მედიის თეორიისა და პრაქტიკის ცოდნაც, წერს: „განვითარებად დემოკრატიულ ქვეყნებში დამოუკიდებელი მედიის შექმნის პირველი ეტაპი აუცილებლად გულისხმობს სამთავრობო საკუთრებისგან, კონტროლისა და ჩარევისგან გათავისუფლებას… სიტყვა „დამოუკიდებელი“ არ არის აბსოლუტურად თვითკმარი და ამ შემთხვევაში არცთუ ზუსტად ესადაგება თავის პირველად სემანტიკურ განსაზღვრას. განვითარებად დემოკრატიულ ქვეყნებში პრესასთან მიმართებით ეს სიტყვა, ჩვეულებრივ, ნიშნავს სამთავრობო კონტროლისაგან დამოუკიდებელს, თუმცა ეს განმარტება მეტისმეტად

ვიწროა. იმის გამო, რომ განვითარებად დემოკრატიულ ქვეყნებში ჟურნალისტებს დამოუკიდებლობის საკმაოდ მწირი, ან ზოგჯერ არანაირი გამოცდილება არ გააჩნიათ, მათ ხშირად ჰგონიათ, რომ ხელისუფლების კონტროლისგან თავის დაღწევა, ყველანაირი კონტროლისგან თავისუფლებას ნიშნავს. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მათეული განსაზღვრა არარეალური და გაუაზრებელია. დღევანდელ რთულ სამყაროში დამოუკიდებლობა სრული ვერაფრით იქნება".[36]

[36] რეპკოვა, ტ., (2006) „ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში", 2006. გვ. 9.

თავი 1. ეთნოკონფლიქტების გაშუქება თანამედროვე სატელევიზიო მედიაში (2018-2019 წლები)

ეთიკურად და პასუხისმგებლობით გაშუქება ქართული ჟურნალისტიკის ერთგვარი „აქილევსის ქუსლია“. გამონაკლისი არც ეთნოკონფლიქტებია, თუმცა ამ თემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ხარისხი ერთიორად იზრდება. ბუნებრივია, ესეც ყველა ჟურნალისტზე არ ითქმის და პასუხისმგებლობაც უმეტესწილად სწორედ ტელევიზიის მესვეურებს ეკისრებათ, რადგან ჟურნალისტები მათ მიერ დაწესებული დღის წესრიგის მიხედვით მოქმედებენ.

4 ტელევიზიის - საზოგადოებრივი მაუწყებლის, იმედის, რუსთავი 2-ის და ობიექტივის 2018-2019 წლების კონტენტანალიზმა გვიჩვენა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთადერთი ტელევიზიაა, რომელსაც აქვს სპეციალური გადაცემა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. ეს არის პირველი არხის პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“, რომლის მიზანია ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება. მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება, მრავალფეროვან კულტურათა დიალოგის და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. როგორც არხის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, „პროექტი უზრუნველყოფს საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტეგრირებას პირველი არხის ქართულენოვან გადაცემებში. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ენებზე მზადდება დოკუმენტური მასალები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპროდუქცია ითარგმნება ეთნიკური უმცირესობების ენებზე, საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ მზადდება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში, აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ონლაინ რადიო-ტელევიზია ვებ-პორტალზე 1tv.ge 12-საათიანი უწყვეტი პირდაპირ ეთერით მაუწყებლობს.“[37]

საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს სხვადასხვა თემატიკის თოქ-შოუები, მაგრამ სპეციალური გადაცემა, რომელშიც მხოლოდ ეთნოკონფლიქტებზე ისაუბრებენ კვალიფიციური და კომპეტენტური სპეციალისტები, არც ამ არხის სატელევიზიო ბადეშია. თუმცა, „მოამბის“ თითქმის ყველა გამშვებაში (07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საათზე) საუბრობენ კონფლიქტის ზონებში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე სიტუაცია გართულდება. ეს

[37] https://1tv.ge/mravalferovani-sagartvelo/

არის სიუჟეტები, რომლის მსგავსიც სხვა ტელეარხებსაც აქვთ. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ოთხივე ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტების კომენტატორები ერთი და იგივე ადამიანები არიან - ხელისუფლების წარმომადგენლები ან ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, და ძირითადად პოლიტიკური შეფასებები ისმის „მოამბეშიც“ (საზმაუ), „კურიერშიც“ (რუსთავი 2), „ქრონიკაშიც“ (იმედი) და „ობიექტივის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაშიც. საინფორმაციო გამოშვებებში პრესკონფერენციის ან ბრიფინგის გამართვას გვაუწყებენ და იშვიათად უშუალოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა გასაჭირზეც მოგვითხრობენ. პოლიტიკური გადაცემებიდან საზოგადოებრივი მაუწყებელი გვთავაზობს: „აქტუალურ თემას მაკა ცინცაძესთან ერთად“, რომელშიც პარასკევობით, 22.00 საათიდან, სხვადასხვა თემაზე საუბრობენ თოქ-შოუს სტუმრები; იმედა დარსალიას „ახალ კვირას“, რომელიც ყოველ კვირა დღეს, 22 საათზე გადის ეთერში და წამყვანი აჯამებს კვირის მნიშვნელოვან და საინტერესო მოვლენებს, აქტუალურ თემებს, აანალიზებს საგარეო და შიდაპოლიტიკურ პროცესებს; ირაკლი აბსანძის „კვირის ინტერვიუს“, რომელიც ყოველ ორშაბათს 22.00 საათზე გადის პირველი არხის ეთერში. ეს არის 27-წუთიანი პირისპირ ინტერვიუ პირდაპირ ეთერში; ასევე გიორგი გვიმრაძის „პირველ აუდიტორიას“, რომელიც ეთერშია ყოველ ხუთშაბათს, 22.00 საათზე და ახალგაზდებთან ერთად განიხილავენ აქტუალურ საკითხებს. ამ გადაცემებში, ვითარების დაძაბვის კვალობაზე აქტიურდება ეთნოკონფლიქტის თემატიკა, თუმცა, როგორც აღვნიშნე, მხოლოდ პოლიტიკოსებით და ე.წ. ცნობადი სახეებით შემოიფარგლებიან.

„ტელეიმედში“ მხოლოდ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ (08.00, 09.00, 11.00, 14.00.17.00 და 20.00 საათზე) და სამი პოლიტიკური გადაცემა უთმობს ყურადღებას ეთნოკონფლიქტებს და კონფლიქტის ზონებს. ესენია: „იმედის კვირა“ (კვირაში ერთხელ, კვირას, 21.00 საათზე), რომელშიც რეპორტაჟებს გვთავაზობენ, „პირისპირ“ (კვირაში ერთხელ, სამშაბათს, 22.00 საათზე), რომელშიც დებატები და დისკუსიები იმართება და „იმედი LIVE“ (კვირაში ორჯერ, შაბათ-კვირას, 23.00 საათზე), რომელსაც ინტერვიუს ფორმატი აქვს. ამ გადაცემებშიც მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვითარების გამწვავების შემთხვევაში საუბრობენ ეთნოკონფლიქტებზე.

„რუსთავი 2“ მკვეთრად ოპოზიციური მაუწყებელია და მის პოლიტიკური დღის წესრიგი სრულად თავსებადია ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ დღის წესრიგთან. ამიტომ მისი საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“ (08.00, 09.00, 12.00, 15.00, 18.00 და 21.00 სათზე) ნოდარ მელაძის „ შაბათის კურიერი“ (21.00 საათზე) და პოლიტიკური გადაცემები - გიორგი გაბუნიას „პოსტ-სკრიპტუმი“(ყოველ კვირას, 21.00 საათზე) და „არჩევანი“ (ყოველ სამშაბათს, 22.00 საათზე) ძირითადად მიმდინარე პოლიტიკურ თემატიკას ეთმობა.

განსხვავებული ფორმატი აქვს „ობიექტივს“. ამ ტელევიზიის ეთერში ყოველდღე 14 გადაცემა გადის პირდაპირ ეთერში და ინტერაქტიულია, - მაყურებელს და მსმენელს საშუალება აქვს, პირდაპირ ეთერში დარეკოს და თავისი მოსაზრება გაახმიანოს. ამავდროულად, “ობიექტივი“ გადაცემების თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა და, ტელევიზიის თანამშრომლების გარდა, გადაცემებს მოწვეული წამყვანებიც უძღვებიან. „ობიექტივს“, გამორჩეული ფორმატის გამო, მეტი შესაძლებლობა აქვს ეთნოკონფლიქტებზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე ვრცლად ისაუბროს, ხოლო სტუდიაში კვალიფიციური და კომპეტენტური ადამიანების მონაწილეობით მაყურებლებსა და მსმენელებს მათთვის საინტერესო ინფორმაცია მიაწოდოს პირდაპირ ეთერში.

თავი 2. საინფორმაციო ანალიტიკური გადაცემა „ათვლის წერტილი“ - პროექტი

2.1. სინოფსისი

საქართველო მულტიეთნიკური სახელმწიფოა და მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ჰარმონიულ თანაცხოვრებას. სწორედ მულტიეთნიკურობაა ჩვენი ქვეყნის უპირატესობა, თუმცა ახლავს სირთულეებიც. საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად შექმნილმა „წითელმა ხაზებმა“ ბევრი პრობლემის წინაშე დააყენა როგორც ჩვენთან არსებული ავტონომიების ქართული მოსახლეობა, ისე მთლიანად სახელმწიფო.

დღეს ეს „წითელი ხაზები“ საოკუპაციო-გამყოფ ზოლებად იქცა, რაც ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების შედეგია. ეთნოკონფლიქტებმა აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ამ რეგიონებიდან ქართული მოსახლეობის გამოდევნა გამოიწვია. ზოგადად, ეთნოკონფლიქტებს ახასიათებს ეთნიკური ნიშნით დევნა და ამ მხრივ გამონაკლისი ვერც საქართველო იქნებოდა, მიუხედავად ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შერეული ოჯახების არსებობისა.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ცხელმა ფაზამ - შეიარაღებული შეტაკებებმა კონფლიქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მთავარ თემად აქცია. დაპირისპირებული მხარეები სულ უფრო ხშირად იყენებენ პრესას საკუთარი ინტერესებისთვის. შეიარაღებულ კონფლიქტებში მედია მთავარ მოქმედ პირად იქცა.

სწორედ მასმედიამ გაამძაფრა დაპირისპირება: კონფლიქტს წინ უძღოდა და შემდგომაც მის მუდმივ თანმდევად იქცა ეთნიკური სტერეოტიპების შექმნა-ჩამოყალიბება. ეთნიკური სტერეოტიპი არის შედარებით სტაბილური წარმოდგენა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლების მორალური, გონებრივი და ფიზიკური თვისებების შესახებ. ეთნიკური სტერეოტიპის რეალობასთან კავშირი დამოკიდებულია ერთაშორისი ურთიერთობების მდგომარეობაზე, დონესა და ცოდნაზე, არსებული მეზობლობის ფორმაზე. როგორც სტაბილურ ბირთვს, მას აქვს იმ ეთნოსის სახის შესახებ არსებულ ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული კომპლექსი, რომელთან მიმართებაშიც არსებობს.

ეთნიკური სტერეოტიპები მედიაში, როგორც წესი, ემოციური და მკაფიოა. ამიტომ კარგად ამახსოვრდება მაყურებელსა თუ მკითხველს და გავლენას ახდენს მის წარმოდგენებზე

ეთნოსებსშორისი ურთიერთობების სფეროში. სტერეოტიპიზაციის მეთოდები პროპაგანდის საფუძველს წარმოადგენს. სტერეოტიპიზაციის მეთოდების მეშვეობით ხალხის ცნობიერებაში ინერგება რეაქციული მითები და ილუზიები, ცრურწმენებები - ყალბი წარმოდგენები ეთნიკური ჯგუფების შესახებ. უარყოფითი ეთნიკური სტერეოტიპების შესახებ მედიის მაკორექტირებელი ქმედებები ძალზე გართულებულია, რადგან ადამიანებს ახასიათებთ იმ ინფორმაციისთვის თავის არიდება, რომელსაც დისონანსი შეაქვს მათი დამოკიდებულებისა და სტერეოტიპების სისტემაში. ამავე დროს, ისინი აქტიურად ეძებენ თავიანთი შეხედულებების დამადასტურებელ ინფორმაციას. ამდენად, მედია, სტერეოტიპებისა და სურათების „ავტორობის" გარეშეც კი, ტირაჟირების გზით ნერგავს მათ მასობრივ ცნობიერებაში. სტერეოტიპის სტაბილურობის გათვალისწინებით, მისი გამოაშკარავება ძალზე შრომატევადი ამოცანაა.

სწორედ ამ სტერეოტიპის მსხვრევაზე გადის გზა ეთნოკონფლიქტების მოგვარებისკენ. ამიტომ მედიას განსაკუთრებული როლი აკისრია და მისი ამ მიმართულებით აქტიურობა გარკვეულ პოზიტიურ შედეგს გამოიღებს, თუკი მაყურებელს, მსმენელს და მკითხველს წინასწარაკვიატებული მოსაზრებების ნაცვლად, მიუკერძოებელ ინფორმაციას მიაწვდის.

2.2. პრემისი

გადაცემაში გაშუქდება მრავალმხრივი ინფორმაცია ეთნოკონფლიქტების შესახებ. ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე ეთნოკონფლიქტების გამომწვევი მიზეზების ახსნით და საქართველოს ეთნოკონფლიქტებთან გარკვეული პარალელების გავლებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გამოსავალს გვიჩვენებენ. კონფლიქტის ზონებში არსებულ ვითარების სიუჟეტებში ასახვით ამ ზონებში მცხოვრებთა პრობლემებს წარმოვაჩენთ.

2.3. თრითმენთი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, სახელმწიფოს არათანმიმდევრული პოლიტიკის გამო, კიდევ უფრო გაუცხოვდნენ. თუმცა არც მანამდე გამოირჩეოდნენ ასიმილაციის მაღალი მაჩვენებლით. ეს უფრო დიდი ქალაქებისთვის იყო დამახასიათებელი, კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში კი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, - პრაქტიკულად არ ფლობენ სახელმწიფო ენას. იმის გათვალისწინებით, რომ გასული საუკუნის დამლევს საქართველოში გამწვავებული ორი ეთნიკური დაპირისპირება პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში კი გაუცხოება კიდევ უფრო მასშტაბური

გახდა, აუცილებელი და საშური საქმეა სამომავლოდ თავიდან ავიცილოთ საფრთხე, რომლის გაჩენისთვის ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეებს ნოყიერი ნიადაგი დახვდებათ, თუკი საქართველოს მრავალეთნიკური მოსახლეობა მითებით კვებას განაგრძობს.

გადაცემა ამ მითების განეიტრალებას შეეცდება. მაგალითად, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონზე საუბრისას მთლიანად გამოირიცხება აქამდე შექმნილი სტერეოტიპები, ხოლო მთიანი ყარაბახის კონფლიქტზე საუბრისას - აზერბაიჯანული და სომხური ნარატივი. ამ მიდგომით ქართველ და აფხაზ, ქართველი და ოსი ხალხებს შორის საერთოს უფრო ადვილად დავანახებთ მაყურებელს, ხოლო საქართველოს აზერბაიჯანული და სომხური მოსახლეობისთვის კონფლიქტის მიმართ განწყობების შეცვლას შევეცდებით.

გადაცემაში მაღალი კომპეტენციის პროფესიონალები ახსნიან ეთნოკონფლიქტების ხასიათს, იმსჯელებენ განვითარების ფაზებზე და კონფლიქტის მხარეების მიდგომებზე გაამახვილებენ ყურადღებას. ოღონდ, უპირველესად, ვიმეორებ, მონახავენ შეხების წერტილებს და არა კიდევ უფრო გაუცხოების საშუალებებს.

გადაცემაში ისაუბრებენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც - ოღონდ აუცილებლად დარგის სპეციალისტები და მხოლოდ და მხოლოდ ეთნოკონფლიქტის მოგვარების სურვილით. ნებისმიერი აზრი, რომელიც ოდნავ მაინც ხელს შეუწყობს კონფლიქტის გამწვავებას და დაპირისპირების პროვოცირებას, გადაცემის ჩანაწერიდან ამოიჭრება. ამ მხრივ გადაცემა მკაცრად გაკონტროლდება - ჩანაწერის სახით მისი სატელევიზიო ეთერში გაშვება რისკებს გამორიცხავს.

გადაცემა ტელეკომპანია „ობიექტივის“ საღამოს ეთერში გავა კვირაში ერთხელ 2019 წლის სექტემბრიდან, გადაცემის ქრონომეტრაჟი იქნება 50-55 წუთი და გადაცემის სტუმრები ისაუბრებენ ერთ კონკრეტულ თემაზე. შესაძლებელია პარალელების გავლება და მაგალითების მოხმობა სხვა ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებული პროცესების შესახებ. ასევე გადაცემაში იქნება სიუჟეტი, რაც გადაცემას ოპერატიულობასაც შესძენს და გაამრავალფეროვნებს კიდეც. ამასთან, ეთნოკონფლიქტზე ზოგად მსჯელობასთან ერთად, კონკრეტული მიმდინარე პრობლემის მოგვარების გზების დასახვის შესაძლებლობასაც მოგვცემს. გადაცემას ეყოლება წამყვანი და ტელევიზიის სტუდიაში ჩაიწერება.

2.4 . მიზნები და შედეგები

გადაცემის მიზანია საქართველოს მოსახლეობას შეუქმნას ზუსტი წარმოდგენა ეთნოკონფლიქტზე და, ამავდროულად, გააცნოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ეთნოკონფლიქტების ანატომია. გადაცემა მაყურებელს მიაწვდის ზუსტ და მიუკერძოებელ ინფორმაციას როგორც საქართველოს, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში

არსებული ეთნოკონფლიქტების განვითარების და მიმდინარეობის შესახებ. ამ ჭრილში წარმოვაჩენთ მითების და „მტრის ხატის“ მავნე გავლენას კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობის გაჩენისას.

ჟურნალისტური ეთიკის ტენდენციებს თუ გავითვალისწინებთ, „მტრის ხატი“ კიდევ უფრო საინტერესო ფორმას იღებს. ხშირად ძალიან ძნელია, ზღვარი გაავლო ობიექტურობასა და პატრიოტიზმს შორის. ამ დროს უმნიშვნელოვანესია ეთიკური სტანდარტების შემუშავება, რაც ჟურნალისტებს საშუალებას მისცემს, მართონ ეთიკური დილემები და თავი დააღწიონ პოლიტიკურ დეზინფორმაციას. პრობლემა განსაკუთრებით ახალგაზრდა ჟურნალისტებს აქვთ, რადგან ადვილად ექცევიან პოლიტიკური მიზნებით ფართოდ გავრცელებული და მედიით ფორმირებული ნარატივების და ნეგატიური სტერეოტიპების ტყვეობაში. უფროს თაობას თუ გამოცდილებით და მოვლენათა ეპიცენტრში ყოფნით ბუნებრივად ჩამოუყალიბდა „სხვათა აღქმა“, ახალი თაობა ბევრ ფაქტს წარსულის კონტექსტში ვერ განიხილავს, რაც ხელს უშლის ეთნოკონფლიქტის მიმართ სტერეოტიპებისგან განთავისუფლებაში. გადაცემა სწორედ ამ სტერეოტიპებისგან თავის დაღწევაში დაეხმარება მაყურებელს.

ამ პესიმისტური სურათის მიუხედავად, ნიშანდობლივია ისიც, რომ ახალგაზრდებში და, ზოგადად, ეთნოკონფლიქტის არსით თუ განვითარების ტენდენციით დაინტერესებულ ადამიანებში იგრძნობა კონფლიქტების არა მხოლოდ ფორმით, არამედ შინაარსით მეტი დაინტერესება. თუმცა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უფრო ხშირად გვხვდება არაკვალიფიციური და არაკომპეტენტური „სპეციალისტების“, პოლიტიკოსების პოპულისტური შეფასებები, რაც ხელს უშლის ვითარების გააზრებას, პოლიტიკური დეზინფორმაციის მასშტაბი კი იზრდება.

გადაცემა ამ მხრივაც გამორჩეული იქნება, რადგან მაყურებელი არა ემოციურ შეფასებებს, არამედ კომპეტენტურ საუბარს მოისმენს, რაც ერთგვარ გზამკვლევად გამოადგება ამ ურთულესი პრობლების არსში გასარკვევად.

2.5. მარკეტინგული ანალიზი

მარკეტინგულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქართულ სატელევიზო სივრცეში მსგავსი გადაცემა არ არსებობს. საზოგადოებრივი მაუწყებლის, „რუსთავი 2“-ის, „ტელეიმედის“, „ობიექტივის“, „ტვ-პირველის“, „კავკასიის“, „ერთსულოვნების“, „პალიტრა-ტვ“-ს და სხვა ნაკლებად ცნობილი ტელეარხების კონტენტანალიზმა ცხადყო, რომ არცერთ მათგანს სპეციალური გადაცემა ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით არ აქვს. ამ თემაზე

სხვადასხვა თოქ-შოუებში იშვიათად საუბრობენ, კონფლიქტურ რეგიონში ვითარების გამწვავების კვალდაკვალ, ანდა საინფორმაციო გამოშვებებში უთმობენ დროს, საგანგებო მსჯელობა კი არ იმართება. ამ შემთხვევაშიც, თუ ეთნოკონფლიქტებზე ამახვილებენ ყურადღებას, რესპონდენტებად ძირითადად არასპეციალისტებს იწვევენ და ხშირად არაკომპეტენტური მსჯელობა იმართება პოლიტიკოსების და სხვა არაკვალიფიციური ადამიანების მონაწილეობით. ჟურნალისტები უფრო მეტად იმდღევანდელ პოლიტიკურ დღის წესრიგს მიჰყვებიან და კონფლიქტის სიღრმისეულად გასაანალიზებლად დრო აღარ რჩებათ.

2.6. მიზნობრივი აუდიტორია

გადაცემის, ინფორმაციულის გარდა, შემეცნებითი ხასიათი განაპირობებს იმას, რომ მისი მაყურებელი იქნება ყველა ასაკობრივი ჯგუფი. განსაკუთრებული ყურადღებით მოუსმენენ ეთნოკონფლიქტით დაზარალებული ადამიანები, ასევე პოლიტიკოსები და პოლიტიკით დაინტერესებული საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

2.7. დისტრიბუციის სტრატეგიები

გადაცემას კომერციული ხასიათი არ აქვს, უფრო პოლიტიკური და საზოგადოებრივი დატვირთვა ექნება. ტელეკომპანია „ობიექტივის“ სპეციფიკიდან (არაფორმალურად, თუმცა ფაქტობრივად, საზოგადოებრივი მაუწყებლის მოდელია) გამომდინარე, მისი საეთერო ბადეში განთავსება ტელევიზიისთვისაც ხელსაყრელია, რადგან უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე კომპეტენტური საუბარი მაყურებელს მოუმატებს.

2.8. პროდაქშენის ასპექტები

გადაცემის მოამზადებს შემოქმედებითი ჯგუფი:

- ავტორი და წამყვანი (1);
- პროდიუსერი (1);
- ჟურნალისტი (1)
- ოპერატორი (1);
- მონტაჟის რეჟისორი (1);
- სტუდიის დაქირავება საჭირო არ იქნება, გადაცემა ჩაიწერება მიმღები ტელევიზიის სტუდიაში მათივე აპარატურით.

2.9. პროექტის ბიუჯეტი

შემოქმედებითი რესურსები			
	შემოქმედებითი ჯგუფი	**რაოდ.**	**თვიური ანაზღ.**
1	გადაცემის ავტორი და წამყვანი	1	1500 ლარი
2	პროდიუსერი	1	1000 ლარი
3	ჟურნალისტი	1	800 ლარი
4	ოპერატორი	1	700 ლარი
5	მონტაჟის რეჟისორი	1	800 ლარი
		ჯამი - 4800 ლარი	

	აპარატურა	**რაოდ.**	**ფასი**
1	ტელე-კამერა JVC GY-HM600U ProHD HANDHELD CAMCORDER	1	5220 ლარი
2	მეხსიერების ბარათი (ჩიპი)Wise SDHC UHS - I 32GB	2	200 ლარი
3	პორტატული კომპიუტერი (ნოუთბუქი) Lenovo ThinkPad Helix (20CH0022RT)	1	2999 ლარი
4	შტატივი BRILLIANT PRO 70	1	450 ლარი
5	აკუმულატორი SWIT S-8i50	1	400 ლარი
6	განათება Dedolighte	1	2030 ლარი
7	სამკერდე მიკროფონი Sennheiser EW 112PG3	1	2100 ლარი
9	სამონტაჟო კომპიუტერი პროცესორი - ASUS H81M-K მონიტორი - ASUS VX239H	1	2000 ლარი
		ჯამი - 15399	

სატელევიზიო პროექტის საერთო ბიუჯეტი: 20199 ლარი.

დასკვნა

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეთნიკური სტერეოტიპები მანიპულაციური პროპაგანდის სისტემაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს, რადგან ბლოკავს ადამიანის გონებასა და რაციონალურ უნარს, ნერგავს ნეგატიური ემოციების რთულ კომპლექსს, იწვევს შიშის, სიძულვილის, უნდობლობის, ეჭვისა და მტრობის განცდას. ეს კი შესაძლებელი ხდება სტერეოტიპების იმ თვისებების გამო, რომ ისინი, წარმოიშვებიან რა უფრო ხშირად სპონტანურად, აუცილებლად უკავშირდებიან აღქმასა და არა გამოცდილებას, მაგრამ შეუძლიათ უშუალო გავლენა მოახდინონ ახალი გამოცდილების მიღებაზე. რაკიღა ძალიან მდგრადი, თუმცა, ამავე დროს, ცვალებადია, ისინი ასახავენ არა რეალობას, არამედ რეალობის ეტიკეტს.

ეთნიკური სტერეოტიპების სოციალური და ფსიქოლოგიური ბუნების, მათი წარმოშობის, მათი მეშვეობით მანიპულირებისა და მათი განვითარების ტენდენციის კვლევა აქტუალურ სამეცნიერო პრობლემად იქცა. უფრო მეტიც, ამ პრობლემის შესწავლა საშუალებას იძლევა განისაზღვროს მათი დაძლევის გზები, შემუშავდეს ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპების ნგრევის მექანიზმი, გამოინახოს მათი აღკვეთის პროფილაქტიკის მიმართულებები და, ბოლოს, პოზიტიური ეთნიკური სტერეოტიპების მეშვეობით ხელი შეეწყოს კონფლიქტების მოწესრიგებას. ნეგატიური მდგრადი მითებისა და სტერეოტიპების დაძლევის გზების გამონახვა ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ობიექტური აზრის ჩამოყალიბებას მედიაში გაშუქებულ მოვლენებზე და, უპირველესად, ეთნოსებს შორის კონფლიქტებზე.

კვლევის შედეგად ვასკვნით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იმ ცნობების გავრცელების მთავარ ინსტრუმენტად იქცა, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. ახლა შეიძლება თითქმის დარწმუნებით ითქვას, მედია მიზანმიმართულად აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს ზეგავლენის სპეციალური ტექნოლოგიების დახმარებით. აშკარა დეზინფორმაციისა და ტენდენციური ანალიზის მეთოდებთან ერთად გამოყენებულია „აქცენტების გადანაცვლების“ მეთოდი, რაც იწვევს საზოგადოების აზრით ფაქტობრივ მანიპულაციას, მასობრივ ცნობიერებაში ყალბი სტერეოტიპებისა და წარმოდგენების შექმნას და საბოლოო ჯამში, მიმდინარე მოვლენების მიმართ ადამიანების არაადეკვატური აღქმის ჩამოყალიბებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს კონფლიქტების გაშუქებაში უზარმაზარი სამშვიდობო პოტენციალი აქვთ. მედია ფლობს ფუნქციებს, რომლებიც ხელს უწყობს კონფლიქტების მოგვარების საკითხს: გაურკვევლობის თავიდან აცილება და დამატებითი

ინფორმაციის მიღება ახალი, ორაზროვანი, უცნობ მოვლენებისა და პროცესის შესახებ; შეხედულებების, ანუ შემეცნებითი, ემოციური და ქცევითი რეაქციების სისტემების ჩამოყალიბება ამ ობიექტებსა და მოვლენებთან დაკავშირებით, რაც იწვევს შესაბამის ფიზიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ რეაქციებს; ხალხის მიერ განსახილველი თემების დასახვა და მოსაზრებების ახალი სისტემების გავრცელება (ეკონომიკური, იდეოლოგიური და ა.შ.); ხალხის ღირებულებითი ორიენტაციის დაზუსტება; მედიის ზეგავლენა აუდიტორიის ემოციურ მდგომარეობაზე, შიშის წარმოქმნაზე, შფოთვაზე, გაუცხოებაზე; ზეგავლენის მოხდენა ხალხის ქცევაზე - რაიმე ქმედების პროვოცირება (აქტივაცია) და მათი შეწყვეტა (დეაქტივაცია).

მედია არა მარტო ავრცელებს და ამრავლებს სტერეოტიპებს, არამედ თავად აწარმოებს მათ. სტერეოტიპები შეიძლება შეიქმნას დოქტრინებში თეორიულ დონეზეც, მაგრამ პრაქტიკაში მათ მედია ქმნის. ნეგატიურ სტერეოტიპებზე მედიის მაკორექტირებელი ქმედებები ძალზედ გართულებულია, რადგან ადამიანები, როგორც წესი, მიდრეკილი არიან, თავი აარიდონ ისეთ ინფორმაციას, რომლებსაც დისონანსი შეაქვს რწმენებისა და სტერეოტიპების სისტემაში. ამავე დროს, ისინი აქტიურად ეძებენ თავიანთი მოსაზრებების დამადასტურებელ ინფორმაციას. ამდენად, მედია, სტერეოტიპებისა და სურათების „ავტორობის“ გარეშეც კი, მათი ტირაჟირების გზით ნერგავს ამ სტერეოტიპებს მასობრივ ცნობიერებაში. სტერეოტიპის მდგრადობის გათვალისწინებით, მისი აღმოფხვრა ძალზე შრომატევადი ამოცანაა.

ეთნოკონფლიქტების პროვოცირებასა და გამწვავებაში დიდ როლს ასრულებს ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიერ შექმნილი და ტირაჟირებული ეთნიკური სტერეოტიპები. ეთნიკური ინფორმაცია გადაეცემა მასობრივ ცნობიერებას ტექსტის შემდეგი სტრუქტურული ელემენტებით: სპეციალურად შერჩეული ფაქტებით სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და მთელი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების ცხოვრებიდან; ეთნიკური სტერეოტიპების მეშვეობით; ეთნიკური იდეების ან იდეოლოგიების გამოყენებით; ეთნიკური ლექსიკის გამოყენებით; ეთნიკური შეფერილობის მქონე ილუსტრაციის მეშვეობით. ინფორმაციის თითოეული ეს ელემენტი ძალიან იშვიათად გვხვდება განცალკევებულად. როგორც წესი, ისინი კომბინირებული, ერთმანეთთან შერწყმული არიან და ავსებენ ერთმანეთს. სწორედ სტერეოტიპების დახმარებით, რომლებიც „ადვილად ასათვისებელი“ და უფრო მდგრადი არიან, მედიას ადვილად შეუძლია ინფორმაციის მომხმარებელთა საზოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულირება. პრესაში ნებისმიერი თემის გამოჩენა განპირობებულია ინტერესებით (სარედაქციო, გამომცემლის, პოლიტიკური ელიტის და სხვ.), რომლებიც განსაზღვრავენ

საზოგადოებრივი აზრისა და ცნობიერების ორიენტაციას. ამაში მდგომარეობს მედიის მანიპულაციული ფუნქცია.

ზოგადად, ეთნიკური სტერეოტიპების პრობლემის შესახებ ლიტერატურის სიმრავლის მიუხედავად, მათი როლი ეთნიკური კონფლიქტების გაშუქებაში ჯერ საკმარისად შესწავლილი არ არის. ეთნიკური სტერეოტიპების გაშუქების საკითხზე ლიტერატურის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა სამუშაოების უმრავლესობა შემოფარგლულია კვლევის ხანმოკლე ჩარჩოებით, რომლებიც პრესისა და ელექტრონული მედიის შინაარსობრივი ანალიზის კონტექსტში ჩატარდა.

შედეგები, ძირითადი მიგნებები

- ქართული მედიისთვის და, კერძოდ, ტელევიზებისთვის ეთნოკონფლიქტების გაშუქება მეორეხარისხოვანია და უფრო მეტად ფოკუსირებულია სენსაციაზე;
- ქართული მედია ეთნოკონფლიქტებით ინტერსდება მხოლოდ კონფლიქტის გამწვავების დროს და ძირითად აქცენტს აკეთებს სკანდალურ ინფორმაციაზე;
- ეთნოკონფლიქტების შესახებ სიუჟეტებში თვალშისაცემია პოლიტიკური მიკერძოებულობა;
- ქართული მედიები/ჟურნალისტები ეთნოკონფლიქტებს ხშირად ზედაპირულად, არაეთიკურად და უპასუხისმგებლოდ აშუქებენ;
- ტელევიზიების დღის წესრიგი დიდ გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე;
- პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი უარყოფითად აისახება ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე და კონფლიქტის ესკალაციას იწვევს;
- მედიის მიმართ ნდობა ძალიან დაბალია, მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაშიც კი ინფორმაციის სანდოობა ეჭვქვეშ დგას;
- ჟურნალისტების კვალიფიკაცია და კომპეტენცია ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას კრიტიკას ვერ უძლებს;
- ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას საკმარისი არ არის.

რეკომენდაციები

- აუცილებელია ჟურნალისტებს ჰქონდეთ კვალიფიკაცია და კომპეტენცია, განსაკუთრებით, ისეთ სენსიტიურ თემაზე მუშაობისას, როგორიცაა ეთნოკონფლიქტები;
- აუცილებელია ტელევიზიების დღის წესრიგში მთავარი ადგილი დაიკავოს ეთნოკონფლიქტების თემატიკამ;
- საჭიროა ეთნიკური კონფლიქტების გასაშუქებლად გამოიკვეთოს გარკვეული სახელმძღვანელო ორიენტირები, რომლებსაც დადებითი როლის შესრულება შეუძლიათ კონფლიქტის დარეგულირებაში;
- საჭიროა ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით სახელმწიფოს ჰქონდეს კონსტრუქციული მოქმედების გეგმა, რომ ეთნოკონფლიქტების გაშუქება პოზიტიურ შედეგს ემსახურებოდეს;
- მედიამ ეთნოკონფლიქტები უნდა გააშუქოს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით და არ უნდა შეასრულოს წამქეზებლის როლი;
- საჭიროა სტერეოტიპებზე უარის თქმა და პროცესების მიუკერძოებელი გაშუქება;
- მედიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების პრობლემებზე;
- საჭიროა მომზადდეს სპეციალური გადაცემა, სადაც მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის სპეციალისტები ისაუბრებენ ეთნოკონფლიქტებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Stab, J.F., (1990), The Role of News Factors in News Selection: A Theoretical Reconsideration//European Journal of Communication, Vol.5, No.4.
2. Frey, S., (1998), Prejudice fnd Inferentail Communication: A New Look at an Old Problem/Indoctrinability, Ideology, and Warfare. - NY-Oxford: Berghahn Books.
3. Барт, Р., (1994), «Миф сегодня», Избранные работы: Семиотика. Поэтика. Москва, Прогресс.
4. კონფლიქტები საქართველოში: მიმდინარე ეტაპის თავისებურებები და ამოცანები, (2015), კავკასიური სახლი.
5. ჰელინი, დ., მანჩინი, პ., (2015), „მედიასისტემების შედარება. მედია და პოლიტიკური სისტემების სამი მოდელი“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
6. თომპსონი, ჯ.ბ., (2014), მედია და მოდერნულობა. მედიის სპეციალური თეორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
7. მუსხელიშვილი,მ.,(2015), „კრებული არჩევანი. პოლიტიკური არჩევანი მედიაში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
8. Lippman,W. (1922) Public Opinion, New York.
9. Katz, D., Braly, K.W., (1933), Racial Stereotypes of One Hundred College Students // Journal of Abnormal and Social Psychology, Vol.30, P. 663-679.
10. Lippman, W., (1922), Public Opinion, NY; Fishman, J. A., (1956) An Examination of the Process and Function of Social Stereotyping // Journal of Social Psychology, №4.
11. Jagoda, G., (1959), Nationality Preferences and National Stereotypes in China Before Independence // Journal of Social Psychology, №50.
12. Bogardus, E.S., (1950) Stereotypes Versus Sociotypes // Sociological and Social Research, №3.
13. Bar-Tal, D., Grauman, C.F., Kruglanski, A. W., Stroebe, W., (1989), Stereotyping and Prejudice. Changing Conceptions. NY.
14. Mucerji, M.A. F., (1951) Study of Stereotypes and Attitude Change. Lucknow;
15. Brown, R., (1965), Social Psychology. NY;
16. Campbell, D.T., (1965), Ethnocentrism and Other Altruistic Motives // Nebraska Symposium on Motivation. Vol.13. Lincoln, P. 283-301; Campbell, D.T.,

17. Levine, R.A., (1972), Ethnocentrism: Theories of Conflict, Ethnic Attitudes and Group Behavior. NY.
18. Klineberg, O., (1954), Social Psychology. NY;
19. Bringham, J.C., (1971), Ethnic Stereotypes / Psychological Bulletin, vol. 76. P. 26.; Inside European Identities. Ed. by Sharon McDonald. Oxford, 1997.
20. ჩიკვაიძე, ა., (2004) „პოლიტიკური ჭადრაკი. სამი სხვადასხვა ელჩის თვალით“. თბილისი.
21. ასმუსი, რ. დ., (2010) „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
22. ჩემპილი, ე.-ო., (2003), „მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში“, თბილისი, „ლეგა“.
23. მუსხელიშვილი, მ., (2006), სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი. სალექციო კურსი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი.
24. უოლცი, ქ. (2003). ადამიანი, სახელმწიფო და ომი. ჯისიაი.
25. Brzezinsky, Z., (1970), Between Two Ages. Americas's Role in the Technotronic Era. N.Y.
26. Toffler, A., (1980), The Third Wave. N.Y.
27. Bell, D., (1973), The Coming of Post-industrial Society. A venture of social forecasting. N.Y.; Bell, D., (1980), The social Framework of the information society. Oxford.
28. Touraine, A., (1971), The Post-industrial society. Tomorrow's Social History:Classes, Conflicts and Culture in the Programmed Society. N.Y.
29. Masuda, I., (1983), The Information Society as Post-industrial. Washava.
30. Кастельс М., (2016), Власть коммуникации, Москва.
31. McLuhan M., (1962) The Gutenberg Galaxy: The Making of Typographic Man. Toronto.
32. McLuhan M., (1964) Understanding Media: The Extensions of Man. — N.Y.: McGraw Hill.
33. Тоффлер, Э ., (2004), Шок будущего, Москва.
34. რეპკოვა, ტ., (2006) „ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში“, 2006.

დანართი N1

სიღრმისეული (ნახევრადსტრუქტურული) ინტერვიუს მონაწილეთა სია (პოლიტიკოსები, ექსპერტები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები)		
N	**რესპონდენტი**	**სტატუსი**
1.	ადა მარშანია	ერთადერთი აფხაზი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში
2.	თამარ კიკნაძე	პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
3.	გუგული მაღრაძე	საქართველოს პარლამენტის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის: „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ ხელმძღვანელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
4.	ზაზა ცოტნიაშვილი	საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რომუალდო დელ ბიანკოს საერთაშორისო ფონდის პოლიტიკური ექსპერტი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ცხინვალის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი
5.	პაატა ზაქარეიშვილი	კონფლიქტოლოგი, საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
6.	ვახტანგ მაისაია	პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

1. **ადა მარშანია,** *ერთადერთი აფხაზი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- უპირველესი უნდა იყოს. ეს არის ჩვენი ფუნდამენტური, უპირველესი პრობლემა და, საერთოდ, ჩვენი ეროვნული იდეაა. ერი თუ ქვეყნის გამთლიანების საკითხზე არ მსჯელობს, აბა, რას ვაკეთებთ?! ალაგ-ალაგ ლაპარაკობენ, ასე როგორ მოგვარდება კონფლიქტები?!
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- ზოგჯერ იგრძნობა. თუ უფრო კვალიფიციურია ჟურნალისტი, მას ესმის, რომ, განსაკუთრებით, ეთნოკონფლიქტებზე საუბრისას ის უნდა იყოს მაქსიმალურად ტოლერანტული და ნეიტრალური.
3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?**
	- ვერ გეტყვით, რომ ზედმიწევნით პასუხისმგებლიანად და ეთიკურად, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ტოლერანტულია და ძირითადად ამ ბუნებრივი ტოლერანტობიდან გამომდინარე, ესმით საკითხის სენსიტიურობა. არის გადაცდომებიც, უვიცობაც, გაუაზრებლობაც.
4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- თუ კონფლიქტი გააქტიურდა და გამწვავდა, რასაკვირველია, წინა პლანზე წამოიწევა, მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ცეცხლზე ნავთის

	დასხმა არ შეიძლება.
5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- ტელევიზია ვის და რის ზეგავლენის ქვეშაც არის, იმის მიხედვით აშუქებს. თუ ის პატიოსნად ემსახურება ქვეყანას, მისი დღის წესრიგში იქნება ის, რაც აქტუალურია ეროვნული ინტერესებისთვის.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- ეთნოკონფლიქტებზე პოლემიკა და დებატები ძალიან რთულია. ერთი მხრივ, კარგია, როდესაც გვერდიდან მაყურებელი გაშიშვლებულად დაინახავს ორივე მხარის რადიკალურ მიდგომებს და პოზიციებს და თვითონ მიხვდება, რომ ოქროს შუალედი უნდა მოვძებნოთ, თუ გვინდა კონფლიქტის მოგვარება. მეორე მხრივ, ძალიან კარგად უნდა ვიცოდეთ კონფლიქტის ეთნოგენეზისი. ჩვეულებრივი მოქალაქე რომ ზედაპირულად მსჯელობს, არ მიკვირს, მაგრამ ჟურნალისტს და რესპონდენტს მეტი დაფიქრება მართებთ.
7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- ძალიან მნიშვნელოვანია. სიმართლეზე უკეთესი პოლიტიკა არ არსებობს. არის მომენტები, როცა სიმართლე არ უნდა თქვა. არა იმიტომ, რომ რამე დამალო, არამედ არ გაამწვავო. მაგრამ ჩვენ თუ მართლა გვინდა წინ წავიწიოთ, გულწრფელი საუბრის, შეცდომების აღიარების გარეშე არ გამოვა. გულწრფელი საუბარია საჭირო და ამას ცოდნა და მოთმინება სჭირდება.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?**
	- ზოგჯერ ისეთი მძიმე ინფორმაციაა, რომ სწორად მიწოდებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?**
	- საჭიროა ზოგადი განათლება, კულტურა, ტაქტი, საკითხის ცოდნა. ეთნოკონფლიქტის შესახებ თუ არ იცის, არ უნდა ილაპარაკოს.
10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.**
	- სულ იმას ვამბობ, რომ ეთნოკონფლიქტების შესახებ საერთოდ არ ლაპარაკობენ. გენდერულ საკითხებს უზარმაზარი დრო ეთმობა და კონფლიქტები მეორეხარისხოვანი გახდა. მეხუთე თვეა საპარლამენტო კომისია არ მუშაობს და რაზე ვილაპარაკოთ?! აუცილებელია სპეციალური გადაცემის კი არა, გადაცემების გაკეთება.

2. **თამარ კიკნაძე,** *პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- ძალიან აქტუალურია იმიტომ, რომ საერთოდ დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტოლოგიის ერთ-ერთ ყველაზ უფრო აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- ალბათ იგრძნობა იმის მიხედვით, ვინ აშუქებს და ვის ინტერესებშია. ცდილობენ ჟურნალისტები, რომ მიუკერძოებლად გააშუქონ, მაგრ სპეციალისტი მაინც შეამჩნევს.
3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?**
	- სამწუხაროდ, დღეს ჩვენი პრობლემა არის საერთოდ, ჟურნალისტების პროფესიული განათლება, ამ ვიწრო სპეციალიზაციას რაც შეეხება და, უპირველსად, სწორედ ეთნოკონფლიქტების პასუხისმგებლობით და ეთიკურად გაშუქებაზეც აისახება. ამიტომ მე სხვანაირად დავგეგმავდი მათ განათლებას.
4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- ეთნოკონფლიქტის სიმწვავის ხარისხი და პოლიტიკური მიზანშეწონილობა.

5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- ტელევიზია და, საერთოდ, მასმედია არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გავლენის აგენტი. შესაბამისად, ადამიანის ცნობიერებაზე ის ძალიან დიდ გავლენას ახდენს. განსაკუთრებით, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებზე. იმდენად, რამდენადაც ტელევიზია, სამწუხაროდ, ხშირად გამოხატავს ხოლმე ოფიციოზის, ხელისუფლების განწყობებს, გააჩნია, როგორი განწყობა აქვს ხელისუფლებას.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- ძალიან დიდს. საერთოდ, პოლარიზებულ საზოგადოებაში უკიდურესი შეხედულებები და ულტრაგანწყობებია, რაც ყველაფერზე უარყოფით გავლენას ახდენს. აფილირებული ტელევიზიები იყენებენ ამ თემას პოლიტიკური მიზნებისთვის. ხშირ შემთხვევაში ისინი ფინანსდებიან და იმიტომ არის ასეთი განწყობები, თორემ ქვეყნის ინტერესებში ნამდვილად არ შედის.
7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- აქ ძალიან დიდი დაფიქრებაა საჭირო. ამაზე ძალიან ბევრი რამ მოქმედებს. შეიძლება რაღაცის დამალვა სასიკეთო გამოდგეს, ან უტრირება სჯობდეს. გააჩნია, როგორი პოლიტიკური კლიმატია და რა წაადგება ქვეყანას.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?**
	- ყოველთვის - არა. ზოგჯერ უკიდურეს განწყობებს იწვევს. საერთოდ, ჩემი აზრით, პოლიტიკის საჯაროობა ხშირად ხელს არ უწყობს პროცესების ქვეყნის საკეთილდღეოდ წარმართვას და ამაზე ბევრი პოლიტოლოგი და დიპლომატი წერს.

9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?**
	- ჟურნალისტი ძალიან ღრმად უნდა იცნობდეს თემატიკას. შეიძლე ზოგჯერ პოლიტოლოგზე ღრმად ჩახედულიც იყოს იმდენად, რამდენადა პლატონს თუ დავესესხებით, ზოგჯერ შეკითხვას უფრო დიდ მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პასუხს. ჟურნალისტმა ხელი კი არ უნ შეუწყოს კონფლიქტის გამწვავებას, პირიქით. ჟურნალისტს ძალიან დიდ როლი ენიჭება, რადგან პროფესიული თვისებები უნდა ჰქონდეს დ ამავდროულად, უნდა იყოს პოლიტოლოგიც. წარმატებული ქვეყნებ ჟურნალისტების მომზადებულ სიუჟეტებს თუ ვნახავთ, ძალი კვალიფიციურად არის მომზადებული და ძალიან დიდი პოლიტიკურ დატვირთვა აქვს. მოხარული ვიქნები, თუკი ჩვენთანაც ასე იქნება.
10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.**
	- ჩვენ ორი ეთნოკონფლიქტი გვაქვს და ჩვენთვის ეს თემა ნამდვილად აქტუალურია. საერთოდ, ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ძალიან კონსტრუქციული მოქმედების გეგმა და ამ ეთნოკონფლიქტების გაშუქება პოზიტიურ შედეგს უნდა ემსახურებოდეს. შეიძლება სპეციალური გადაცემის მომზადებაც. გააჩნია, რა კუთხით გააშუქებ - ჟურნალისტი კონსტრუქციული იქნება თუ დესტრუქციული. ძალიან დიდი სიფრთხილე სჭირდება.

3. **გუგული მაღრაძე,** *პარლამენტის წევრი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ ხელმძღვანელი*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- ეთნოკონფლიქტების გაშუქებას უნდა ჰქონდეს თავისი გარკვეული მიზანი და გათვალისწინებული უნდა იყოს სიტუაცია. არის სიტუაცია, როცა აუცილებელია ეთნოკონფლიქტის გაშუქება, არის ისეთი სიტუაციაც, როდესაც ძალიან გამწვავებულია ეთნოკონფლიქტი და ასეთ შემთხვევაში სულ სხვანაირად უნდა გაშუქდეს, - ისე, რომ ხელი შეუწყოს ცეცხლის შეწყვეტას და კონფლიქტის მოგვარებას. ხანდახან არის სიტუაციები, როდესაც რადიკალიზაციაც შეიძლება საჭირო იყოს. თავისთავად, თუ რამე კონკრეტული ამბავია, ეს უნდა აისახოს, მაგრამ ერთია, რომ შეიძლება აისახოს და მეორეა ინტერპრეტაცია, რომელიც ხანდახან გამართლებულია.
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- სამწუხაროდ, იგრძნობა. ჟურნალისტის ხელოვნებაც ზუსტად იმაშია, რომ მან მოვლენის მიუკერძოებლად გადმოცემა შეძლოს. ანალიზის დროს, ცხადია, მიკერძოება შეიძლება იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა აკადემიური ცოდნა. არსებობენ ანგაჟირებული ჟურნალისტები, რომლებიც ღიად გამოხატავენ ვიღაცის პოზიციას და ასეთ შემთხვევაში მიუკერძოებელი ვერ იქნებიან. თუმცა, ცხადია, უკეთესიცაა და სასარგებლოც, ჟურნალისტი შეეცადოს, ინფორმაცია ობიექტურად გადმოსცეს. მაქსიმალური ობიექტურობა ძნელია, მაგრამ ჟურნალისტის მოვალეობა სწორედ ეს არის.

3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?**
	- ვერ ვიტყვი, რომ ეთიკურად და პასუხიმგებლობით აშუქებენ. უპირველესად, არაპროფესიონალიზმი ჩანს. კონფლიქტებზე წერა ადვილი არ არის. ყველა დარგს თავისი სპეციალისტი ჰყავს. როგორც ეკონომიკას სჭირდება შესაფერისი ცოდნით აღჭურვილი ჟურნალისტი, ისე სჭირდება კონფლიქტების გაშუქებასაც. სხვა საკითხია მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემა, მაგრამ როდესაც რეპორტაჟი მზადდება, ჟურნალისტმა უნდა იცოდეს კონფლიქტის წინაისტორია, განვითარების ფაზები. ასეთ დროს ცოდნა უნდა ჰქონდეს. ძალიან ხშირად ჩვენს სამამულო ჟურნალისტიკაში ვხედავთ კონფლიქტის ისეთ „გაშუქებას“, როდესაც ჟურნალისტი კონფლიქტს აღრმავებს.
4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, უპირველესად, გავლენას ახდენს ის ინტერესი, რაც აქვს ტელევიზიის მესვეურს, რომელიც მის დღის წესრიგს ადგენს. სარედაქციო დამოუკიდებლობა ხშირად ძნელად მისაღწევია, რადგან დიდწილად დამოკიდებულია დამფინანსებლის ნებაზე. ამიტომ, ჩემი აზრით, გავლენას უფრო ის ინტერესი ახდენს, რაც აქვს ტელევიზიის დამფუძნებელს.
5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- რასაკვირველია, ტელევიზიის დღის წესრიგი დიდ გავლენას ახდენს კონფლიქტის გაშუქებაზე. ჩვენთან ძალიან რთულია ვთქვათ, რომ ტელევიზია ობიექტურია. შეიძლება რაღაც გადაცემა იყოს შედარებით ობიექტური, მაგრამ ტელევიზია მაინც ვიღაცის ინტერესებს ემსახურება. ასე რომ, ეთნოკონფლიქტების გაშუქების დროს მნიშვნელობა აქვს იმას, ვის წისქვილზე ასხამს წყალს კონფლიქტის ამა თუ იმ ფორმით გაშუქება.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს**

	ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?
	- ყველაფერი ყველაფერთან კავშირშია. პოლარიზებული პოლიტიკური ველი იმას ნიშნავს, რომ მხარეებს თავისი ინტერესი აქვთ და ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რომ ერთიანი ინტერესი გვქონდეს. კი, ყველა ვამბობთ, რომ ჩვენთვის მთავარია ტერიტორიული მთლიანობა, „არა ოკუპაციას“ და ა.შ. მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფოს, ერის ერთიანი პოზიცია არ ჩანს. ამიტომ, რაც უფრო პოლარიზებულია, რაც უფრო დაპირისპირებულია პოლიტიკური ძალები, ეთნოკონფლიქტებიც მით უფრო არაობიექტურად და ამა თუ იმ მხარის ინტერესების გათვალისწინებით შუქდება.
7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- ჟურნალისტი უნდა შეეცადოს, რომ სიმართლე თქვას, მაგრ უპირველესად, იმაზე უნდა იფიქროს, ეს სიმართლე საერთო საქმეს ხომ ავნებს. ამიტომ აქაც ტაქტი და გონიერება მართებს; ინტუიციამაც უნ უკარნახოს, რომ მისმა ნათქვამმა რამე არ გააფუჭოს.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?**
	- პრინციპში, თუ ეს საერთო პოზიციის გამომხატველია, თუკი მართალი პოზიციაა და სხვა მიზნებს არ ემსახურება, ხელს შეუწყობს. როდესაც მკითხველი, მსმენელი თუ მაყურებელი ხედავს, რომ ეს ობიექტურობას ემსახურება, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ზუსტი ინფორმაციის მიწოდება უკეთესია. მიკერძოებული სიმართლე არ ვარგა, როდესაც ვიღაცის ინტერესები ჩანს.
9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?**
	- ჟურნალისტს ელემენტარული ცოდნა უნდა ჰქონდეს კონფლიქტების შესახებ. რა არის კონფლიქტი, კონფლიქტის წყაროები, რა შეიძლება იყოს მიზანი და ა.შ. ბოლოს და ბოლოს, ტერმინებს უნდა იყენებდეს

	სწორად.
10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.**
	- სიღრმისეული ანალიზი უნდა კეთდებოდეს. ერთია ამბის მიწოდება და ამბავი უსათუოდ უნდა გაავრცელოს მედიამ, მაგრამ უნდა იყოს დისკუსია, განსხვავებული აზრებიც. ეთნოკონფლიქტების თემა მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მოსახლეობისთვის და მედიამ ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს. პერიოდულობა და ხანგრძლივობა თვითონ განსაზღვრონ. ცუდი არ იქნება სპეციალური სატელევიზიო გადაცემის გაკეთებაც, მაგრამ ამ გადაცემებში უნდა ჩანდეს აკადემიური ანალიზი და არა ემოციური მსჯელობა პოლიტიკური მიზანშეწონილობის მიხედვით. ამ თემაზე სპეციალისტებმა უნდა ისაუბრონ, ვის მიმართაც ნდობა არსებობს. ასეთ შემთხვევაში ხალხი ეთნოკონფლიქტების შესახებ მეტ ინფორმაციას გაიგებს კვალიფიციური ადამიანებისგან. როდესაც ამ საკითხზე ანგაჟირებული პოლიტიკოსები საუბრობენ, მოსახლეობას არ სჯერა და დადებითიც არაფერი მოაქვს ამგვარ დისკუსიებს.

4. **ზაზა ცოტნიაშვილი,** *საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რომუალდო დელ ბიანკოს საერთაშორისო ფონდის პოლიტიკური ექსპერტი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ცხინვალის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- ტელევიზიებისთვის ეთნოკონფლიქტების გაშუქება აქტუალურია, რადგან, ქართულ მედიასივრცეს თუ გავითვალისწინებთ, ეთნოკონფლიქტები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა. რა წარმომავლობა აქვთ თვითონ ეთნოკონფლიქტებს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ჩამოყალიბებული კონფლიქტები, რომლებიც ჩვენთან არსებობს და დღეს ერთგვარი სტაგნაციის პროცესშია, მე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან აქტუალურია ტელევიზიებისთვის.
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- კი, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ისევ იგრძნობა. ძალიან რთულია, როცა შენი ქვეყნის ეთნოკონფლიქტებს აშუქებ, მიუკერძოებელი იყო. მაგრამ, ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ობიექტური ჟურნალისტიკა და ეთნოკონფლიქტის ობიექტური გაშუქება, როდესაც ჟურნალისტს ყველა ის უნარი აქვს, რომ შეეცადოს მაქსიმალურად ობიექტურად გააშუქოს ყოველგვარი მიკერძოების ან სიმპათია-ანტიპათიის გარეშე.
3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?**
	- ზოგადად, ჟურნალისტიკის პრობლემები ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. ალბათ ეთნიკური კონფლიქტების გაშუქების მიმართულებითაც გვაქვს გარკვეული პრობლემები. თუმცა, იმასთან შედარებით, რაც იყო

	ადრეულ პერიოდში, როდესაც აბსოლუტურად სხვა განზომილებაში განიხილებოდა კონფლიქტი პუბლიცისტური და ჟურნალისტური თვალსაზრისით, დღეს წინგადადგმული ნაბიჯები არის. სამომავლოდ ალბათ უფრო მეტად იქნება ჟურნალისტიკა ეთიკური თვალსაზრისით უკეთესი, ვიდრე ის დღეს არის. ალბათ ამას დრო სჭირდება.
4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- გავლენას ახდენს ის, თუ ვინ არის ეთნოკონფლიქტის მხარე.
5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- რაც შეეხება ტელევიზიების დღის წესრიგს, კონფლიქტებს გარკვეულ დროს უთმობენ და, ვფიქრობ, კარგი იქნება, რომ მაღალკვალიფიციური ადამიანების წარდგენით, მაღალაკადემიურ დონეზე და, ამავე დროს, პოპულარულ ენაზე მსჯელობდნენ კონფლიქტებზე, თუ რასთან გვაქვს საქმე, რათა საზოგადოება მაქსიმალურად ზუსტად იყოს ინფორმირებული კონფლიქტებთან დაკავშირებით.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- ბუნებრივია, პოლარიზებული პოზიციები ხშირ შემთხვევაში საინტერესოა აზრთა გაცვლა-გამოცვლის თვალსაზრისით, მაგრამ თუ ეს პოლარიზაცია გარე პოლიტიკური ძალების მიერ არის ინსპირირებული, რასაკვირველია, ეს პრობლემაა და იწვევს საზოგადოების დაპირისპირებას, რასაც მედია ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს, რომ მაყურებლის თუ მკითხველის ობიექტური ინფორმირება შეძლოს.
7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- ჟურნალისტები, ბუნებრივია, უნდა იცავდნენ კანონის, არსებულ მორალური ჩარჩოების ყველა პარამეტრს, მაგრამ ამავე დროს უნდა თქვ

	სიმართლე, ანუ უნდა აღწეროს რეალობა და მოსახლეობას უნდა ჰქონდ ზუსტი ინფორმაცია. თუმცა, გააჩნია შემთხვევას, რა დროს რა შეიძლ თქვა და რა - არა. ეს დარეგულირებულია კანონმდებლობით, რომელს ხშირ შემთხვევაში ცუდად იცავენ. ამავდროულად, ჟურნალისტი არ უნ გასცდეს მედიის სტანდარტებს. თუმცა, ჟურნალისტმა სიმართლე უნ თქვას აუცილებლად.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?** - მედიას, ბუნებრივია, შეუძლია კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებაზე იზრუნოს, მაგრამ იგივე მედიის გამოყენება ხდება კონფლიქტის ორგანიზატორების მხრიდან კონფლიქტის გაღვივების მიზნით. ამიტომაც, ჟურნალისტები მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ, რომ კონფლიქტის დარეგულირების სადარაჯოზე იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი მათზე არ არის დამოკიდებული. ამ გადაწყვეტილებებს ძირითადად „დიდი პოლიტიკოსები“ იღებენ ხოლმე და ხშირად მათ ნებაზეა პროპაგანდა, საინფორმაციო დაპირისპირება და საინფორმაციო ომები მიმდინარეობს მედიის და ჟურნალისტების გამოყენებით, რაც სამწუხაროა.
9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?** - კონფლიქტების და, კერძოდ, ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას ჟურნალისტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კონფლიქტების გაშუქების სპეციალური ცოდნა. გარდა იმისა, რომ მას უნდა შეეძლოს შეიარაღებული პროცესის გაშუქებაც, უნდა ჰქოდეს გარკვეული უნარები, რომ უშუალოდ ცოცხალი პროცესები წარმოაჩინოს, მძიმე ადამიანური ტრაგედიების და ვითარების აღწერა შეძლოს. ამავე დროს, მას უნდა ჰქონდეს ცოდნა იმ პროცესების, რომ მისი აღქმა და მერე ამ ინფორმაციის გავრცელება იყოს ადეკვატური.
10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.** - კონფლიქტების გაშუქებასთან დაკავშირებით პირადად ჩემთვის

	საინტერესო იქნებოდა სპეციალური გადაცემის გაკეთება, მაგრამ ეს ალბათ ტელევიზიების გადასაწყვეტია. მე მაინც მიმაჩნია, რომ მედია ბიზნესია და ამ თვალსაზრისით რამდენად მომგებიანი იქნება, ეს ალბათ ტელევიზიის მესვეურების გადასაწყვეტია. თუმცა, მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით, ეს იქნება ძალიან კარგი საქმე, თუ მაღალი კვალიფიკაციის ადამიანები მოამზადებენ.

5. **პაატა ზაქარეიშვილი,** *კონფლიქტოლოგი, საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- ნებისმიერი კონფლიქტის გაშუქება აქტუალურია და მით უმეტეს, ჩვენ კონფლიქტების.
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- რეპორტაჟში და სიუჟეტში, საიფორმაციო გამოშვებებში არ უნდა იგრძნობოდეს, მაგრამ საავტორო გადაცემაში, ბუნებრივია, უნდა იგრძნობოდეს. გადაცემის ფორმატზეა დამოკიდებული.
3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?**
	- ჩვენთან ძალიან არაკორექტულად, მხოლოდ ერთ მხარეს აშუქებენ. პრაქტიკულად, არანაირად არ იგრძნობა მეორე მხარის პოზიციები.
4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- ეთნოკონფლიქტის მხარე ვინ არის, მხოლოდ ეს ფაქტორი.
5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- სამწუხაროდ, თითქმის ყველა ტელევიზიიდან გამქრალია ეთნოკონფლიქტების თემა. „ობიექტივში“ ყველაზე მეტად საუბრობენ, რადგან გადაცემების ფორმატი იძლევა ამის საშუალებას, თუმცა იქაც

	აკლია სიხშირე და სისტემატურობა. სხვაგან საერთოდ არ არის ეთნოკონფლიქტებზე საუბარი, - არც საზოგადოებრივ მაუწყებელზე, არც „რუსთავი 2“-ზე... სხვა საკითხებთან ერთად, კონფლიქტებზე მხოლოდ „ობიექტივში“ ვლაპარაკობ. სხვაგანაც მიწვევენ, მაგრამ იქ კონფლიქტები არ აინტერესებთ, უფრო პოლიტიკურ თემებზე ან მიმდინარე პროცესებზე ვლაპარაკობთ.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- აშკარად აისახება და ცუდ გავლენას ახდენს.
7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- უაღრესად მნიშვნელოვანია. ამის გარეშე კონფლიქტები ვერ მოგვარდებ სიმართლის თქმის გარეშე ჩვენ წინ ვერ წავალთ.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?**
	- ცალსახად ხელს შეუწყობს.
9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?**
	- ჟურნალისტმა კარგად უნდა იცოდეს ეთნოკონფლიქტების ისტორია. სამწუხაროდ, ახალგაზრდობამ პრაქტიკულად არ იცის და უფრო მითებით იკვებება, ვიდრე რეალობით. ეს ჩვენი თაობის ბრალიც არის. ჩვენ გვგონია, რომ რაკი ჩვენ ვიცით, მათაც უნდა იცოდნენ, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს კონფლიქტები ჩვენს თვალწინ მოხდა და ცოდნა პრაქტიკიდან მივიღეთ. საჭიროა აკადემიური ცოდნის გადაცემა. წიგნები უნდა გამოიცეს და კონფლიქტები უნდა ისწავლებოდეს, რაც არ ხდება.
10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.**
	- არ არის საკმარისი. კარგი იქნება სპეციალური სატელევიზიო გადაცემა

	არსებობდეს ეთნოკონფლიქტებზე სასაუბროდ. ყოველდღიურად არა, მაგრამ კვირაში ერთხელ ნამდვილად კარგი იქნებოდა.

6. **ვახტანგ მაისაია,** *პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- სამწუხაროდ, დღევანდელი ტელევიზიებისთვის ეს თემა აქტუალური არ არის. „ობიექტივს“ ეს არ ეხება, მაგრამ დანარჩენი ტელევიზიების მიდგომები ამ საკიtხის მიმართ აბსოლუტურად იგნორირებულია.
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- იმ სიუჟეტების მიხედვით, რაც მინახავს და რის საფუძველზეც შემიძლია გავაანალიზო, ნაკლებად იგრძნობა. ჯერ ერთი, აშკარად ჩანს ჟურნალისტის მოუმზადებლობა ამ თემასთან დაკავშირებით. მეორეც, ბოლო პერიოდში რაც ვნახე, უფრო მეტად ძალიან მშრალი იყო.
3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?**
	- ძირითადად კონფლიქტები შუქდება ცოტა სუბიექტურად და არ ითვალისწინებენ მეორე მხარის თვალსაზრისს. დაბალანსებული არ არის. უფრო მეტად არის ისეთი სიუჟეტები, როცა ერთ მხარეს უფრო პოზიტიურად წარმოაჩენენ.
4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- ეთნოკონფლიქტის მხარე.
5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების**

	გაშუქებაზე?
	- ძალიან დიდ გავლენას ახდენს და ეს ჩანს კიდეც. სამწუხარო რეალო ასეთია.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენს. განსაკუთრებით, პროპაგანდა. დღეს საქართველოში აშკარად გამოიკვეთა პროპაგანდისტული მედიაველი.
7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- საკმაოდ მნიშვნელოვანია და, მე ვიტყოდი, ეს არის ათვლის წერტილი ნებისმიერი კონფლიქტის წარმოსაჩენად და შემდგომი მოგვარებისთვის ხელშესაწყობად.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?**
	- რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს. უეჭველად, ეს არის ერთგვარი წინაპირობა.
9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?**
	- ჟურნალისტი უნდა იყოს, თუ შეიძლება ასე ითქვ მულტიგანათლებული; უნდა ჰქონდეს საკმაოდ ფართო წარმოდგენა ა მარტო კონფლიქტის კერაზე, არამედ სუბიექტების პოლიტიკურ (სოციალურ-ეკონომიკურ არსთან დაკავშირებით; უნდა ჰქონდ ისტორიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, საერთაშორის ურთიერთობების და ნაწილობრივ ეკონომიკის ცოდნა და სტრატეგიულ ანალიზის უნარი.

10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.**
	- არ არის საკმარისი და აუცილებელია სპეციალური გადაცემის არსებობ საჭიროა კომპეტენტური ადამიანების გარკვეული პერიოდულობი საუბარი ამ თემაზე. სასურველია არა კონცენტრირება ერთ რომელი კონფლიქტზე, არამედ რაც შეიძლება მეტი კონფლიქტის გაშუქებ ანალიტიკური ტიპის გადაცემა უნდა იყოს.

დანართი N2

სიღრმისეული (ნახევრადსტრუქტურული) ინტერვიუს მონაწილეთა სია (ჟურნალისტები)		
N	რესპონდენტი	სტატუსი
1.	მამუკა არეშიძე	ჟურნალისტი, პოლიტოლოგი, ექსპერტი კავკასიის საკითხებში, სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი, ყოფილი დეპუტატი
2.	გოგა აფციაური	ჟურნალისტი, რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი შიდა ქართლში, მუშაობს კონფლიქტის ზონაში
3.	ლია ჭიღლაძე	ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ჟურნალისტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
4.	ნანა დევდარიანი	ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ყოფილი სახალხო დაცველი
5.	არმაზ სანებლიძე	ჟურნალისტი, სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი თავმჯდომარე, მუშაობდა კონფლიქტის ზონებში
6.	გიორგი ფოფხაძე	ჟურნალისტი, ევროპული სააგენტოების თანამშრომლის სტატუსით აშუქებდა ეთნოკონფლიქტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

1. **მამუკა არეშიძე,** *ჟურნალისტი, პოლიტოლოგი, ექსპერტი კავკასიის საკითხებში, სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი, ყოფილი დეპუტატი*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- ხაზგასმით ვამბობ, რომ აბსოლუტურად არ არის აქტუალური.
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- სანახევროდ.
3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?**
	- ხშირად საგნის არცოდნა ჩანს. მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებული ძალიან ცოტა სიუჟეტი მინახავს.
4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- თვითონ ეთნოკონფლიქტის არსი და მხარეები.
5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- დიდ გავლენას ახდენს.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- ცუდად მოქმედებს.

7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. მძიმე რეალობის და მწარე სიმართლის თქმაც საჭიროა, მაგრამ თუ რამე კეთდება, ისიც უნდა ითქვას. ტყუილის თქმა არ შეიძლება.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?**
	- პრინციპში, რომ გითხრათ, გარდატეხა შეაქვს მეთქი, ვერა, - მაინც ცალმხრივია, რადგან ქართული მხარე თავის სიმართლეს ლაპარაკობს. ეს სიმართლე ჩვენთვის მისაღებია.
9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?**
	- ღრმა ცოდნა უნდა ჰქონდეს და პოლიტიკურ კონიუნქტურას აყოლილი ა უნდა იყოს. ან იმდენად მაღალპროფესიონალი უნდა იყოს, რ კონიუნქტურა არ ჩანდეს.
10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.**
	- არ არის საკმარისი და აუცილებელია გადაცემა რეგიონულ პოლიტიკაზე, სადაც ეთნოკონფლიქტებსაც დაეთმობა ადგილი, რადგან ამ ტიპის კონფლიქტებით მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ქმნიან პოლიტიკას. მხოლოდ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე გადაცემა საჭიროდ არ მიმაჩნია.

2. **გოგა აფციაური,** *ჟურნალისტი, რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი შიდა ქართლში, მუშაობს კონფლიქტის ზონაში*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- წლების წინ უფრო აქტუალური იყო, ახლა ეს ინტერესი თითქოს განელდ მხოლოდ მაშინ აქცევენ ყურადღებას, როცა ვითარება იძაბება. მაგალითად ადამიანებს აკავებენ საოკუპაციო ხაზთან. მაგრამ თუ ცხინვალში ხდება რამ ან საოკუპაციო ხაზთან, ყურადღების მიღმა რჩება. ვგულისხმობ ჩვეულებრ ადამიანურ ურთიერთობებს. დღეს მედია უფრო ფოკუსირებულ სენსაციაზე, სკანდალზე და პრობლემაზე, რომელიც მარტივა გასაშუქებელია და სიღმისეულ გააზრებას არ საჭიროებს.
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- ტერმინებში იგრძნობა ხოლმე. ამიტომ, როცა რეპორტაჟს ვუყურებ, ტერმინოლოგიით ვხვდები ჟურნალისტის განწყობას. ხშირ შემთხვევაში ნეიტრალური ტონი იკარგება. ეთნიკურ ჯგუფს არ უნდა ველაპარაკებოდეთ სტერეოტიპებით, რომელსაც ხშირ შემთხვევაში მედია აღრმავებს. მაგალითად, მოგისმენიათ ალბათ, „კრიმინალი ოსები“. ეს ხელს უწყობს კონფლიქტის გაღრმავებას და არა - ტრანსფორმაციას. ცხინვალის მედიაში ისმის „ფაშისტური საქართველო“. სიძულვილის ენის გამოყენება არ შეიძლება. ჟურნალისტებს სიფრთხილე მართებთ ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას.
3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?**
	- ხშირ შემთხვევაში მედიისთვის უცხოა ეთიკური სტანდარტ სტერეოტიპებით იკვებება როგორც საზოგადოება, ისე მედია.

4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- სენსაციურობა, სკანდალურობა, პრობლემის ზედაპირზე ამოსვ რეიტინგულს ხდის კონკრეტულ სატელევიზო რეპორტაჟს. მაგრამ იქ როგ ცხოვრობს ხალხი, რა პირობებში ცხოვრობენ, მედიას არ აინტერესებს, რადგ ეს არ არის ყურებადი მასალა.
5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- რა თქმა უნდა, დიდ გავლენას ახდენს. ყველა ტელევიზია თავისი დღის წესრიგის მიხედვით აშუქებს ეთნოკონფლიქტებს.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- დიდ გავლენას ახდენს. სხვადასხვანაირად შუქდება კონფლიქტის ზონაში არსებული მდგომარეობა. პოლარიზებული მედია ობიექტურობის შეგრძნებას კარგავს. არ ეძებენ სხვა წყაროებს, რომ უფრო ობიექტური და რეალური ინფორმაცია მიიტანონ მაყურებლამდე.
7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- ადამიანს უნდა მივცეთ საშუალება, გამოხატონ თავიანთი წუხილი. თუ მედ მიაჩუმათებს იმ რეალურ პრობლემებს, რაც ხალხს აწუხებს კონფლიქტ ზონაში, საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს, ამით სირაქლემის პოზიციაშ ჩადგება და ის პრობლემა არსად გაქრება. მწარე სიმართლე უნდა გვესმოდ რა თქმა უნდა, სიძულვილის ენას არ ვგულისხმობ.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?**
	- ზუსტი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს დაძაბულობ შემცირებას.

9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?**
	- მედიის წარმომადგენლებს განათლება, წიგნიერება სჭირდებაა განსაკუთრებით, ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას. ეს ძალიან სპეციფიკურ და მხოლოდ ჟურნალისტური პროფესიული თვისებები საკმარისი არ არ ჟურნალისტს, რომელიც ამ თემაზე მუშაობას აპირებს, განსაკუთრებულ ცოდნა სჭირდება, რომელიც სპეციალიზებულ სკოლებში უნდა მიიღონ უნივერსიტეტებშიც უნდა ისწავლებოდეს კონფლიქტების ჟურნალისტიკა.
10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.**
	- ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას სიფრთხილეა საჭირო. მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაც. საქართველოში ხალხმა, ფაქტობრივად, არაფერი იცის ბალკანეთში, ზოგადად, ევროპაში, ყოფილ საბჭოთა კავშირში თუ სხვაგან არსებულ ეთნოკონფლიქტებზე. სასურველია სპეციალური გადაცემების მომზადება, რომ მეტი ინფორმაცია მიიღოს მაყურებელმა.

3. **ლია ჭიღლაძე,** *ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ჟურნალისტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- არ არის აქტუალური.
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- სამწუხაროდ, სწორი ორიენტირები არ არის. არის კითხვებიც და პასუხებიც, მაგრამ გზა მაინც არ ჩანს.
3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?**
	- ზედაპირულად აშუქებენ და ეთიკური ნორმებიც ირღვევა.
4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- ეთნოკონფლიქტის გამწვავება.
5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- ძალიან დიდ გავლენას ახდენს. ფაქტობრივად, ამინდს ქმნის ტელევიზიების დღის წესრიგი. ამ მხრივაც მანიპულაციას მიმართავენ.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- პოლარიზების დროს ეთნოკონფლიქტები უკანა პლანზე გადადის.

7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- უმნიშვნელოვანესია და, სამწუხაროდ, ამას არავინ აკეთებს.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?**
	- უდავოდ ხელს შეუწყობს.
9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?**
	- ჟურნალისტმა ეთნოკონფლიქტები მაღალი პასუხისმგებლობით უნდა გააშუქოს. ეს პრობლემა უნდა დაინახოს არა მხოლოდ წმინდა პროფესიული, არამედ სახელმწიფოებრივი პოზიციიდან. თუკი ასე იქნება, ძალიან ბევრი გზა გამოჩნდება, ძალიან ბევრ სიმახინჯესაც დავინახავთ საკუთარ თავში, რეალობა იქნება ძალიან მწარე, მაგრამ კონფლიქტების გადაჭრის გზებიც გამოჩნდება. ამასთან, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ჟურნალისტის კვალიფიკაცია.
10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.**
	- ტელევიზიით უნდა მომზადდეს გადაცემები მაღალი კომპეტენციის ადამიანების მონაწილეობით. საჭიროა სპეციალური გადაცემის მომზადებაც.

4. **ნანა დევდარიანი,** *ჟურნალისტი, პუბლიცისტი, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ყოფილი სახალხო დაცველი*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- ეთნოკონფლიქტების თემა აქტუალური ხდება მაშინ, როცა მისი გამოყენე შიდაპოლიტიკურ პროცესში ხელისუფლების წინააღმდეგ (სასარგებლოდ) „მუშაობს“. სხვა დროს არც ეთნოკონფლიქტებ წარმოშობის, არც მათი რეალური მდგომარეობის ან გადაწყვეტ პერსპექტივა ტელემედიისთვის არააქტუალურია. საზოგადო ზერელობ რომელიც ქართულ ტელევიზიებს ახასიათებს, აქ განსაკუთრებით მძი შედეგების მომტანია. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აკვირდები კონფლიქტის გაშუქებას და შესაბამისი დასკვნები გამოაქთ. „ისრებ ყოველთვის მხოლოდ რუსეთზეა გადაყვანილი, რაც სწორე სეპარატისტული რეგიონებისთვისაა ხელსაყრელი და არა საქართველ ეროვნული ინტერესებისთვის.
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- მიკერძოებულობა თითქმის ყოველთვის იგრძნობა. „მცოცავი ანექსი მუდამ ხელისუფლების მიმართ დარტყმისთვის გამოიყენება და ა პრობლემის გადაჭრის ორიენტირების გამოკვეთისთვის, კონკრეტუ პოლიტიკურ ვითარებაში ისევ და ისევ შიდაპოლიტიკური დღის წესრიგ გააქტიურების საბაბად. ხელისუფლების მხარდამჭერი მედ საპირისპიროდ, პრობლემის „გაუფერულებას“ ცდილობს და არავითა პოზიტიურ სიგნალებს ეთნოკონფლიქტის საპირისპირო მხარისთვის ა შეიცავს.
3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს**

	სამამულო მედიები/ჟურნალისტები?
	- "სამამულო მედიები/ჟურნალისტები" მეტისმეტად მაღალი შეფასებაა – მამული და პროფესიონალიზმი დღევანდელ მედიაში არამოთხოვნადი კატეგორიებია. იგივე ეხება ეთიკასა და პასუხისმგებლობას, - როდესაც მედიასაშუალება მხარეს წარმოადგენს და პოლიტიკურად არის ანგაჟირებული, იგი სიტუაციას ხელოვნურად ძაბავს და ამძაფრებს, ან – პირიქით. კონფლიქტის მოგვარებაში გადამწყვეტ როლს მხარეებს შორის ნდობის აღდგენა ასრულებს. ნდობას კი არ იწვევს პოლიტიკური ძალის სამსახურში მდგომი მედია. აფხაზებისა და ოსების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ უარყოფით ჭრილში წარმოჩინდება, პოზიტიური ან ნეიტრალური მასალები არ მზადდება. ისინი რწმუნდებიან, რომ ქართველებს მათი ყოფა არ აინტერესებთ და ტრენდი კვლავ „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა“ და არა მათი რეინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში.
4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- მაგ., „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში – სააკაშვილი შიშველი ხელით განდევნის რუს ჯარისკაცებს კონფლიქტისპირა რაიონიდან, ხოლო „ოცნების“ მმართველობისას მავთულხლართები ისეთი სისწრაფით გადმოაქვთ რუს სამხედროებს, რომ, წესით, ე.წ. „საზღვარი“ უკვე პარლამენტის შენობის მიმდებარედ (თბილისში) უნდა გადიოდეს. ნებისმიერი ინციდენტი საინფორმაციო შეტევის საბაბი ხდება, ხელისუფლება კი მუდამ თავის მართლების რეჟიმშია, რაც პოლიტიკური მიზნის შესრულების ნახევარზე მეტია.
5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- როდესაც ტელეკომპანია პოლიტიკური მხარეა, ეთნოკონფლიქტების გაშუქებაც სწორედ მხარის ინტერესებს პასუხობს. ქართული ტელებაზარი სინამდვილეში პოლიტიკურ მხარეთა შერკინებაა და, შესაბამისად, ტელეკომპანიების დღის წესრიგი მთლიანად ამ პარადიგმაში უნდა განვიხილოთ. ამოცანა არა კონფლიქტის მოგვარების

	გზების მოსინჯვა, არამედ პოლიტიკურ მხარეთათვის პრეფერენციების შექმნაა.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- პლურალიზმი ქართულ ტელემედიაში ილუზია. არსებობს ლიბერალური დოგმები, სხვა დანარჩენი მარგინალური აზრია. აქ პოლარიზებაც აღარ არის აქტუალური, არის „მართებული“ აზრი და სხვა დანარჩენი მარგინალურია. ეთნოკონფლიქტის თემა ამ ხელოვნურ დაპირისპირებაში უბრალოდ „ითქვიფება“ – იგი შინაარსს კარგავს ხელოვნური პლურალიზმის პირობებში.
7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- სიმწარესა და სკანდალზე ორიენტირება ეთნოკონფლიქტის გაშუქებ მხოლოდ აზარალებს. მნიშვნელოვანია ნდობის ელემენტების პოვნა (გაშუქება. ყველა ივიწყებს, რომ ამგვარი კონფლიქტების მოგვარე სახელმწიფოებრივი ან ზოგადპოლიტიკური თემა კი არა, ადამიანე შორის ჩატეხილი ხიდების აღდგენის თემა უფროა. სახელმწიფო მხოლოდ ინსტრუმენტია, მედია კი ამ „სანიშნებს“ უნდა ეძებდეს და არ გამწვავების შანსს.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?**
	- რასაკვირველია, მაგრამ წარსულის მაგალითების შერჩევისას უკიდურესი სიფრთხილეა საჭირო; წარსულში მხოლოდ სასარგებლო მაგალითების დაძებნა ერთგვარი ხაფანგია – მხარეები (და ჟურნალისტებიც, შესაბამისად) მათთვის სასარგებლო მაგალითს ეძებენ და პოულობენ კიდეც. აქ აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ პოზიტივი და ნეგატივი ორივე მხარეს არსებობს. ბალანსის დაცვა ურთულესია, მაგრამ აუცილებელი.
9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი**

	ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?
	- საკითხის ისტორიის და თანამედროვე ტრენდების ცოდნა. რეალური ტრენდების და არა ხელოვნურად შექმნილი ფორმულების. ისტორიკოსებიც სცოდავენ, მათი ინტერვიუების უკონტროლოდ ციტირება ხშირად დამღუპველია. კრიტიკული აზროვნების უნარი აქ, ალბათ, გადამწყვეტია.
10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.**
	- ეფექტიანი იქნებოდა ამ თემაზე საერთო სარედაქციო პოლიტიკის შემუშავება, თუმცა, ჟურნალისტური რუტინიდან გამომდინარე, რთულად წარმოსადგენია, რომ ეს მოხერხდეს. მთელ კონტენტში თემის გაშლა რაკი ვერ ხერხდება, იქნებ სატელევიზიო გადაცემის არსებობაც იყოს მიზანშეწონილი.

5. **არმაზ სანებლიძე,** *ჟურნალისტი, სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი თავმჯდომარე, მუშაობდა კონფლიქტის ზონებში*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- ეთნოკონფლიქტები ყოველ სტადიაზე - პრევენცია, მიმდინარეობა, შედეგები - აქტუალურია. აქედან გამომდინარე, მედიისთვისაც აქტუალურია. მით უფრო, ჩვენი სინამდვილისთვის. დღეს ეს თემა, სამწუხაროდ, თითქმის დავიწყებულია.
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- ჩვენი სინამდვილიდან გამომდინარე ვამბობ, რომ იგრძნობა და მერე როგორ! ზოგჯერ გაღიზიანებასაც იწვევს. განსაკუთრებით, „ეგრე წოდებულის“ უადგილოდ ხმარება. ზოგჯერ ცინიზმამდეც მიდის - „ეგრე წოდებული საზღვარი“, „ეგრეთ წოდებული მინისტრი“ და ა.შ. შესაბამის ტერმინი დღემდე ვერ მოძებნეს და ეს არის პრობლემა.
3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?**
	- არაეთიკურად და უპასუხისმგებლოდ აშუქებენ. რაღაც კომისიის მსგავსი რომ არის შექმნილი, იმის მუშაობას უთმობენ ყურადღებას და იმასაც ზედაპირულად, ოქმის სახით გვთავაზობენ.
4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- უწინარეს ყოვლისა, მოვლენების კალეიდოსკოპურობა. ფეხს ვერ ვუწყობთ, არ გვყოფნის განათლება და მომენტის შეფასება.
5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების**

	გაშუქებაზე?
	- ძალიან დიდ გავლენას ახდენს. ტელევიზიები თავიანთი დღის წესრიგის მიხედვით და ხშირად არასრულყოფილად აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს, რადგან მათთვის ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თემა არ არის.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- ნებისმიერი პოლარიზება მიმდინარე დაპირისპირებას ამწვავებს და პრობლემის დადებითად გადაწყვეტას ართულებს.
7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- დარწმუნებული ვარ, ეს არის ეთნოკონფლიქტების მოგვარებ ერთადერთი მეთოდი და საშუალება.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?**
	- მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაცია უდავოდ შეუწყობს ხელს დაძაბულობის შემცირებას და საბოლოოდ მოწესრიგებას. სხვა დანარჩენი მიკერძოებულობაა და ნეგატივიზმის განვითარებას ემსახურება.
9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?**
	- უწინარეს ყოვლისა, გარკვეული უნდა იყოს პრობლემის ისტორიაში, საერთო წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ეთნოკონფლიქტების სპეციფიკაზე, ასე თუ ისე მაინც იცნობდეს ინტერვიუებს და წერილებს, რომლებსაც სპეციალისტები აქვეყნებენ.
10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.**

	- ეთნოკონფლიქტების შესახებ სპეციალური გადაცემის საჭიროებას ვერ ვხედავ, მაგრამ თუ ტელევიზიას აქვს პოლიტიკური თემატიკის გადაცემა, იქ დრო და დრო უნდა შეჯამდეს მიმდინარე კონფლიქტის დროს წამოჭრილი საკითხები, გაანალიზდეს, მოიძებნოს მოგვარების გზები და საშუალებები, განსაკუთრებით, - შეხების წერტილები. აქცენტები უნდა გაკეთდეს მიღწეულ შეთანხმებებზე, თუკი ასეთი არსებობს. აბსოლუტურად უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი მხარის უპირატესობაზე ლაპარაკი. უნდა მოვიშველიოთ ახლო წარსულის პოზიტიური მაგალითები ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან, სპორტიდან, თანაცხოვრებიდან, თუნდაც ომის პერიოდში ვინ ვინ გადაარჩინა ან როგორ და რანაირად შეუწყო ხელი კონკრეტულ ვითარებაში საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტას.

6. **გიორგი ფოფხაძე,** *ჟურნალისტი, ევროპული სააგენტოების თანამშრომლის სტატუსით აშუქებდა ეთნოკონფლიქტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში*

ანკეტა-კითხვარი	
N	შეკითხვა-პასუხი
1.	**რამდენად აქტუალურია ეთნოკონფლიქტების გაშუქება ზოგადად, მედიისთვის და საკუთრივ, ტელევიზიებისთვის?**
	- ეთნოკონფლიქტებს, როგორც ასეთი, წამყვანი ტელევიზიები (სატელევიზიო საინფორმაციო სააგენტოები აშუქებენ და ხშირა საინფორმაციო გამოშვებები ამ ეთნოკონფლიქტებიდან ინფორმაციით იწყება ხოლმე. თავის დროზე ასეთი იყო იუგოსლავიის კონფლიქ ბოსნია-ჰერცოგოვინაში. როდესაც ყველა წამყვანი საერთაშორის ტელეკომპანია ამ ეთნოკონფლიქტის გაშუქებით იწყებდა ახალი ამბებ გამოშვებას.
2.	**ეთნოკონფლიქტის შესახებ სიუჟეტებში იგრძნობა თუ არა ტელევიზიისა და ჟურნალისტის პოლიტიკური მიკერძოებულობა?**
	- ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას პირდაპირ აკრძალულია რაიმე სახის პოლიტიკური მიკერძოება. ეთნოკონფლიქტის გაშუქების მთავარი აქსიომური წესია: „ჩვენ მხოლოდ კადრებს ვაჩვენებთ და მხოლოდ ინფორმაციას გადავცემთ“.
3.	**რამდენად ეთიკურად და პასუხისმგებლობით აშუქებენ ეთნოკონფლიქტებს სამამულო მედიები/ჟურნალისტები?**
	- გააჩნია სად აშუქებენ და ვინ აშუქებს, ეთნოკონფლიქტში მონაწილე მხარეები, როგორც წესი (ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, რაც მე მინახავს ჩეჩნეთის, აფხაზეთის, თუნდაც ბოსნია-ჰერცოგოვინის კონფლიქტების დროს), მიკერძოებულად და მხოლოდ „საკუთარი გადმოსახედიდან“ აშუქებენ. თუ საერთაშორისო ტელევიზიებზეა საუბარი, აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ინფორმაციული მასალა გადის ეთერში. ერთადერთი გამონაკლისი, მე რაც მინახავს, იყო და,

	სამწუხაროდ, ახლაც არის, საფრანგეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი France 2 ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს რატომღაც ყოველთვის მიკერძოებულად, პალესტინის მხარის სასარგებლოდ აშუქებს, არადა France 2-ის თელავივის ბიუროს ჟურნალისტი თავად არის ეროვნებით ებრაელი.
4.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას, რა ახდენს გავლენას ტელევიზიების დღის წესრიგზე?**
	- მხოლოდ და მხოლოდ ეთნოკონფლიქტის სიმწვავე და იმ დღეს მომხდარი ამბის აქტუალურობა.
5.	**ტელევიზიების დღის წესრიგი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- ტელევიზიის დღეს წესრიგი პირდაპირ გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტის დღის წესრიგზე, რამეთუ ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკას და ჟურნალისტის წარმოთქმულ ერთ სიტყვას შეუძლია ეთნოკონფლიქტი დააწყნაროს კიდეც და გააღრმავოს კიდეც.
6.	**პოლარიზებული პლურალიზმი და პოლიტიკური ველი რა გავლენას ახდენს ეთნოკონფლიქტების გაშუქებაზე?**
	- პოლარიზებული პოლიტიკური ველის არსებობა ეთნოკონფლიქტის ესკალაციას იწვევს. თუმცა, მაგალითად მოვიყვან კატალონიაში ორი წლის წინ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ესპანური ტელევიზიები მხოლოდ მშრალი ინფორმაციის დონეზე აშუქებდნენ იქ არსებულ ძალიან კრიტიკულ მდგომარეობას და არასოდეს არ გადასულან რომელიმე „მხარის“ სასარგებლოდ.
7.	**ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია მძიმე რეალობის/მწარე სიმართლის წარმოჩენა?**
	- ეს აუცილებელია, თუ, რა თქმა უნდა, ეროვნულ ინტერესებს ა უპირისპირდება.
8.	**მაყურებლისთვის მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელს შეუწყობს**

	თუ არა კონფლიქტის მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას?
	- რა თქმა უნდა, შეუწყობს. დავუბრუნდები ისევ კატალონიის მოვლენებს და ესპანური ტელევიზიების მუშაობას. მათმა სარედაქციო პოლიტიკამ, მხოლოდ ინფორმაციულად გაეშუქებინათ კატალონიაში მიმდინარე მოვლენები, მაშინდელ „კონფლიქტში“ მონაწილე მხარეების დიდი ნდობა დაიმსახურა ესპანელი ჟურნალისტების და მთლიანად ტელევიზიების მიმართ.
9.	**რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას?**
	- ჟურნალისტი უნდა იყოს აბსოლუტურად ნეიტრალური და მის მიერ დასმულ კითხვებში არ უნდა იყოს რომელიმე მხარის მიმართ სიმპატიები. ძალიან ბევრ ცნობილ „ბოევიკთან“ და ტერორისტთან მქონია ინტერვიუ, მაგრამ არასოდეს არ მიგრძნობინებია, რომ მათდამი ძალიან დიდი ზიზღი გამაჩნდა და საერთოდ არ ვეთანხმებოდი მათ მიერ წარმოთქმულ არც ერთ სიტყვას.
10.	**რამდენად საკმარისად მიიჩნევთ ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე მედიებით გაშუქებულ ინფორმაციას? თქვენი რეკომენდაციები.**
	- რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, მეტი ინფორმაციაა საჭირო, ოღონდ კვალიფიციურად მოწოდებული. შეიძლებოდა სპეციალური გადაცემების გაკეთებაც, თუმცა, იუგოსლავიის კონფლიქტის დროს, BBC-ზე და CNN-ზე იყო ასეთი გადაცემები, მაგრამ რაიმე დიდი შედეგი არ მოუტანია...

დანართი N3

შეკითხვები:

1. თქვენი ასაკი;
2. თქვენი სქესი;
3. თქვენი ეთნიკური კუთვნილება;
4. რამდენად ენდობით ტელევიზიებს?
5. რა სახის ტელეგადაცემებს უყურებთ? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე ვარიანტი)
6. ეთნოკონფლიქტებს რომელი ტელევიზია აქცევს ყურადღებას? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე ვარიანტი)

7. რამდენად პასუხისმგებლიანები არიან ტელევიზიები ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას?

8. ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას იგრძნობა თუ არა ჩამოთვლილთაგან რომელიმეს გავლენა? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე ვარიანტი)

9. ტელევიზიით ეთნიკური პრობლემის გაშუქება რა გავლენას ახდენს კონფლიქტზე?

10. ტელევიზიით ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას რა აუცილებელ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს გადაცემა? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე ვარიანტი)

11. ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია ეთიკური ნორმების დაცვა?

12. საჭიროა თუ არა სპეციალური გადაცემა, რომელშიც მხოლოდ ეთნოკონფლიქტებზე ისაუბრებენ?

13. როგორ შეაფასებთ იმ ჟურნალისტების პროფესიონალიზმს, რომლებიც ეთნოკონფლიქტების თემაზე მუშაობენ? (1 - ყველაზე დაბალი ქულა, 10 - ყველაზე მაღალი ქულა)

პასუხები:

თქვენი ასაკი

275 ответов



თქვენი სქესი

275 ответов



თქვენი ეთნიკური კუთვნილება

275 ответов



რამდენად ენდობით ტელევიზიებს?

275 ответов



რა სახის ტელეგადაცემებს უყურებთ? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე ვარიანტი)

275 ответов



ეთნოკონფლიქტებს რომელი ტელევიზია აქცევს ყურადღებას? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე ვარიანტი)

275 ответов



რამდენად პასუხისმგებლიანები არიან ტელევიზიები ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას?

275 ответов



ეთნოკონფლიქტების გაშუქებისას იგრძნობა თუ არა ჩამოთვლილთაგან რომელიმეს გავლენა? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე ვარიანტი)

275 ответов



ტელევიზიით ეთნიკური პრობლემის გაშუქება რა გავლენას ახდენს კონფლიქტზე?

275 ответов



ტელევიზიით ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას რა აუცილებელ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს გადაცემა? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე ვარიანტი)

275 ответов



ეთნოკონფლიქტის გაშუქებისას რამდენად მნიშვნელოვანია ეთიკური ნორმების დაცვა?

275 ответов



საჭიროა თუ არა სპეციალური გადაცემა, რომელშიც მხოლოდ ეთნოკონფლიქტებზე ისაუბრებენ?

275 ответов



როგორ შეაფასებთ იმ ჟურნალისტების პროფესიონალიზმს, რომლებიც ეთნოკონფლიქტების თემაზე მუშაობენ? (1 - ყველაზე დაბალი ქულა, 10 - ყველაზე მაღალი ქულა)

275 ответов



დანართი N4

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

Bondo Mdzinarashvili

Analytical TV Program - Point of Reference

Master Program: Media and New Technology

The thesis is drafted to receive the Academic Degree
of Master in Journalism

Supervisor of the Master Thesis: Nino Chalaganidze
Doctor of Journalism, TSU Associated Professor

Tbilisi, 2019